ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭ-758

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო
„LA GÉORGIE COMBATTANTE"

სპეციალური გამოცემა: პარიზი, 1995 წელი, ოქტომბერი, ნომერი 17(35)
Edition spéciale: Paris, octobre 1995, Nr. 17(35)

ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს — ილია

## საქართველო — ერთობა მრავალფეროვნებაში
## ჩვენი აჭარა

წინასიტყვა . . . . . 2
შესავალი . . . . . 4
მიმართვა ქართული ემიგრაციისადმი . . . . . 6

აჭარის პოლიტიკური ცხოვრება

მოვლენები . . . . . 9
ჩვენი აჭარა . . . . . 11
ერი და აღორძინება . . . . . 17
მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავი . . . . . 23
გვახსოვდეს აფხაზეთი . . . . . 33

აჭარის ეკონომიკური ცხოვრება

ქრონიკა . . . . . 39
საქართველოში პირველი . . . . . 40
მშენებლობა (ქრონიკა) . . . . . 43
თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ . . . . . 46
სოფლის მეურნეობა . . . . . 47
სოფელი და ადამიანები . . . . . 48

აჭარის კულტურული ცხოვრება

ბათუმი — საუნივერსიტეტო ქალაქი . . . . . 51
გრიგოლ რობაქიძის „ლამარა" ბათუმის დრამატულ თეატრში . . . . . 53
სულიერი სამყარო . . . . . 56
ლაპარაკობენ სტუმრები . . . . . 58
„აიდა" ბათუმის ოპერის თეატრში . . . . . 61
სიძველეთა ნაკვალევზე . . . . . 62

აჭარის სოციალური ცხოვრება

მიმოხილვა . . . . . 64
„დიუტი ფრი" . . . . . 68

ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

შეიარაღებული ძალების მშენებლობა — 26 მაისი და სხვა . . . . . 72

დოკუმენტაცია

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი — ეროვნული ჰიმნი და სხვა . . . . . 88

დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი. — ნოე

დაარსდა: იანვარი 1952, პარიზი — Fondation: janvier 1952, Paris

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეოთხე სვეტი“

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი — პრესა, რადიო, ტელეხედვა, კინოფილმი — დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლების „მეოთხე სვეტია“ სახელმწიფო ძალაუფლების „სამი სვეტის“ — მმართველობის (მთავრობა), კანონმდებლობის (პარლამენტი) და მართლმსაჯულების (სასამართლო) გვერდით. აზრთა სხვადასხვაობა და ქიდილი დემოკრატიის სისუსტე კი არა, სიძლიერეა, თუ იგი დარჩება დემოკრატიული სახელმწიფოს შორის, პოზიცია-ოპოზიციის კონსტრუქციული კრიტიკის სფეროში, რაშიც მჟღავნდება პიროვნების, ერის პოლიტიკური კულტურა. ამდენად მასობრივი ინფორმაციის მედიუმები უნდა იყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი ცხოვრების სარკე, რაც — თავის მხრივ — ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა იყოს ობიექტური და მიუდგომელი; და მის შექმნაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საზოგადოების ყველა ფენა იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნას თავიდან ამა თუ იმ პირის, თუ დაჯგუფების განუკითხავი ბატონობა.

# საქართველოს კონსტიტუცია

# Constitution de la Géorgie

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი
კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

მუხლი 32

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

**Tout citoyen a le droit d ' exprimer son opinion et de la propager par la parole, par la presse ou par d' autres moyens sans l'autorisation préalable du Gouvernement. Il n 'est responsable, pour tout délit commis dans ces cas, que devant la Justice.**

---

# ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

# Universal Declaration of Human Rigts

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდიოს თავის მრწამსს და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

arricl 19

**Everyone has the righet co freedom of opinion and expression; this righet includes freedom co hold opinions sichour incerierence and to scet, receive and impart information and idext chrough any medis and regardless of fronciers.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

## ერთობა მრავალფეროვნებაში

# ჩვენი აჭარა

პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის
ხელოვნება, არამედ აგრეთვე ხელოვნება
საჭირო შესაძლებელი გახადო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინასიტყვა

## I.

1995 წლის 9 აპრილს, ჟურნალ „მებრძოლი საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება თანდათანობით გამოსცეს „მებრძოლი საქართველოს“ სპეციალური ციკლი, საერთო სათაურით — **„საქართველოს რესპუბლიკა — ერთობა მრავალფეროვნებაში,“** — რომლის ცალკეული ნომერი მიეძღვნება საქართველოს რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებს ქვე-სათაურით — „ჩვენი აჭარა“, „ჩვენი აფხაზეთი“, „ჩვენი ქართლი“, „ჩვენი კახეთი“, „ჩვენი იმერეთი“, „ჩვენი სვანეთი“, „ჩვენი სამეგრელო“, „ჩვენი გურია“, „ჩვენი რაჭა-ლეჩხუმი“, „ჩვენი თუშ-ფშავ-ხევსურეთი“ და ასე შემდეგ, რომლებშიც გაშუქებულ იქნება ამ რეგიონების განსაკუთრებით დღევანდელი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრება, რაც, გასაგებია, მოითხოვს ამ რეგიონების რიგით მოქალაქეთა და ხელმძღვანელების თანამშრომლობას ჟურნალ „მებრძოლი საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიასთან. ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმის მიზნით, სარედაქციო კოლეგიამ უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი და წერილობით მიმართა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ასლან აბაშიძეს, რომელშიც ნათქვამია:

## II.

ჯერ მსურს განსაკუთრებით აღვნიშნო თქვენი პირადი მამულიშვილური მოღვაწეობა ჩვენს მშვენიერ აჭარაში და ამით მთელს საქართველოში, რომლის შედეგად აჭარაში არსებითად ბატონობს კანონის უზენაესობა, რაც — თავის მხრივ — განაპირობებს წესრიგს აჭარის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამდენად, აჭარის დღევანდელი მდგომარეობა, უთუოდ, სანიმუშოა საქართველოს ყველა რეგიონისათვის, სადაც, ჩვენდა საუბედუროთ, უმეტესად უგულებელყოფილია კანონის უზენაესობა და ამით სავალალო მდგომარეობაშია საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანოების კანონიერი მოქმედება თვით ადგილობრივი მმართველობის, კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების ორგანოების ჩათვლით. ვიმედოვნებთ, თქვენი პირადი მოღვაწეობა წასაბაძი მაგალითი გახდება საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების მოღვაწეთათვის, რომ აწ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო სანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფო გახდეს საერთაშორისო მასშტაბითაც.გვჯერა, რომ თქვენ პირადათ, ბატონო ასლან,არ დაზოგავთ თქვენ ძალასა და ენერგიას ამ დიადი მიზნის განსახორციელებლად, რაც თქვენ თქვენი გონივრული ეროვნული მოღვაწეობით არაერთხელ დაადასტურეთ.

გვსურს რა ჩვენც, უცხოეთში მცხოვრებმა ქართველობამაც, ჩვენი მცირე ძალებით, მონაწილეობა მივიღოთ საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების გამოჯანსაღებაში, გთხოვთ პირადათ თქვენ, დახმარება გაგვიწიოთ ამ ორ წამოწყებაში:

ჟურნალ „მებრძოლი საქართველოს“ რედაქციამ გადაწყვიტა სპეციალური ნომერი გამოსცეს საერთო სათაურით „ჩვენი აჭარა“, რომელშიც გვსურს გავაშუქოთ აჭარის, განსაკუთრებით დღევანდელი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური მდგომარეობა. ჩვენ გვსურს, რომ „მებრძოლი საქართველოს“ ამ სპეციალური ნომრის „მისალმება-წერილი“ თქვენ დაწეროთ, რომ ამ ნომერს მიეცეს შესაფერისი წონა და ავტორიტეტი.

გვჯერა რა რომ, თუ შესაძლებელია, თქვენ დახმარებას გაგვიწევთ ამ საერთო საქმეში, გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს თქვენს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## III.

ბატონი ასლან აბაშიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ტელეფონით დაუკავშირდა ჟურნალ „მებრძოლი საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიის წევრს, ბატონ კარლო ინასარიძეს და აცნობა, რომ აღნიშნული წერილი განხილული და მოწონებულ იქნა აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, და გადაცემულ იქნა აჭარის ტელევიზიით და გამოქვეყნდა გაზეთ „აჭარაში“; და რომ საჭირო მასალებს მიაწვდის ჟურნალ „მებრძოლი საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიას პარიზ-ლევილში, რომ მომზადებულ იქნას ჟურნალ „მებრძოლი საქართველოს“ სპეციალური ნომერი — „ჩვენი აჭარა“. რა თქმა უნდა, ამ სპეციალური ნომრის შინაარს-ფორმის პასუხისმგებელია სარედაქციო კოლეგია და ყველა ხარჯს ფარავს უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა შემოწირულობანით, რის შედეგად დაიბეჭდება მხოლოდ მცირე ტირაჟით; მაგრამ სარედაქციო კოლეგია უფლებას აძლევს ყოველ პირს, ორგანიზაციას თუ მასობრივი ინფორმაციის სამსახურებს საქართველოში მთლიანად ან ნაწილები ამ ციკლისა გაავრცელოს საქართველოში, თუ ამას ჩათვლიან საჭიროთ. ჟურნალ „მებრძოლი საქართველოს“ მკითხველებს კი ვთხოვთ, გამოთქვან თავიანთი აზრი ამგვარი სპეციალური ციკლის, სერიის გამოცემის შესახებ და გვაცნობონ მათი აზრი ამ წამოწყების შესახებ საერთოდ.

## IV.

ჩვენ კი ვეყრდნობით იმ ფაქტებს, რომ საქართველო, ქართველი ხალხი, ქართველი ერი მრავალფეროვანი ერთობაა გეოგრაფიულად, ეთნოგრაფიულად, ისტორიულად, პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად და სოციალურად,

რომლის შედარება შეიძლება ცისარტყელას მრავალფეროვან ერთობასთან, რომლის ცალკეულ სხივში მთელი და მთელში ცალკეული სხივი, ფერი ჰარმონიულად არის შერწყმული. ამგვარი ორგანულად შერწყმული ჰარმონიულობისაგან გამომდინარეობს ჩვენი დიდი ეროვნული პოეტი აკაკი წერეთელი, როცა წერს: „ჩონგური საქართველოა, ჩვენ სიმები ვართ ყველაო“; და ეს სიმები, ეს ფერები სხვა რა უნდა იყოს თუ არა ცალკეული ქართველი, საქართველოს ცალკეული რეგიონი — აჭარა, აფხაზეთი, ქართლი, კახეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი, სვანეთი, მესხეთი, რაჭა-ლეჩხუმი თუ თუშ-ფშავ-ხევსურეთი, რომლებიც ცალკეულად მთელი და მთელის ნაწილებია ერთდროულად, რაც არის ჩვენი ეროვნული ერთობის გამოსახულება მრავალფეროვნებაში. ამიტომ ჩვენი დიდი ეროვნული ლირიკოსი გვასწავლის, რომ „ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შეელაო!“ და ჩვენი ეროვნული ხსნის, შეელის მაგალითს, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, გვაძლევს აჭარა და აჭარის ხელმძღვანელობა, რომ მთელ საქართველოში, ქართველ ერში ისევ განმტკიცდეს, აყვავდეს და გაიფურჩქნოს ერთობა მრავალფეროვნებაში.

## V.

აი, ამ რწმენით ცდილობს ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალური ორგანოს „მებრძოლი საქართველოს“ სარედაქციო კოლეგია, შესაძლებლობის ფარგლებში, გააშუქოს „ჩვენი აჭარის“ და მისი ხელმძღვანელობის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური მოღვაწეობა აწ უკვე დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოში, რომ საშუალება მოგვეცეს ვისწავლოთ აჭარლებისაგან თუ როგორ არის შესაძლებელი მაფიოზური გამოვლინებების აღკვეთა და კანონის უზენაესობის ისევ აღდგენა.

**ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში**

**„მებრძოლი საქართველოს“ სარედაქციო კოლეგია.**

**პარიზი-ლევილი, 1995 წლის ოქტომბერი**



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამსვლელი სხდომა ქობულეთში.
ბატონები: ასლან აბაშიძე, ედუარდ შევარდნაძე და ალბერტ თავხელიძე,
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო
## ერთობა მრავალფეროვნებაში
### შესავალი

*პიროვნებათა, გვართა, მონათესავე ტომთა ისტორიის ჯამია ერის ისტორია. ერი კი არის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალურად შეკრული ყველაზე უფრო მარადიული ერთობა. ერთაშორისი ურთიერთობა — დიპლომატიის სფეროა*

### I.

1918 წლის 26 მაისი საქართველოს, ქართველი ხალხის, ქართველი ერის რესპუბლიკური ხანის დასაწყისიცაა, რომელიც აღმოცენდა „პირველდასელთა" სამოქმედო გეზის — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნდეს" და „მესამედასელთა" სამოქმედო პროგრამის — „ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა" (7 თებერვალი, 1893 წელი) ბაზაზე, რაც — თავის მხრივ — ეყრდნობა საქართველოს რესპუბლიკური სახელმწიფოს სამ სვეტს: „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს", საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას (1921 წლის 21 თებერვალი) და საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო და დაამტკიცა 1995 წლის 24 აგვისტოს.

### II.

1918 წლის 26 მაისის **„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი"** შეიძლება შედარებულ იქნას 1776 წლის 4 ივლისის **ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციასთან**, რომლის ძალით გამოცხადდა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა, რაც ინგლისმა ცნო 1783 წელს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა კი ცნო რუსეთმა 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით.

### III.

1918 წლის 26 მაისი შეიძლება აგრეთვე შედარებულ იქნას საფრანგეთის 1789 წლის 14 ივლისის რევოლუციის მონაპოვართან — **„თავისუფლება — თანასწორობა —ძმობა"** — და მისგან გამომდინარე **„ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების დეკლარაციასთან"**, რომელთა სანიმუშო დოკუმენტებია „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია.

### IV.

მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია კიდევ უფრო შორს მიდის, რადგან მათში აღიარებულია არა მარტო ერისა და პიროვნების თავისუფლება, არამედ „ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა", რაც — თავის მხრივ — სოციალური დემოკრატიის, დემოკრატიის ამ უმაღლესი ფორმის ბაზაა, რომლის პრაქტიკული განხორციელება დაიწყო საქართველოში სწორედ 1918 წლის 26 მაისს და ამით ჰუმანური სახელმწიფოს მაგალითი მისცა მთელს კაცობრიობას, რაც აღიარებულ იქნა თვით დასავლეთ-ევროპული პოლიტიკური მოღვაწეების მიერ. „მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაშიო", — წერდა ინგლისის პრემიერმინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ — რამსეი მაკდონალდი, რომელიც 1920 წელს ესტუმრა საქართველოს, დაათვალიერა და შეისწავლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფა-ცხოვრება.

### V.

1991 წლის 31 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთსა და ყოფილ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ოლქში", ე. ი. შიდა ქართლში, ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროს შეკითხვაზე — **„თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე"** — ამომრჩეველთა თითქმის ასმა პროცენტმა უპასუხა **„დიახ"**, რომლის თანახმად საქართველოს უზენაესმა საბჭომ, 1991 წლის 9 აპრილს, მიიღო დეკლარაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

## VI.

1995 წლის 24 აგვისტოს კი საქართველოს პარლამენტმა მიიღო და დაამტკიცა საქართველოს კონსტიტუცია — დაეყრდნორა „ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პრინციპებს“, და რომლის პირველ მუხლში ნათქვამია — „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო...“ მეორე მუხლში კი ნათქვამია: „საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“.

## VII.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რესპუბლიკური ხანა საქართველოს მოსახლეობამ, ქართველმა ერმა დააკავშირა სამ პიროვნებასთან: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტთან და მთავრობის თავმჯდომარე — **ნოე ჟორდანიასთან**, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს მართავდა 1918—1921 წლებში; საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან — **ზვიად გამსახურდიასთან**, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს მართავდა 1992 წლის 6 იანვრამდე; და საქართველოს სახელმწიფო მეთაურთან **ედუარდ შევარდნაძესთან**, თუმცა იგი — ჯერ — ქართველმა ხალხმა აირჩია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ, 1992 წლის 11 ოქტომბერს და შემდეგ — პარლამენტმა აირჩია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურად, რასაც წინ უძღოდა კანონის უზენაესობის დარღვევა, როცა, 1992 წლის 6 იანვარს, პუტჩისტებმა აიძულეს ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტი დაეტოვებინა საქართველო. ამდენად, საქართველოს რესპუბლიკური ხანა დაკავშირებულია აღნიშნულ სამ პიროვნებასთან, რაც ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა, მთელმა მოსახლეობამ არა მარტო უნდა ვაღიაროთ, არამედ მათ პატივი უნდა ვცეთ მიუხედავათ იმისა, ყოველ ჩვენთაგანს მოსწონდათ, თუ მოსწონთ მათი მოღვაწეობა თუ არა.

## VIII.

აი, ასე გვესმის ჩვენ საქართველოს რესპუბლიკის ერთობა მრავალფეროვნებაში, რომლის ერთი სანიმუშო წალკოტია პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად და სოციალურად ჩვენი აჭარა, რომელსაც ეძღვნება ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალური ორგანოს — „მებრძოლი საქართველოს“ — ეს სპეციალური ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებულია აჭარის დღევანდელი ხელმძღვანელობის წერილებიც, რასაც განსაკუთრებულ წონას აძლევს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ასლან აბაშიძის „მიმართვა ქართული ემიგრაციისადმი“ და მისივე საპროგრამო წერილი „ერი და აღორძინება“.

**კარლო ინასარიძე**

**პარიზი-ლევილი, ოქტომბერი, 1996 წელი**



აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე და მისი მოადგილეები ალექსანდრე გობრონიძე და შოთა ზოიძე

## მიმართვა
## ქართული ემიგრაციისადმი

გულითადად მივესალმები ქართული ემიგრაციის ღირსეულ წარმომადგენლებს და ჟურნალ „მებრძოლი საქართველოს" მკითხველებს.

ბოლშევიკური საქართველოდან ლტოლვილმა ქართულმა ეროვნულმა მთავრობამ და სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ქართულმა ემიგრაციამ წარუშლელი კვალი დააჩნია მე-20 საუკუნის ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას, მწერლობას, მეცნიერებასა და ხელოვნებას. ზოგიერთი მათგანის ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული აჭარასა და ბათუმთან, ის ტკივილიანი 1921 წლის 18 მარტიც ბათუმს უკავშირდება, საიდანაც იმ დღეს გავიდა ის გემი, რომელმაც სამშობლოდან წაიყვანა ბევრი ჩვენი სახელოვანი მამულიშვილი, რომლებიც უკან აღარ დაბრუნებულან და უცხოეთის ცის ქვეშ ჰპოვეს სამუდამო განსასვენებელი. ჩემს უშუალო წინაპარს — მემედ აბაშიძეს, როგორც საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრს და მაშინდელი აჭარის ლიდერს, ბევრ მათგანთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა. ბოლშევიკური საქართველოს სუსხი არა მარტო ემიგრაციაში მოხვედრილმა ჩვენი ქვეყნის წარჩინებულმა შვილებმა, არამედ საქართველოში დარჩენილებმაც ვიგრძენით, მათ შორის, ჩვენი ოჯახიც რეპრესირებულ იქნა, ხოლო მემედ აბაშიძე ერთიანი ძლიერი საქართველოსათვის ბრძოლას შეეწირა კიდეც.

დღეს საქართველო კვლავ ადგას დამოუკიდებლობისა და აღორძინების ახალ გზას და გაჩნდა ჩვენი დიდი პოლიტიკური ემიგრაციის ოცნებებისა და იდეალების განხორციელების რეალური იმედები, მაგრამ ჩვენ დასაწყისშივე აქაც წავიფორხილეთ, კვლავ ვერ შევძელით ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, აქაც გამეორდა ჩვენს მიერ დაშვებული ისტორიული შეცდომები...

ახლა საქართველო ნამდვილი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვების ახალი საიმედო გზების ძიებებშია, ახალი პოლიტიკური და ჯანსაღი ეროვნული ძალების გამთლიანების პროცესშია, რათა გამოვიდეთ ამ კრიზისული მდგომარეობიდან, უახლოეს დროში შევქმნათ ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფო და განვამტკიცოთ ჩვენი ადგილი მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების რიგში.

საქართველოს უძველესმა ისტორიულმა კუთხემ — აჭარამ ქვეყნისათვის ამ უმძიმესი განსაცდელის ჟამს გაუძლო ბევრ რეალურ თუ მოსალოდნელ მზაკვრულ დარტყმას, თავიდან აიცილა ძმათამკვლელი ომი და სისხლისღვრა, ეკონომიკური და მორალური ნგრევა... მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებასთან ერთად შევძელით დაგვემკვიდრებინა შენების, ურთიერთსიყვარულისა და თანადგომის ტენდენციები, გვეზრუნა ქართული მწერლობის, მეცნიერებისა და კულტურის წინსვლა-აყვავებაზე. მარტო რად ღირს ის ფაქტი, რომ ამ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ურთულეს დროს ქ. ბათუმში დაარსდა საოპერო თეატრი, რომლის პირველივე ორმა სპექტაკლმა — ზ. ფალიაშვილის უკვდავმა „აბესალომ და ეთერმა" და რ. ლაღიძის „ლელამ" უმაღლესი ეროვნული ჯილდო —

რუსთაველის პრემია დაიმსახურა და თამამად გაუსწორა თვალი თანამედროვე მსოფლიო სათეატრო ხელოვნების მიღწევებს... ჩვენ მადლიერების გრძნობას მივაგებთ დიდ ფრანგ ხალხს, რომელმაც უპატრონა და ისე როგორც ღვიძლი შვილები შეიფარა ქართველი ემიგრანტები. ამიტომაც არა მარტო სიმბოლურია, არამედ საფრანგეთისადმი ჩვენი მადლიერების გრძნობის გამომხატველია ის ფაქტი, რომ განახლების გზაზე შემდგარმა ბათუმის დრამატულმა თეატრმა თავის სცენაზე ერთდროულად განახორციელა ორი სპექტაკლი – გ. რობაქიძის „ლამარა“ და ჟ. ანუის „ტოროლა“, რომლებმაც მთელი ქართველი საზოგადოებრიობის და თეატრალური კრიტიკის აღიარება ჰპოვა...

აქ ჩემს სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან „მებრძოლი საქართველოს“ პატივცემულმა რედაქტორმა, ცნობილმა ჟურნალისტმა და მოღვაწემ ბატონმა კარლო ინასარიძემ შემოგვთავაზა „მებრძოლი საქართველოს“ წინამდებარე სპეციალური ნომერი მთლიანად მიეძღვნას დღევანდელ აჭარას, სადაც მკითხველი წარმოდგენილი მასალიდან თვითონ, ნაწილობრივ მაინც აღიქვამს რა გაკეთდა, რა კეთდება და სამომავლოდ რის გაკეთებას ვაპირებთ აჭარაში სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ.

თითოეული ჩვენგანის თვითმყოფადი, ფართო შესაძლებლობის მქონე გონების, მაგრამ უმეტესწილად დამოუკიდებლად მოაზროვნე და მომქმედი ეროვნული ხასიათის გამო, რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს, დღენიადაგ უნდა ვეძებოთ გზები შინ და გარეთ ჩვენი მედუღაბებისა ერთიანი სანუკვარი მიზნის მისაღწევად, რათა საუკუნეებში მარტოოდენ ლოზუნგად არ დარჩეს წინაპართა მოწოდება, რომელიც ჩვენი კავშირის ლოზუნგად იქცა –

„საქართველო უპირველეს ყოვლისა!“

ღრმა პატივისცემით

ასლან აბაშიძე

აჭარის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარე

ბათუმი,
1995 წლის 15 სექტემბერი

**ჯანმრთელობის დაცვა**

გაიხსნა: – აკადემიკოს ფიოდოროვის თვალის მიკროქირურგიის საერთაშორისო ცენტრი „ოფთალმიჯი“.

საექსპლუატაციოდ გადაეცა: – რესპუბლიკური საავადმყოფოს ჰემოდიალიზაციის განყოფილება. – ქ. ბათუმის N 1 საავადმყოფოს პირველი რიგი.

**კავშირგაბმულობა და პრესა**

ამოქმედდა: – ორი ახალი ავტომატური სატელეფონო სადგური ბათუმსა და ქობულეთში.

აშენდა: – ახალი ორსართულიანი შენობა ქობულეთში კავშირგაბმულობის კვანძისათვის. – ახალი ტელეანძა.

შეიქმნა: – საინფორმაციო სააგენტო „აჭარა“.

დაარსდა: – სრულიად საქართველოს აჭარის ალორძინების კავშირის გაზეთი „ალორძინება“, ჟურნალი „მარჯი“, სომხური თემის გაზეთი „ახპიური“, ბერძნული თემის გაზეთი „ბათუმი“.

**სპორტი**

აშენდა: საერთაშორისო სტანდარტების ჩოგბურთის კორტების პირველი რიგი. მალე მწყობრში დადგება მეორე რიგი.

მიმდინარეობს: – ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთის სტადიონის რეკონსტრუქცია.

გაიმართა: – საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ბრაზილიის ჩემპიონსა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შორის ბათუმის სტადიონზე.

შეიქმნა: – ტრადიციული კარატეს ცენტრი.

გარდა ამისა,ვუმასპინძლეთ ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს. ბათუმში ჩატარდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის გამსვლელი სხდომა აჭარაში. ყველა რელიგიის მიმდევრებს დაუბრუნდათ მათი ეკლესიები და სალოცავები. ხელვაჩაურში აშენდა ბერძნული ეკლესია. პირველად საქართველოში შეიქმნა სოროპტიმისტთა ევროპის ფედერაციის კლუბი „ბათუმი“.



აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ასლან აბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი აჭარა

(მიმოხილვა)

> პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო

I.

საქართველოს რესპუბლიკის ერთობა-მრავალფეროვნების ერთერთი წალკოტია, — განსაკუთრებით აფხაზეთის გვერდით — აჭარა, რომელსაც ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში უძღვნის მისი ოფიციალური ორგანოს — „მებრძოლი საქართველოს“ — სპეციალურ ნომერს, რომელშიც უმთავრესად ასახულია ჩვენი აჭარის დღევანდელი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური მდგომარეობა. „ჩვენს აჭარას“ — „ჩვენი აფხაზეთის“, „ჩვენი ქართლის“, „ჩვენი კახეთის“, „ჩვენი იმერეთის“, „ჩვენი სამეგრელოს“, „ჩვენი გურიის“, ჩვენი რაჭა-ლეჩხუმის“, „ჩვენი მესხეთის“, „ჩვენი სვანეთის“, „ჩვენი თუშ-ფშავ-ხევსურეთის“ თუ „ჩვენი ხევის“ გვერდით, — „მებრძოლი საქართველოს“ სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, — იმიტომ მიეძღვნა, როგორც „პირველს“, ეს სპეციალური გამოცემა, რომ ჩვენი აჭარის მოსახლეობამ და ხელმძღვანელობამ, განსაკუთრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონ ასლან აბაშიძემ, ყველაზე უფრო გონივრულად წარმართა აჭარის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრება აწ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის პოსტბოლშევიკურ ხანაში. ამის შედეგად, საქართველოს სხვა მხარეებთან, განსაკუთრებით აფხაზეთთან და შიდა ქართლთან შედარებით, — აჭარაში მთელი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ყოფაცხოვრების გარდაქმნა წარიმართა დემოკრატიული, სამართლებრივი, კანონის უზენაესობის დაცვის გზით, რადგან ხალხი და მისი ხელმძღვანელობა დაეყრდნო საერთოდ აღიარებულ რწმენას, რომ პოლიტიკა არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნებაა, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო.

II.

საქართველო, როგორც ქვეყანა, სახელმწიფო კლასიკურად დამთავრებულს, მთლიანს წარმოადგენს ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიკურად და ეთნოგრაფიულად. საქართველოს საზღვრები ამოხაზულია გეოგრაფიულად, რამაც განაპირობა მისი სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიაც; ამგვარად, საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული, რომელიც შეკავშირებულია მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ერთობით. საქართველოს ჩრდილოეთით აკრავს კავკასიონის ქედი, მისი მთავარი შტოებით; სამხრეთით მას ზღუდავს აგრეთვე თოვლიანი მთების ერთი მთლიანი სისტემა: სამხრეთ კავკასიის მთავარი წყალგამყოფი ქედი, მტკვრისა და ჭოროხის აუზების სამხრეთმიჯნაზე შემორტყმული; დასავლეთით საქართველოს არტყია შავი ზღვა; და მხოლოდ ერთი ვიწრო პირით, აღმოსავლეთის მხრიდან, ეკვრის საქართველო აზერბაიჯანის ბარს, მაგრამ აქედანაც მას მდინარეების ერთიანი ხაზი გამოყოფს: კავკასიის მთავარი მდინარე მტკვარი, თავისი შემდინარეებით: ძეგამით და ალაზან-ქურმუხით.

III.

საქართველოს საზღვრების ეს ბუნებრივი დამთავრება გეოგრაფიულ მიჯნებზე, წინასწარ განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკურ მთლიანობას; საქართველოს თითოეული მხარე მჭიდრო სამეურნეო ურთიერთობით არის შეკავშირებული დანარჩენ მხარეებთან, და, ამავე დროს, მეზობელ ქვეყნებიდან გამოყოფილია ბუნებრივი ზღუდეებით, და ამიტომაც საქართველოს არც ერთ კუთხეს არ შეუძლია ეკონომიკურად არსებობა მთლიანი საქართველოს გარეშე. ჩამოჭრა საქართველოდან რომელიმე კუთხისა, რომელიც გეოგრაფიულადაც გადაბმულია ერთმანეთთან, ეს იქნებოდა ერთი ორგანული ეკონომიკური სხეულის დასახიჩრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IV.

აჭარა სანიმუშოა დემოგრაფიულად საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით:

ტერიტორია: 2900 კვადრატული კილომეტრი;

მოსახლეობა: 1979 წლის აღწერით: 354000 სული; აქედან: ქართველები — 80,1 პროცენტი; რუსები — 9,8 პროცენტი; სომხები — 4,5 პროცენტი; ბერძნები — 2,0 პროცენტი; უკრაინელები — 1,5 პროცენტი; აფხაზები — 0,4 პროცენტი და სხვა.

დედაქალაქი: ქ. ბათუმი

აჭარაშია ხუთი ადმინისტრაციული რაიონი: ქობულეთის, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის და ხულოს რაიონები და შვიდი დაბა: მახინჯაურის, ოჩხამურის, ქედის, შუახევის, ჩაქვის, ხელვაჩაურისა და ხულოს დაბები; საქართველოს რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქია ბათუმი, ხოლო რაიონული დაქვემდებარების ქალაქი — ქობულეთი.

**საქართველოს რესპუბლიკა (ფრანგული გაზეთი „ლე მონდ“, 25.8. 1995 წელი):**

ტერიტორია 69700 კვადრატული კილომეტრი;

მოსახლეობა: 5470000 სული 1993 წლის მონაცემებით; აქედან —

ქართველები..................................70,1 პროცენტი;
სომხები........................................8,1 პროცენტი;
რუსები..........................................8,3 პროცენტი;
აზერბაიჯანელები.........................5,7 პროცენტი;
ოსები............................................3,0 პროცენტი;
ბერძნები.......................................1,8 პროცენტი;
აფხაზები.......................................1,8 პროცენტი;
უკრაინელები.................................1,0 პროცენტი.

## V.

და თვით აფხაზობა, როგორც ეს ნათქვამია 1918 წლის 4—6 ივლისის „სამახსოვრო ცნობაში“ (ქ. კონსტანტინეპოლი), —„ქართველობასთან შეკავშირებულია მრავალსაუკუნოვანი კულტურული ერთობით. აფხაზობა თაობითვე შედიოდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთეულში, და აფხაზთა ტომს, მიუხედავად მისი რიცხობრივი სიმცირისა, დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ისტორიის წინაშე; აფხაზეთში დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღორძინება (ამის ანარეკლი შენახულა ქართველ მეფეთა ტიტულატურაშიაც, რომელიც ასე იწყებოდა: „მეფე აფხაზთა და ქართველთა“), ქართული დინასტიაც კი ნახევრად აფხაზური იყო... მოკლედ,საქართველოს ოც-საუკუნოვანი ისტორია ეს ამავე დროს აფხაზეთის ისტორია არის“.

## VI.

და ამგვარი ისტორიული ექსკურსი „ჩვენი აფხაზეთისა“ იმიტომ მოვიყვანეთ „ჩვენი აჭარის“ დღევანდელი მდგომარეობის ასახვის ფონზე,რომ კიდევ უფრო ნათელი გავხადოთ აჭარის მოსახლეობისა და მისი ხელმძღვანელობის გონივრული მოქმედება საქართველოს აწ დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოში: ჩვენმა აჭარამ გვაჩვენა ჩვენ, საქართველოს ყველა მხარეებს, რომ აჭარა არის იმ ქართული მიწის შემადგენელი ნაწილი, საიდანაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ერთიან და განუყოფელ სახელმწიფოებრიობას, რასაც მოყვა დავით აღმაშენებლისა და თამარის „დიდი ოქროს ხანა“, რის ლოღიკურ მემკვიდრედ უნდა ჩაითვალოს „პატარა ოქროს ხანა“ — 1918—1921 წლები — რამაც — თავის მხრივ — შობა 26 მაისის აწ უკვე რესპუბლიკური საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რასაც ფრთა ისევ შეესხა, როცა 1991 წლის 9 აპრილს ისევ აღსდგა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა; და ამ პროცესში აჭარამ და მისმა ხელმძღვანელობამ ისევ გამოაცოცხლა ქართული დემოკრატიული ტრადიციები, რომელიც მოგვცა სწორედ აღნიშნულმა „პატარა ოქროს ხანამ“ — საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციით და, თუ განებავთ, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულებით, რომლითაც რუსეთმა იცნო „საქართველოს საზღვრების ბუნებრივი დამთავრება გეოგრაფიულ მიჯნებზე“, რის შედეგად საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია 91000 კვადრატულ კილომეტრს უდრიდა; მაგრამ — დაიპყრეს რა დამოუკიდებელი საქართველო 1921 წლის 25 თებერვალს — ბოლშევიკებმა საქართველოს აღნიშნული ბუნებრივი ტერიტორია,

როგორც ამბობენ, „მარჯვნივ და მარცხნივ" დაარიგეს, რის შედეგად საქართველოს ტერიტორია 69700 კვ. კილომეტრამდე დავიდა, რასაც მოყვა საქართველოს აჭრელება ეთნოგრაფიულ-დემოგრაფიულადაც.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

## VII.

ყველაზე უფრო უგუნური ეთნოგრაფიულ-დემოგრაფიულადაც, საქართველოს მხარეებს შორის, გამოდგენ აფხაზი ექსტრემისტები, რომლებიც — გაებენ რა დიდმპყრობელ შოვინისტების იმპერიულ მახეში — ყველაზე უფრო დიდი ზიანი მიაყენეს არა მარტო ქართველობას, რომლებიც უცხო იარაღის დახმარებით გაყარეს საქართველოს ამ ორგანულ კუთხიდან, არამედ დიდი ზიანი მიაყენეს აგრეთვე თვით აფხაზობას, რომლის ახალგაზრდობა დაიხოცა მათი ძმების ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში, ან უკვე იხრჩობა სამშობლოშივე არაქართველ ჩასახლებულთა მორევში; და ამგვარი ეროვნული ტრაგედიის ფონზე, ისევ მაგალითის მომცემია ჩვენი აჭარა ეროვნული მეობის შენარჩუნებისა და აყვავების მხრივაც.

## VIII.

და საქართველო, — ასე კლასიკურად დამთავრებული თავის საზღვრებში, თვით ბუნებისაგან გამოკვეთილ მიჯნებზე, ჩამოქნილი ერთ ორგანულ სხეულად, — მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ერთობით, ეთნოგრაფიულადაც ერთ მთლიანობას წარმოადგენს: საქართველოში ქართული ელემენტი მთელი მოსახლეობის ორ-მესამედზე მეტია, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი, თითქმის უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, ყოველთვის ხელს უწყობდა საქართველოში უცხო ელემენტების ჩამოსახლებას, რასაც დღესაც აწარმოებს ოსი და აფხაზი ექსტრემისტების ნიღბით, როცა, მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალწინ, აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან გამორეკა, როგორც დიდი ფრანგული გაზეთი „მონდი" (25.8.1995 წ.) წერს, ხუთასი-ათასი ქართველი და მთელი საქართველოს მოსახლეობის თითქმის მეათედ ნაწილს, უფლებას არ აძლევს დაბრუნდნენ თავიანთ სახლკარში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკა უკვე, 1991 წლის 9 აპრილიდან, დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა, რაც რუსეთმაც სცნო 1994 წლის 3 აპრილის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით.

## IX.

აი, ტერიტორიული მოწყობა აჭარის და სრულიად საქართველოსა:

**ამონაწერი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციიდან.**

**„თავი მეთერთმეტე. ავტონომიური მმართველობა.**

**მუხლი 107.** საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს — აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლი თველოს (ბათომის მხარე), ზაქათალას (ზაქათალას ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა.

**მუხლი 108.** წინა მუხლში მოხსენიებულ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებულ იქნება ცალკე კანონით".

**ამონაწერი საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციიდან.**

**„შესავალი" და თავი პირველი:**

საქართველოს კონსტიტუცია ეყრდნობა „...ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს..."

**მუხლი 1.** საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით".

## X.

საყურადღებოა აგრეთვე საქართველოში სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის სანიმუშო, ჰუმანიტარული გადაწყვეტა. „აჭარაში ქრისტიანობა ადრე გავრცელდა. ისტორიული ტრადიცია ამ მოვლენას ანდრია მოციქულის (I საუკუნე) სახელს უკავშირებს... 1614 წელს აჭარა კვლავ ოსმალთა ხელში მოექცა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში აჭარის ფეოდალებმა მუსლიმანობა მიიღეს, გლეხობა კი კვლავ ქრისტიანობას იცავდა. ქრისტიანული სარწმუნოება აჭარაში ნაწილობრივ XVIII საუკუნის მიწურულამდე შემორჩა". (ქ.ს.ე., საქართველო, თბილისი, 1981 წელი, გვ. 326).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს კონსტიტუცია. მიღებული 1921 წლის 21 თებერვალს:**
**„თავი მეთექვსმეტე. სახელმწიფო და ეკლესია.**
**მუხლი 142.** სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოუკიდებელნი არიან.
**მუხლი 143.** არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა.
**მუხლი 144.** ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია".
**საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს.**
„თავი პირველი:
**მუხლი 9:** სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან".

## XI.

საქართველოს ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ერთი ამონაწერი ნოე ჟორდანიას მოგონებიდან — „ჩემი წარსული" — (პარიზი, 1953 წელი, გვ. 181—187), რომელშიც ეხება რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომს. ნოე ჟორდანია წერს:
„ომის დაწყებისთანავე ვაწარმოებდით პოლიტიკურ მუშაობასაც. ყველა წარმომადგენელნი უცხო სახელმწიფოსი ჩვენ თანაგვიგრძნობდა, ეჭვს მიბადებდა მხოლოდ ერთი — ოსმალეთის ელჩი კიაზიმ-ბეი. ის გამოცხადდა ჩემთან მეორე დღესვე და გამიცხადა სრულიად კატეგორიულად: ჩვენი ინტერესია საქართველოს დამოუკიდებლობა და ამ მიზნის მისაღწევად არ დავერიდებით ომსაც ბოლშევიკების წინააღმდეგო. ასეთია ჩვენი მთავრობის აზრიო. ეს იყო პირდაპირ ჩვენი გაკეთება, ვინაიდან ვიცოდით რა დიდ მნიშვნელობას აძლევს მოსკოვი ოსმალოს ნეიტრალობას. კიაზიმმა მაშინვე დაგვაკავშირა პირდაპირ მავთულით ჩვენს წარმომადგენელთან ანგორაში, სვიმონ მდივანთან. ის გვატყობინებდა თავის მუშაობის ხასიათს, მთავრობის წევრების ყოყმანს და გამოსთქვამდა იმედს ჩვენი ხაზის გამარჯვებისა. ამავე დროს კიაზიმმა გვთხოვა მისთვისაც მიგვეცა საშუალება პირდაპირი კავშირის ანგორასთან და მოსკოვთან. ეს უკანასკნელი წინადადება არ მომეწონა, მაგრამ რაკი დაპირებები იყო დიდი, დანაშაულობა იქნებოდა ის ჩამენგრია ტექნიკური საკითხებისათვის. კიაზიმი ხშირათ ელაპარაკებოდა შტაბიდან ანგორას და მოსკოვს, ერთხელაც ვერ გავიგეთ როგორ და რაზე. უეჭველია ამ დროს იყიდეს ოსმალოს ნეიტრალობა მოსკოველებმა არტაანის და ართვინის დათმობით... ევროპიდან არაფერი კონკრეტული არ მოგვდიოდა, არავითარი დახმარება, ხოლო ოსმალოდან კი მივიღეთ მტრული დამოკიდებულება. დიპლომატიური მუშაობა აღმოჩნდა უნაყოფო. ამიტომ გავაგრძელეთ პოლიტიკური აგიტაცია მოსკოვზე შთაბეჭდილების მოსახდენად. ჩვენი დეპეშები, ინფორმაციები ცხადდებოდა ევროპაში, ქონდა ადგილი გამოსვლებსაც მოსკოვის წინააღმდეგ: ამ კამპანიაში მოსკოვმა დაიჭირა ყალბი პოზიცია — უარყო ომი და დააწვა აჯანყების აფეთქებას. ეს ალარავის სჯეროდა, გარდა მოსყიდული კომუნისტებისა... 24-ს ნაშუალამევს (24 თებერვალი, 1922 წელი; კ.ი.) დაიწყო უკან დახევა (თბილისიდან, კ. ი.)..."
„დავბინავდით ბათუმში, მაგრამ ეს პლანი სავსებით ჩაგვინგრია ოსმალეთმა; უცებ მოულოდნელად დაგვარტყა ბათუმის მხრით და მოინდომა ქალაქის დაჭერა. აღმოვჩნდით ორ ცეცხლს შუა... გამოსავალი არ იყო, ან შერიგება მდგომარეობასთან და ცნობა მოსკოვის ოკუპაციის, ან საზღვარგარეთ გასვლა ნაციონალური დროშით და ბრძოლის გაგრძელება... ამ ხნის განმავლობაში შედგა დამფუძნებელი კრების სხდომა, დაამტკიცა ჩემ მიერ წარდგენილი სია მთავრობისა (მე არ დავსწრებივარ) და აღგვჭურვა შესაფერი მანდატით უცხოეთში სამუშაოთ..."
„ბათუმში დაპატიმრებული ბოლშევიკები გავანთავისუფლეთ; მოვიდენ ჩემ ვაგონში მოსალაპარაკებლად. საუბარი იყო მოკლე: ჩვენი საერთო ინტერესია მხოლოდ ერთი — ბათუმის და მისი ოლქის საქართველოს საზღვრებში დარჩენა , რა გინდ წყობილება იყოს აქ; თუ შეგიძლიათ ამ ხაზზე იმოქმედეთ, დაეხმარეთ ჩვენს ჯარებს ოსმალოს ბათუმიდან გასარეკათ, — განვუცხადე მე. ამით დავშორდით. ამავე დროს ხდება სოციალ-დემოკრატიული პარტიის და მისი დეპუტატების კრებები. მხოლოდ ეს პარტია არ გატეხილა და განაგრძობდა დგომას ბრძოლის პოზიციაზე. ამ ბრძოლის გაგრძელება თვით იკისრეს ახალი პირობებისგარეთ საქართველოში. ჩვენ, მთავრობას გზა დაგვილოცეს უცხოეთისაკენ. მთავრობა მაინც ფეხს ითრევდა, სამშობლოს დატოვება ადვილი არ ყოფილა... ბათუმის ქუჩებში უკვე გაჩაღდა ბრძოლა ჩვენს ჯარს და ოსმალოს შორის, გემზე გადავედით 16 მარტს... 17-ს დილით მივიღეთ ცნობა, რომ ჟლობას კავალერია დაბანაკდა ბათუმის ახლოს და მაშასადამე ყოველ საათში იყო მოსალოდნელი ჩვენი დატყვევება, ამავე დროს საჯავახოს გზით მოახლოვდა პირველი ეშელონი წითელი ჯარისა. იმავ დღეს დაიძრა ჩვენი იტალიური გემი და გამოვსწიეთ სტამბოლისაკენ.
სტამბოლში მინახულა საფრანგეთის ელჩმა შევალიემ, შემდეგ იტალიის — ჩერუტიმ და ორივემ თავიანთი მთავრობის სახელით გადმომცენ მიპატიჟება მათ სამშობლოში... შევალიეს მიპატიჟება მივიღეთ, ჩერუტს მადლობა გამოუცხადეთ... აპრილის პირველ რიცხვებში ჩავედით პარიჟში..."

ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის შესახებ, საქართველოს სამხედრო მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე ამბობდა: „ქართველ ხალხთან ერთად მისი ერთსულოვანი ნებით დაყენებული მთავრობა თავისი ძალ-ღონით წინ აღუდგა საქართველოში შემოჭრილ უცხო ძალებს და ეს ხუთი კვირაა, რაც ის, ქართველ ჯარსა და ქართველ სახალხო გვარდიას დაყრდნობილი, აწარმოებს ქვეყნის დაცვას. ხუთი კვირის მძიმე ბრძოლამ გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეებთან ნათელჰყო ქართველი მხედრობის მხნეობა და თავდადება და ქართველი ხალხის ერთსულოვნება და სიმტკიცე დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვის საქმეში. ეს ომი, რომელსაც ერთი წუთითაც კი არ მიუღია სამოქალაქო ომის ხასიათი, გრძელდება დღემდის. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს კიდევ უფრო ძლიერ გართულდა და გამწვავდა საქართველოს სამხედრო მდგომარეობა. ანგორის მთავრობამ, ისარგებლა რა ჩვენი მდგომარეობით, უკვე დაიპყრო არტაანისა და ართვინის ოლქები. ახლა როდესაც საქართველოს მთავრობის პოლიტიკურსა და სამხედრო ბაზას წარმოადგენს ბათუმი, ანგორის ჯარები თავს გვესხმის ზურგიდან და აპირებს ბათუმისა და მისი ოლქის დაპყრობას. ასეთ პირობებში საქართველოს მთავრობას მდგომარეობა აიძულებს მთელი თავისი ყურადღება მიაპყროს ტერიტორიის მთლიანობის დაცვას და არავითარ შემთხვევაში ნებით თუ უნებლიეთ არ შეუწყოს ხელი ბათუმის და მისი ოლქის ოსმალეთის მიერ დაპყრობას“. (გრიგოლ ლორთქიფანიძე: „ფიქრები საქართველოზე“, თბილისი 1995, გვ. 8—9).

## XII.

მართალია, დღეს „საქართველო, როგორც ქვეყანა, სახელმწიფო კლასიკურად დამთავრებულს, მთლიანს“ არ წარმოადგენს, სულ ცოტა, გეოგრაფიულად, იმის გამო რომ — დაიპყრეს რა დამოუკიდებელი საქართველო 1921 წლის 25 თებერვალს — ბოლშევიკებმა საქართველოს სახელმწიფო „კლასიკურად დამთავრებული, მთლიანი ტერიტორია“ მეზობელ ქვეყნებს დაურიგეს და თვით რუსეთმაც კი მიიტაცა ჩვენი ჯიქეთი, ე. ი. სოჭი და მისი რეგიონი, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს. მაგრამ მაინც არსებითია ფაქტი: 1993 წლის 18 თებერვლის დიდი ფრანგული გაზეთი „ლე მონდი“ წერდა: — „... როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, ისევე რუსეთი და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მტკიცედ იცავენ საქართველოს ტერიტორიალურ ინტეგრიტეტს“, ე. ი. საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას საბჭოთა საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას საბჭოთა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, რაც არის დღეს აწ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ტერიტორია; და საქართველოს ამგვარი ტერიტორიული მთლიანობა დადასტურებულია რუსეთ-საქართველოს 1994 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულებით. და ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა, რომ საქართველოს ეს იურიდიული უფლებამოსილება პრაქტიკულადაც განვახორციელოთ განსაკუთრებით აფხაზეთსა და შიდა ქართლში, რომლის დროს ასევე გადაუდებელი ამოცანაა ქართველი ლტოლვილების დაბრუნება საქართველოს ამ რეგიონებში.

## XIII.

აჭარისა და ამით სამუსლიმანო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში კი გადამწყვეტი როლი ითამაშეს, მთელს საქართველოსთან ერთად, თვით აჭარლებმა. უთუოთ, ამით აიხსნება აჭარის დღევანდელი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური სტაბილურობა, რაც მაგალითის მიმცემია საქართველოს ყველა რეგიონისათვის, განსაკუთრებით იმ მხრივაც, რომ აჭარაში ადგილი არ ჰქონია კანონის უზენაესობის დარღვევებს, რადგან „26 მაისის“ დემოკრატიული ტრადიციები წარმოუდგენელი სისწრაფით აღსდგა და ჩაინერგა მთელს მოსახლეობაში, რამაც უზრუნველჰყო აღმასრულებელი, კანონმდებელი და მართლმსაჯულებითი ორგანოების შეხმატკბილებული ურთიერთობა, რამაც — თავის მხრივ — სახელმწიფო ხელისუფლება, მისი ხელმძღვანელობა და მოსახლეობა ერთ მთლიანობად აქცია მრავალფეროვნებაში.

## XIV.

აი, ამგვარი გონივრული, რეალური პოლიტიკით აიხსნება ის მდგომარეობა, რომ აჭარაში დღეს ყველაზე უფრო ნაკლებად შეინიშნება პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური სიძნელეები, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოს რესპუბლიკის სხვა რეგიონებში. და, ვფიქრობთ, რომ აჭარის დღევანდელი მდგომარეობის ასახვა, საქართველოს ისტორიული განვითარების ფონზე, უთუოთ, ხელს შეგვიწყობს გარდავლახოთ ის სიძნელეები, რომლებიც წინ ეღობება საქართველოს რესპუბლიკას დემოკრატიული, სამართლებრივი შექმნის გზაზე.

## XV.

გავყვეთ ჩვენი წალკოტის, აჭარის მოსახლეობისა და ხელმძღვანელობის იმ რწმენას, რომ — როგორც აღვნიშნეთ — პოლიტიკა არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნებაა, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო და პოლიტიკური შემოქმედების ეს გონივრული მრწამსი 26 მაისის დიადი იდეებიდან გამომდინარეობს, რის სანიმუშო მაგალითი თვით ჩვენმა აჭარამ მოგვცა.

XVI.

მაშ, ვისწავლოთ აჭარლებისგან, და მოვიგონოთ, რომ საქართველოს სახელმწიფოს აყვავების, ერთობისა და სტაბილურობის იდეა, ისტორიულადაც, სწორედ ამ რეგიონში წარმოიშვა, რასაც მოყვა საქართველოს ერთობა მრავალფეროვნებაში, რომლის კულმინაციური წერტილი გახდა დავითისა და თამარის „დიდი ოქროს ხანა“.

უნდა აღვკვეთოთ საქართველოს ტერიტორიული და ეთნოგრაფიული დაქუცმაცების ცდები, რომელსაც თავზე გვახვევს ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტები. საქართველო ისევ უნდა გახდეს გეოგრაფიულად, ეკონომიკურად და ეთნოგრაფიულად ერთი კლასიკურად დამთავრებული მთლიანი მის ბუნებრივ გეოგრაფიულ მიჯნებში.

XVII.

წავბაძოთ ჩვენი აჭარის მაგალითს!.. ამისათვის კი საჭიროა, როგორც დიდი ფრანგული გაზეთი „მონდი“ წერდა (1995 წ., 25 აგვისტო), — არა „ლირიკული ნაციონალიზმი“ ან, დავძენთ ჩვენ, „ლირიკული ინტერნაციონალიზმი“, არამედ „ოქროს შუალედის“ პოლიტიკა, რომელიც არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნებაა, არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო; და ჩვენ აჭარა სწორედ ამგვარ მაგალითს გვთავაზობს.

კარლო ინასარიძე

პარიზი -ლევილი, 1996 წლის ოქტომბერი




საქართველო — „დაქუცმაცებული ქვეყანა“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ერი და აღორძინება

ძლიერი განსაცდელის ჟამს ადამიანი ან ხელს გამოიღებს, ძალას მოიკრებს და გამოსავალს მოძებნის, ან თუ სუსტი და უნებისყოფოა, ხელს ჩაიქნევს და ცხოვრების დინებას მინებდება. ერიც ასევეა. სწორედ ურთულეს დროს გამოჩნდება მისი ძალა და სიცოცხლის უნარი, ისიც თუ რა სიბრძნისა და გონების პატრონია.

სამწუხაროდ, საქართველოში ერთგვარ ჩვევად იქცა ერის უბედურებაზე ლაპარაკი. ეგ კიდევ არაფერი, — საშიში ისაა, რომ ერი არა თუ შეეჩვია და შეეგუა ყოვლისდამთრგუნველ გასაჭირს, არამედ მას ქვეყნისათვის თანდაყოლილ ბედად თვლის, ფარ-ხმალს ყრის და ხელოვნურად შექმნილი სირთულეების გამართლებას ეძებს. ხანდახან ისიც მოეჩვენება კაცს, რომ ერი ამაყობს კიდეც თავისი მძიმე წარსულით: ხედავთ, დღემდე მაინც მოვაღწიეთ, შევინარჩუნეთ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა, ჩვენი კულტურაო. მაგრამ ეს სუსტის პოზიციაა. გასაჭირს მხოლოდ სუსტი შეიძლება შეეჩვიოს. ძლიერი უთუოდ იბრძოლებს, იბრძოლებს იმიტომაც, რომ დათრგუნულად ყოფნა მისი ბუნებრივი მდგომარეობა არაა.

კაცმა რომ თქვას, სულაც არ არის საქართველოში გამოუვალი მდგომარეობა. არაფერი ისეთი არ გვჭირს, ჩვენზე არანაკლებ გამოჩინებულ ნებისმიერ ერს რომ არ გადაეტანოს რამდენჯერმე მაინც. ჩვენი ერის ისტორიაში არაერთხელ ყოფილა პერიოდი, როცა ლამის იმედი გადაგვეწურებოდა ხოლმე, ომებში ვმარცხდებოდით, ვშიმშილობდით... მაგრამ ყველაზე მძიმე წუთებშიც კი ჩვენი წინაპრები მაინც ხელთუქმნელ ძეგლებს ქმნიდნენ — აშენებდნენ, წერდნენ, თარგმნიდნენ... გასაჭირი თავისთავად უბედურება არაა. უფრო მეტიც, ეს ამა თუ იმ ისტორიულ ეტაპზე თითქმის გარდაუვალი პროცესია. ერი, საზოგადოდ, საუკუნეების მანძილზე არსებობს, ყალიბდება და, ცხადია, ამ უსასრულო დროის განმავლობაში ხან გაჭირვებული იქნება, ხანაც დალხინებული, გამომდინარე იქედან, თუ რა ისტორიულ გარემოში უხდებოდა ცხოვრება და რა კოჰორტა ედგა მას სათავეში. დიდი ილია წერდა: „ჩვენს ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ

---

* ბატონ ასლან აბაშიძის წინამდებარე წერილი პირველად გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის ახლახან დაარსებულ გაზეთში „ერი და აღორძინება“ (N 1, 12—19 აგვისტო, 1995). ვფიქრობთ, იგი საინტერესო იქნება „მებრძოლი საქართველოს“ მკითხველებისთვისაც, რადგან კარგად გვითვალისწინებს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რასაც ჩვენი ქვეყნისათვის ამ უმძიმეს ჟამს და მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანისათვის ისახავს სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი, რომლის თავმჯდომარე ბატონი ასლან აბაშიძე ბრძანდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ასეა, ამის საბუთი თვალწინ გვაქვს.

რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორი ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, თუ ჩვენს წარსულს ჩვენთვის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა. ეს ერთის მხრით. მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებასა თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრებაში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას".

თვითკრიტიკულად უნდა ვაღიაროთ, რომ ის ქვები, რომლებსაც დღეს ვყრით ამ საძირკველში, ბევრი მაინც არც ახლა გამოირჩევა სიმაგრით. უმთავრესი აქ ორი რამაა: პირველი, — სურვილი და ერთიანი მიზანმიმართული ბრძოლა გასაჭირიდან თავის დაღწევისათვის, მეორე, და რაც მთავარია, — დავისახოთ უმაღლესი მიზანი, რომ გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნისა და ერის განუზომელი პოტენციალი, რათა უმოკლეს დროში არა მარტო წელში გავიმართოთ და მყარად დავდგეთ ფეხზე, აღვადგინოთ სახელმწიფოს ერთიანობა, არამედ გამორჩეული ადგილიც დავიჭიროთ მაღალგანვითარებულ, ცივილიზებულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.

რასაკვირველია, აქ ჭეშმარიტი ბრძოლა იგულისხმება და არა ლიტონი სიტყვები. რამდენი „მოღვაწე" გვინახავს, რომელსაც სამშობლო მხოლოდ მაშინ უყვარს, როცა სხვას ასწავლის მამულისათვის თავდადებას. ამ „მჭევრმეტყველთაგან" ბევრს რომ დააკვირდე, აღმოჩნდება, რომ ერთი პატარა საქვეყნო პრობლემაც კი არ გადაუწყვეტია, სულ მცირედით მაინც რომ წაადგებოდა მამულსა და ხალხს. მარტოოდენ სიტყვა ვერ იხსნის ერს. საყოველთაო შრომა და გარჯა უნდა იყოს ერის მეგზური. საქმეა აუცილებელი, საქმე მუხლჩაუხრელი და, რაც მთავარია, ურთიერთთანხმობა, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ერის, ქვეყნის წინსვლა. შემთხვევით როდი ბრძანებდა სულმნათი ილია: „მამული!... ამ სიტყვის ყოვლისმპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, სადაც სახლობა დარღვეული არ არის და განთვითეულება, — ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მომნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულისა — მთელის ხალხი და მთელის ხალხს თითოეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. აქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, თავის ქვეყნის ნაღვლითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია და ყოველში ყველა არის".

ქართველი ერი გამუდმებით იბრძოდა ფიზიკური და სულიერი გადარჩენისათვის. იბრძვის დღესაც. მაგრამ ამ ბრძოლას მარტო სურვილი და იარაღი ვერ გასწვდება: კვლავ და კვლავ საჭიროა უმთავრესი მიზნის დასახვა და მის მისაღწევად გონივრული, შეუცდომელი, მტკიცე, უზიგზაგო ნაბიჯებით სვლა.

დღევანდელი დაცემის მიზეზებს ბევრი ქართველი ერის ბუნებაში ეძებს. თითქოს ქართველებს არ გააჩნდეთ უნარი სახელმწიფოს მშენებლობისა, თითქოს, მხოლოდ შური, გაუტანლობა, ურთიერთმტრობა ქართველისათვის ცხოვრების ჩვეულებრივი წესი იყოს. ამგვარი პოზიცია საკუთარი თავის, სულიერი ძალებისადმი რწმენის დაკარგვას უწყობს ხელს. რწმენის გარეშე კი ზედმეტია ლაპარაკი უმაღლეს მიზანზე — ერის აღორძინებაზე! რწმენა და წრფელი ურთიერთნდობაა მთავარი!

ზემოთ უკვე ითქვა, ერთი ჩვეულებრივი ერი ვართ და არაფერი ისეთი არ გვჭირს, სხვას რომ არ გადახდენოდეს თავს. სხვა იქნებ უარეს დღეშიც ყოფილა. უბრალოდ, ყველა ამჟამინდელი უბედურება ჩვენს თავს ტრიალებს და იმიტომაც განვიცდით ასე მძაფრად, თორემ ისტორიისათვის ხუთიოდ და თუნდაც ოციოდ წელი არაფერია, გაელვებაა მხოლოდ.

ჩვეულებრივი ერი ვართ-მეთქი და უფრო ღრმად თუ ჩავიხედავთ ისტორიაში, სამწუხაროსთან და გულის გასატეხთან ერთად საქვეყნოდ ცნობილი უამრავი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ ჩვენმა შედარებით მცირერიცხოვანმა ერმა წარუშლელი კვალი დააჩნია არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ კაცობრიობის ისტორიას პოლიტიკურ, სამხედრო, კულტურულ, სამწერლო თუ სამეცნიერო ასპარეზზე.

ეს რწმენა უნდა აღიდგინოს ერმა უპირველესად, რადგანაც თუ ერს საკუთარი თავის რწმენა აღარა აქვს, მას ეჭვი შეეპარება მომავალ წინსვლასა და განვითარებაზე.

ძლიერ საქართველოზე ფიქრისას არა მარტო პოლიტიკური გამჭრიახობა, არამედ სიბრძნე, სიფხიზლე და უდიდესი ტაქტია საჭირო, მითუმეტეს დღეს, რადგან შეიძლება დღეისათვის ნაკლებ აქტუალური, ხვალ უაღრესად სახიფათო გახდეს. სხვა უმთავრეს მომენტებთან ერთად, ამაზე იმიტომ მსურს გავამახვილო ყურადღება, რომ საქართველოს მიწაზე ჩვენთან, ქართველებთან, ერთად ცხოვრობენ ჩვენი ჭირისა და ლხინის თანამოზიარე სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის მქონე მოსახლეობა. ქვეყნისათვის ამ საერთო შეჭირვების ჟამმა არ უნდა შეგვანელებინოს ქართველი ერისათვის ისტორიულად ჩვეული სხვა ერთა შვილებისადმი განსაკუთრებულად თბილი ყურადღება, რადგანაც სრული, ძლიერი, ქართული სახელმწიფოს შექმნა წარმოუდგენელია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის მქონე მოსახლეობის ერთიანი ძალისხმევის გარეშე. დღენიადაგ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ, ქართველები, — აფხაზებთან, ოსებთან, რუსებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან და სხვებთან ერთად ერთ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და მხოლოდ ერთიანი ინტერესებით უნდა ვმოქმედებდეთ. ისტორიული რეალობაა — ჩვენ ან ერთად დავიღუპებით ან ერთად ავაშენებთ

ძლიერ, ჭეშმარიტად დემოკრატიულ საქართველოს! ჩვენი ძლიერება ურთიერთთანხმობასა და თანაარსებობაშია. ეს უნდა იყოს არა ოდენ დეკლარირებული ინტერნაციონალიზმი, რამაც საბოლოოდ ეთნოკონფლიქტებამდე მიგვიყვანა, არამედ უნდა წარიმართოს მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც წინ დააყენებს და ზრუნვის უმთავრეს სუბიექტად აქცევს უპირველესად საქართველოს მოქალაქეს. ამასთან ერთად, ახლო და მეგობრული ურთიერთობა უნდა შევინარჩუნოთ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებთან, რომელთა გვერდით ყოფნა გვარგუნა ისტორიულმა და გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ. ეს არ არის იძულებითი ნაბიჯი, გამოწვეული დროებითი პოლიტიკური სიძნელეებით, პირიქით, ეს იქნება დასტური ქართველი ერის ძლიერებისა, მაჩვენებელი იმისა, რომ ქართველები სულიერადაც და ინტელექტუალურადაც მზადა ვართ გავითავისოთ ახალი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები და სხვა ერებთან ერთად ღირსეულად გავუსწოროთ თვალი XXI საუკუნეს!

ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების საგანი უნდა გახდეს ინტელიგენცია — განათლების, ჯანმრთელობის, კულტურის, მწერლობის, მეცნიერების წარმომადგენლები, მშრომელი გლეხობა, მუშები, საზოგადოების ყველა ფენა... ერთი წამითაც არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი მომავალი — ახალგაზრდობა! ჩვენ უნდა ყველაფერი გავაკეთოთ, რომ მათ დღესვე შევუქმნათ და დავუტოვოთ ისეთი სახელმწიფო, რომლის მოქალაქეობაც მას უნდა ემაყებოდეს, რომლის სახელმწიფო ატრიბუტიკა — ჰიმნი, დროშა, გერბი ამაყად ჟღერდეს და ელავდეს პლანეტის ყველა კუთხეში. ჩვენ უნდა შევქმნათ და მომავალ თაობებს დავუტოვოთ ისეთი ქვეყანა, რომლის სამოქმედო დევიზი იქნება — მდიდარი მოქალაქე მდიდარ სახელმწიფოში!

ყველაფერი ამის გაკეთება დღესაც შესაძლებელია და ამიტომაც მისი განხორციელება სახვალიოდ არ უნდა გადაიდოს მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ურთულესი მდგომარეობაა. მოსაგვარებელია არა მარტო ეთნოკონფლიქტებთან დაკავშირებული საკითხები, არამედ, რაც მთავარია, უპირველესად ჩვენს შორის, ქართველთა შორის დაპირისპირება, რომ რაც შეიძლება ადრე იქნეს აღდგენილი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა.

ქვეყნის ძლიერება რომ ერის კონსოლიდაციაშია, თითოეულ ჩვენთაგანს ერთი წუთითაც არ უნდა გვავიწყდებოდეს. არა ვინმე სხვამ, როგორც გვჩვევია, არამედ სწორედ თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა იტვირთოს თავის წილი პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე. მართალია, ყველა ჩვენთაგანი სხვადასხვანაირად აღვიქვამთ ამა თუ იმ მოვლენას და აქედან გამომდინარე, სხვადასხვანაირად ვაზროვნებთ და ვმოქმედებთ, მაგრამ ქვეყნის და ისტორიის წინაშე ყველანი თანაბარი ვართ. ამიტომაც ვალდებულნი ვართ ვიხელმძღვანელოთ ამ პრინციპით და საკუთარ ვიწრო ინტერესებზე ამაღლებულებმა დავივიწყოთ წარსულის წყენანი, განვიწმინდოთ ამ ერ-

თობ უბადრუკი თვისებისაგან. გუშინდელი დღის ქექვით, ურთიერთის აუგად მოხსენიებით, ჩასაფრებით, ერთმანეთის დევნის გზით სიკეთეს ვერ ვნახავთ და წინ ვერ წავალთ.

ისიც უმთავრესად მიმაჩნია, რომ დღეს კუთხეში არ უნდა ვაქცევდეთ ძირითადად პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ახალგაზრდებს, რომლებიც ქვეყნის ორომტრიალმა ჩაითრია და ხვალინდელი დღის გაურკვევლობით დღეს თავგზააბნეული დარჩა, ისიც ჩვენი უფროსი თაობის დაუდევრობით. დღეს მათ და მოსწავლე თუ სტუდენტ ახალგაზრდობას შეუნელებელი თანადგომა და ცხოვრების გზის გაკაფვა სჭირდება. და თუ ახლავე არ გავისიგრძეგანებთ მის მნიშვნელობას, ხვალინდელი დღე როგორც ახლანდელი, ისე შემდგომი თაობებისათვის გაცილებით მძიმე იქნება.

ჩვენთან, აჭარაში, დასრულდა ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი სამომავლო განვითარებისა — მშვიდობის, სტაბილურობისა და წესრიგის დამყარების ეტაპი. პარალელურად, კარგა ხანია მიმდინარეობს მნიშვნელოვანი აღმშენებლობითი საქმიანობა ეკონომიკისა და სულიერი ცხოვრების სფეროში, მაგრამ მე ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, თითქოს, აბობოქრებული ზღვა გემს უფრო არწევდეს, ვიდრე მის გემბანზე მიმაგრებულ ნავს. აღორძინების პროცესმა არა მარტო მისი ერთი რომელიმე კუთხე, არამედ მთელი საქართველო უნდა მოიცვას.

საზოგადოების დიდმა ნაწილმა იცის, რომ აჭარაში შეიქმნა სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი, რომლის ზრუნვის საგანია მთელი სახელმწიფო და არა ერთი რომელიმე კუთხე. კავშირის შექმნა არის შედეგი აჭარაში მუდამ ცოცხალი ოცნებისა და ფიქრისა ერთიან, ძლიერ საქართველოზე! სწორედ ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ორგანოა გაზეთი „ერი და აღორძინება“. ამდენად იგი საზოგადოებას გააცნობს კავშირის მიზნებს და პოზიციას რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების მიმართ, მაგრამ იგი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და მის ფურცლებზე დიდი ადგილი დაეთმობა ლიტერატურას, ხელოვნებას, ისტორიას, ყველაფერ იმას, რაშიც განხორციელებულია ერის სული, რომელსაც როგორც ეროვნული, ასევე ზოგადსაკაცობრიო ფასეულობა გააჩნია.

გაზეთი „ერი და აღორძინება“ იქნება მოვლენების შეულამაზებლად ამსახველი და მკითხველამდე არ მიიტანს გამრუდებულ სარკეში დანახულ თუნდაც ერთ ფაქტს.

სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი პირნათელია ქვეყნის წინაშე, რადგან მან ბევრი რამ გააკეთა (ზოგჯერ შეუძლებელიც!) მის სასიკეთოდ. მაგრამ კიდევ ბევრი საქვეყნო საქმეა გასაკეთებელი და უამრავი კეთილი წამოწყებაა ბოლომდე მისაყვანი. სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი და მისი ორგანო „ერი და აღორძინება“ აქტიურად დაუჭერენ მხარს

ყველა პოლიტიკურ ძალასა თუ ორგანიზაციას, რომელიც სახელმწიფოს განმტკიცებისათვის იბრძოლებს. ეს მისი უპირველესი და უმთავრესი მიზანია.

აქ არ შემიძლია არ გავიხსენო ის ფაქტი, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ისტორიულად ანალოგიური საერთო შეჭირვების ჟამს, 1919–20 წწ. ბათუმში, მემედ აბაშიძის რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“. თავის დროზე ამ გაზეთმა უზარმაზარი როლი შეასრულა საქართველოს ერთიანობის განმტკიცების საქმეში. სიმბოლურია, რომ დღესაც, ქვეყნისთვის ამ უმძიმეს დროს, თბილისში გამოსვლას იწყებს გაზეთი „ერი და აღორძინება“, რომლის მთავარი შტაბბინა ბათუმშია და რომლის მიზანიც ასევე ერის ერთიანობისათვის, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვაა. მართალია, დღეს პრობლემები სულ სხვა სახით წარმოიჩენს ხოლმე თავს, მაგრამ ეს არაა მთავარი. დარწმუნებული ვარ, ისევე როგორც თავის დროს „სამუსლიმანო საქართველომ“ პირნათლად შეასრულა თავისი მისია, ასევე წარმატებით გაართმევს თავს თავის მიზანს და დანიშნულებას გაზეთი „ერი და აღორძინება“. თავს მივცემ უფლებას მკითხველისადმი ჩვენი ახალი გაზეთის წარდგინება დავასრულო პაპაჩემის — მემედ აბაშიძის სიტყვებით: „თანამემამულეთა მიმართ თანაბარი პატივისცემა და სიყვარული, ნდობა და გულახდილობა ერთადერთი დედაბოძია სამშობლოს ბედნიერებისათვის და ამ სამშობლოს სახელით შეერთებულნი სხვადასხვა კუთხისა და სარწმუნოების შვილები ჩვენს ეროვნულ სალაროს მრავალ სიმდიდრეს შეჰმატებენ და დეე, გამოვიყენოთ ეს ერთობა ჩვენდა სანუგეშოდ, მამულის საბედნიეროდ!“

ა. აბაშიძე

**ასლან აბაშიძე**

**სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის თავმჯდომარე**

**საქართველო**
**ერთობა მრავალფეროვნებაში**
**ჩვენი აჭარა**



# 120

## მემედ აბაშიძე

„...1905 წლის 10 ივნისს ქართველთა და აზერბაიჯანელთა კრებაზე მემედ აბაშიძემ მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და შემართებით განაცხადა: – „ბათუმშიც სცადეს ორი სარწმუნოების ერის – ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი ქრისტიანების გადაკიდება, მაგრამ ამაოდ. ჩვენს სარწმუნოებით თუმცა მაჰმადიანები ვართ... მაგრამ ეროვნებით ქართველები ვართ, ქართული სისხლი გვიდუღს, სულითა და გულით ქართველები ვართ და ამიტომ ჩვენში ვერასოდეს ვერ მოიკიდებს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მიზნად ექნება ჩვენს ძმებს – ქრისტიან ქართველებს გადაგვკიდოს და ჩვენსა და მათ შორის მტრობა გააჩაღოს... ჩვენ ქართველები ვართ და ამით ვამაყობთ. მაგრამ განა საჭიროა ეროვნულ გრძნობებზე ლაპარაკი? ჩემი აზრით, ამაზე ლაპარაკი ისევე მეტია, როგორც მეტია იმის თქმა, რომ მზე ანათებს!“

მემედ აბაშიძე, 1905 წელი

„ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა... გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთობაშია! გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!“

მემედ აბაშიძე, 1921 წელი

# ვიაროთ ჭავჭავაძისა და აბაშიძის გზით!

ქართველმა ხალხმა ღრმა მადლიერების გრძნობით აღნიშნა დიდი მამულიშვილის, საქართველოს ერთიანობისათვის თავდადებული რაინდის, გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, მწერლისა და პუბლიცისტის მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავი.

ეს ღირსახსოვარი თარიღი, კალენდარულად, ჯერ კიდევ 1993 წელს უნდა აღნიშნულიყო, მაგრამ საქართველოში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურმა და სოციალურმა პროცესებმა, სამოქალაქო ომმა თუ სხვა მძაფრმა კრიზისულმა მოვლენებმა აქამდე შეაფერხა ეს საქმე. მაგრამ, როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

* * *

მემედ აბაშიძემ ჩვენს რთულ დროში გაიმეორა იმ კეთილშობილ წინაპართა გმირობა, რომელთა ზნეობრივი სრულყოფილების მაგალითზე თაობები იზრდებოდნენ და დღესაც იზრდებიან... მისი ქომაგი ის ახალგაზრდა საქართველო იყო, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ გაკვლეული გზით მიდიოდა, ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებას აღვიძებდა და ამაღლებდა. მემედ ამაშიძემ თავისი რაინდული თავგანწირვით უდიდესი ამაგი დასდო აჭარას და მთელ საქართველოს! — სამართლიანად მიუთითებდა მწერალი აკადემიკოსი გრიგოლ აბაშიძე.

ჩვენი სამშობლოს მტრების გულში ლახვრის ჩასასობად 1905 წლის 10 ივნისს ქართველთა და აზერბაიჯანელთა კრებაზე მემედ აბაშიძემ მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და შემართებით განაცხადა: „ბათუმშიც სცადეს ორი სარწმუნოების ერის — ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი ქრისტიანების გადაკიდება, მაგრამ ამაოდ. ჩვენ სარწმუნოებით თუმცა მაჰმადიანები ვართ... მაგრამ ეროვნებით ქართველები ვართ, ქართული სისხლი გვიდუღს, სულითა და გულით ქართველები ვართ და ამიტომ ჩვენში ვერასოდეს ვერ მოიკიდებს ფეხს იმგვარი ქადაგება, რომელსაც მიზნად ექნება ჩვენს ძმებს — ქრისტიან ქართველებს გადაგვკიდოს და ჩვენსა და მათ შორის მტრობა გააჩაღოს... ჩვენ ქართველები ვართ და ამით ვამაყობთ. მაგრამ განა საჭიროა ეროვნულ გრძნობებზე ლაპარაკი? ჩემი აზრით ამაზე ლაპარაკი ისევე მეტია, როგორიც მეტია იმის თქმა, რომ მზე ანათებს!“

თუმცა რა გასაკვირია, რომ ამას ამბობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ღვიძლი შვილი, მკვიდრი წარმომადგენელი ჩვენი სამშობლოს სწორედ იმ უძველესი ისტორიული კუთხისა, რომლის შესახებაც დიდი ილია წერდა: ამ მხარეს „დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვითარსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთი სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია; მას „თითქმის მარტო ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთიანობისა, სადაც პირველად ქრისტიანობამ მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა და „ეხლაც დარჩენილა მრავალი დიდმშვენიერნი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშენებული“. ამასთან ერთად, „უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვ-

რებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხარის კაცი იყო... ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენი სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისთვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს“.

მაგრამ ილიას ღრმა რწმენით „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოებისა დაჩაგვრა და დევნა, სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ, ჩვენში პოულობდნენ მშვიდობისმყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებას“.

ილიას დიდი მცდელობის შედეგად, 1881 წლის 12 მარტს ბათუმში გაიხსნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი ქართული სახალხო სკოლა. ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის მოგვარების მიზნით, სკოლის გახსნის წინ ბათუმში საგანგებოდ ჩასულა ილია ჭავჭავაძე, რის შედეგადაც დაგვირგვინდა ეს დიდი ეროვნული წამოწყება.

აი, სწორედ ილიას მიერ დაარსებულმა ბათუმის ამ პირველმა ქართულმა სკოლამ მოგვცა საქართველოს უძველესი კუთხის — აჭარის უდიდესი შვილი, საქართველოს მთლიანობისათვის თავგანწირული მებრძოლი, ილია ჭავჭავაძის მაღალ ეროვნულ და ზნეობრივ იდეალებზე აღზრდილი მისი სულიერი მემკვიდრე მემედ აბაშიძე!

* * *

გვიან შუა საუკუნეებში იმერეთიდან გადმოსულ აბაშიძეთა დიდგვაროვანი წინაპარი აჭარაში საფუძველს უყრის უძლიერეს ფეოდალურ ოჯახს, რომლის წარმომადგენლები ოსმალთა შემოსვლის შემდეგ, ბათუმის სანჯაყ-ბეგები ხდებიან. ასე გაგრძელდა XIX საუკუნის შუა ხანებამდე, როცა სულთანმეჯიდის რეფორმით, იუსუფ აბაშიძეს 1848 წელს ბათუმლაზისტანის სანჯაყ-ბეგობა ჩამოერთვა და დაენიშნა მემკვიდრეობით პენსია, აგრეთვე გამოეყო საკუთარი მიწები. სულთანმა მას არ აპატია ქართულ ნიადაგზე დგომა, ტრაპიზონში მიიპატიჟა და იქ მოაწამვლინა. სწორედ ბათუმ-ლაზისტანის ამ უკანასკნელი სანჯაყ-ბეგის იუსუფ აბაშიძის ხუთიდან ერთერთის შვილის — იბრაჰიმის ძე გახლდათ მემედ აბაშიძე.

1881 წლიდან ბათუმში ილიას მიერ გახსნილ პირველ ქართულ სკოლაში ამეტყველდა იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“. ჰაიდარ აბაშიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აჭარელთაგან ამ სკოლის ერთერთი პირველი მოსწავლე იყო მემედ აბაშიძე, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც ფრიად დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს ამ კუთხის აღორძინების საქმეს“.

მას შემდეგ სიკვდილამდე მემედ აბაშიძეს ილიას გზიდან არ გადაუხვევია!

ბათუმში იგი დაუახლოვდა ილიას მიმდევრებს — ივანე მესხს, გრიგოლ ვოლსკის (პოეტ უმწიფარიძეს), დავით კლდიაშვილს, ლუკა ასათიანს და სხვებს, ხოლო 1899 წლის დამლევიდან თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, როცა აქ გაეცნო ცნობილ თეატრალურ მოღვაწეს ვალერიან გუნიას, მას უკვე გზა

გაეხსნა უშუალოდ დამოწაფებოდა ერის დიდ მოძღვარს ილია ჭავჭავაძეს და მის თანამოსაგრეებს, რამაც კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მემედ აბაშიძის პატრიოტულ და პოლიტიკურ წრთობაზე, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ამიტომაც წერდა იგი მოგვიანებით: „გასული საუკუნის ბოლოდან ურყევად ვიდექი საქართველოს მთლიანობის ნიადაგზე, და ბრძოლის ამ ხაზზე არა ერთი და ორი სასტიკი იერიში მომიგერიებია როგორც პრესაში, ისე ყრილობებზე გამოსვლით. ვიცავდი და ვატარებდი ზემოაღნიშნულ იდეებს, რამაც დადებითი შედეგები გამოიღო და სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს შორის ჩატეხილი ხიდი კვლავ გაამთელა“...

ერთ ხანს მემედ აბაშიძე იდეურად არჩილ ჯორჯაძის მიერ დაარსებულ სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას მიემხრო, მაგრამ ადრევე დაშორდა მას: „აღარ მქონდა საშუალება ვიწროდ მოვთავსებულიყავი ერთ რომელიმე პოლიტიკურ პარტიის პროგრამის ჩარჩოებში და დავრჩი ყოველგვარი პარტიის გარეშე,“ — მოგვითხრობს მემედ აბაშიძე.

მემედ აბაშიძემ ეროვნული მოღვაწეობა ბათუმის ქართულ სკოლაში მასწავლებლობით დაიწყო ახალი, თაობის პატრიოტული განწყობილებით აღზრდისა და მუსლიმან და ქრისტიან ქართველებს შორის საუკუნეების მანძილზე მტრების მიერ „ჩატეხილი ხიდის“ გამთლიანებისათვის, რამაც ცალკე ცარისტული ხელისუფლების და ცალკე კიდევ, ხოჯა-მოლების უკმაყოფილება გამოიწვია. ამას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული საიდუმლო მიმოწერა მეფის მთავრობის წარმომადგენლებსა და თურქოფილურ ელემენტებს შორის. ისინი არ ისვენებდნენ, ყოველნაირად ხელს უშლიდნენ და ახალგაზრდა პატრიოტ მასწავლებელს აიძულებდნენ ილიასეული ქართული სკოლა მიეტოვებია. 4—5 წლის მასწავლებლობის შემდეგ, მართალია, მემედ აბაშიძე ჩამოსცილდა პედაგოგიურ საქმიანობას, მაგრამ მის წინაშე უფრო ფართო სამოღვაწეო ასპარეზი გადაიშალა. კერძოდ, ბრძოლა მუსლიმან ქართველთა ეროვნული გათვითცნობიერებისა და მათი ღირსების დაცვისათვის, ამასთან, მოსახლეობაში ქართული წერა-კითხვის გავრცელებისა და სწავლა-განათლების მისაღებად, ამ საქმეში მთავარ დასაყრდენად მას ქრისტიანი ქართველობა ეგულებოდა.

მემედ აბაშიძისა და მის გარშემო შემოკრებილ აჭარელთა „მცირე ჯგუფის“, ს. გერსამიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „შეერთებული ძალებით ენერგიულმა და გულწრფელმა მუშაობამ სასურველი შედეგი მოიპოვა, აჭარის მოსახლეობა თანდათანობით დაადგა ეროვნული გამოფხიზლების გზას, გაერკვა ვინ არის მტერი და მოყვარე, პანისლამისტებისა და თურქოფილური ელემენტების სისინს ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა“.

* * *

მთელი ქართველი ხალხი შეაძრწუნა 1907 წლის 31 აგვისტოს წიწამურთან გასროლილმა ტყვიამ, რომელმაც სიცოცხლეს გამოასალმა დიდი ილია ჭავჭავაძე. ეროვნულ გლოვასა და მწუხარებას თავისი ხმა შეუერთა მემედ აბაშიძემ, რომელიც ბათუმიდან თბილისში გამოგზავნილ სამძიმრის დეპეშაში წერდა: „ქართველი მაჰმადიანები, აღშფოთებულნი ილია ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობით, მონაწილენი არიან მთელი ქართველობის ეროვნული მწუხარებისა, ქართველთა საუკეთესო ძალნი უნდა შეერთდნენ ამ ბოროტმოქმედების გამოსაკვლევად, რომ ამით მაინც შეიმსუბუქონ ეს დიდი სახალხო მწუხარება“.

მემედ აბაშიძე არ დაკმაყოფილდა მარტო ამ დეპეშით და „ნიშადურში“ გამოაქვეყნა მიმართვა „სამშობლოს ძმანნო და დანნო!“, რომელიც დაწერილია საოცარი ტრაგიზმითა და ექსპრესულობით, ილიას ფენომენის ღრმა გააზრებით, ქართული სიტყვის განსაკუთრებული შეგრძნებითა და ფრთიანობით, ფორმის ორიგინალობით. მემედ აბაშიძემ გამოიყენა მანამდე უჩვეულო

ხერხი: ილიას სამარიდან აალაპარაკა ჭეშმარიტი ღვიძლი შვილის დაკარგვით გულმოკლული სამშობლო, რომელიც ამგვარი ცხარე ცრემლებითა და წყევლა-კრულვით მიმართავს ილიას მკვლელებს — ბოროტ არაზაკებს: „...თქვენ მოჰკალით საუნჯე ჩემი ცხოვრებისა!... თქვენ დამიბნელეთ სინათლე ჩემის არემარისა!... თქვენ დაჰგმეთ ჩემი ვინაობა!... თქვენ უარჰყავით ჩემი წარსული, რომელიც იწყება შორეული ისტორიის საზღვარს იქითა!... თქვენ დამასახიჩრეთ!... თქვენ დამამახინჯეთ!... ამომხადეთ შანთებით ორივე თვალები!... ამომგლიჯეთ ენა, გულ-ღვიძლი ისე, როგორც ულმობელმა ჯალათმა. აწ ძალ აღარ მიძს! დასტკბით ჩემი სისხლითა, გაიხარეთ სამშობლოს მტრებო!"

რა იცოდა ამ სიტყვების ავტორმა თუ იგივე მუხანათი და ავაზაკნი ზუსტად 30 წლის შემდეგ მასაც ტყვიით განგმირავდნენ და ვერ გაიგებდნენ მის ცხოვრებას, მის მიმართულებას, ხოლო სიცოცხლეში ძეგლის აგების ნაცვლად ზედმეტ ჩირქს მოსცხებდნენ!

* * *

მემედ აბაშიძეს ჯერ კიდევ 1899 წელს მოუხდა პირველი შეტაკება მეფის ხელისუფლების წარმომადგენელთან — ბათუმის ოლქის უფროსთან სლავოჩინსკისთან, რის გამოც დაუწყეს სასტიკი დევნა და მას შემდეგ მთელი სიცოცხლე გრძელდებოდა მისი რეპრესიები. 1904—05 წლებში განიცდიდა სასტიკ შევიწროებას ბათუმის გუბერნატორ ფონ-პარკაუს და შემდეგ რომანოვსკისაგან. 1908 წელს ქ. ბათუმში მოვიდა საიდუმლო ბრძანება მ. აბაშიძის დატუსაღებისა და შორეულ გუბერნიაში მთელი მისი გვარის გადასახლებისა. ამიტომ იგი იძულებული გახდა ოჯახით, ზია, რიზა და თეზლი აბაშიძეებთან ერთად, ოსმალეთში გაქცეულიყო... საზღვარზე გადასვლისას ოსმალეთის მთავრობამ როგორც რევოლუციონერები და სოციალისტები, ყველანი დაატუსაღა და ჯერ ხოფას ციხეში ჩაამწყვდია, შემდეგ კი ათინას ციხეში გადაიყვანეს, აქედან რიზეში, ხოლო ბოლოს ტრაპიზონის ციხე მიუჩინეს საცხოვრებელ ადგილად, სადაც დაჰყო ერთი წელი... ე. წ. „ახალგაზრდა თურქების" გადატრიალების შემდეგ სხვა პოლიტიკურ დამნაშავეებთან ერთად ისიც გაათავისუფლეს, ოღონდ ოსმალეთში მაინც დატოვეს 1913 წლამდე. აქ იგი მთელ თავის ოჯახთან ერთად განიცდიდა ყოველმხრივ შევიწროებასა და მატერიალურ უსახსრობას, რის გამოც დაკარგა ორი ვაჟიშვილი — ქემალი და ბექირი... დიდი გაჭირვებით მ. აბაშიძე დაბრუნდა სამშობლოში. მაგრამ 1913 წელსვე მეფის ჟანდარმერიამ შეიპყრო, რამდენიმე ხნით ბათუმის ციხეში ამყოფეს, შემდეგ კი ნოვოჩერკასკში გადაასახლეს... აქედანაც მოახერხა მან წამოსვლა და ცოტა ხანს ბათუმში ცოლ-შვილის მონახულების შემდეგ თბილისში გამოემგზავრა, აქაც პოლიციამ თავის სამმართველოშივე რამდენიმე თვე პატიმრობა მიუსაჯა, რის შემდეგ თავდებით გაათავისუფლეს და ბათუმში გამოუშვეს.

1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას მ. აბაშიძე კვლავ დაატუსაღეს და მეტეხის ციხეში გადააგზავნეს, სადაც ერთი წლის პატიმრობის შემდეგ ენისეის გუბერნიაში გადაასახლეს. აქედან დიდის თხოვნით და ვაი-ვაგლახით კვლავ თბილისში, მეტეხის ციხეში დააბრუნეს, საიდანაც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გამოუშვეს.

მემედ აბაშიძე მაინც არ წყვეტს რევოლუციურ და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოღვაწეობას, რისთვისაც, როგორც სულ უკანასკნელ ხანს გამოირკვა, იგი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს ბერლინში 1918 წლის 10 სექტემბერს თამარ მეფის ორდენით დაუჯილდოებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მემედ აბაშიძეს მოეხსნა მეფის რეჟიმის მიერ დაწესებული სასჯელი და ნება დაერთო თავისუფლად საცხოვრებლად დაბრუნებულიყო ბათუმში.

1917 წელსვე მემედ აბაშიძემ თავის ირგვლივ შემოიკრიბა ქართველ მუსლიმანთა მოწინავე ახალგაზრდობა: სულეიმან დიასამიძე, ჰაიდარ აბაშიძე, ზექერია შერვაშიძე, ხასან ვარშანიძე, ჯემალ ქიქავა და სხვები და დააარსა ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი, რომლის „მიზანი — წერს მ. აბაშიძე ავტობიოგრაფიაში — მრავალი იყო, უმთავრესი კი იმაში მდგომარეობდა, რომ გაგვეგრძელებია თვითშეგნების შეტანა სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობაში. ფართოდ გაგვეშუქებია მასების წინაშე სამუსლიმანო საქართველოს ისტორიული წარსული, გაგვემტკიცებინა მათში მთლიანი საქართველოს იდეა, და საზოგადოდ მზად ვყოფილიყავით ყოველგვარი მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაშორებლად“.

ამავე დროს მემედ აბაშიძე დაუპირისპირდა ბათუმში მოქმედ ბაქოს თურქოფილურ იდეების გამავრცელებელ ე. წ. საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებას. მემედ აბაშიძის ენერგიული მოქმედების წყალობით თურქოფილების ე. წ. საქველმოქმედო მოღვაწეობას ბათუმში ფრთები შეეკვეცა და, სხვათა შორის, არა მარტო ბათუმში, არამედ ზემო აჭარაშიც, სადაც 1918 წელს ჯემალ ხიმშიაშვილი ოსმალეთის დასახმარებლად აჭარლების რაზმს ადგენდა. მემედ აბაშიძემ შეძლო ჩაეშალა ეს გეგმები.

1918 წელს ხელილ-ბეგის თავმჯდომარეობით, ბათუმში ჩამოვიდა ოსმალეთის საზავო დელეგაცია, ხოლო შემდეგ ენვერ-ფაშა. „გამარჯვებით დამთავრდა და ზვიად მთავარსარდალ ზეხიბ-ფაშას შემეცნებაში იხაზებოდა ახალი გეგმები“ — წერს მემედ აბაშიძე და განაგრძობს: „მე მივესალმე მათ როგორც სტუმრებს და ხალხის სახელით ვთხოვე სისხლისღვრის შეწყვეტა. ამით დავიმსახურე მათი გულისწყრომა, რის შემდეგაც მე, ჯემალ ქიქავა, ხოჯა დაუდ ეფენდი სირბილაძე, სულეიმან ბეგ ნიჟარაძე და ხასან ლორთქიფანიძე დაგვატუსაღეს და გადაგვაგზავნეს ტრაპიზონში“. მემედ აბაშიძემ იქედანაც მოახერხა გამოქცევა და ზღვით დაბრუნდა ფოთში, სადაც მას დახვდა და უმეგობრა მომავალმა დიდმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

ამასობაში თბილისში ზია აბაშიძის, სულეიმან დიასამიძის, ჰაიდარ აბაშიძისა და ყადირ შერვაშიძის თაოსნობით დააარსეს სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ დაუსწრებლად დადგენილი ჰქონდათ მემედ აბაშიძე, ოღონდ ელოდებოდნენ ტრაპიზონიდან მის დაბრუნებას. კომიტეტს თავისი განყოფილება გაუხსნია ოზურგეთში.

ოსმალეთის ჯარების ბათუმიდან გასვლისა და მათ ნაცვლად ინგლისელების შემოსვლის შემდეგ, სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტი თბილისიდან ბათუმს გადავიდა და აქედან გაშალა ფართო მუშაობა. საჭირო იყო საკუთარი ორგანოს დაარსება. მართლაც, მ. აბაშიძის ინიციატივით და რედაქტორობით მალე გამოვიდა კომიტეტის გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა აჭარაში ინგლისელების აღმოსავლური პოლიტიკის, მეფის რუსეთის მოტრფიალე დენიკინის ნაწილების, თურქოფილი მუსავატისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ცალ-ცალკე და თავისებური ხრიკებით ცდილობდნენ საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს გათიშვას.

აჭარის მეჯლისის (იგივე პარლამენტის) თავმჯდომარეობის გარდა მემედ აბაშიძე 1917 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს

წევრად, ხოლო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ — საქართველოს პარლამენტის წევრად.

ცალკეა აღსანიშნავი მემედ აბაშიძის ღვაწლი სომეხ და თურქ-მუსლიმან მოსახლეობას შორის გამწვავებული სიძულვილის განელებასა და მოსალოდნელი ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცილებლად, რითაც ბათუმის ოლქი აცდა ამ სამარცხვინო საქმეს.

1921 წლის თებერვალში, თბილისში რომ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ბათუმში მეჯლისის თავმჯდომარესთან — მემედ აბაშიძესთან თურქეთის მთავრობის დელეგაცია გამოცხადდა და წინადადება მისცა გადაესინჯა საქართველოსთან შეერთების საკითხი და მეჯლისის სახელით გამოეტანა დადგენილება, რომ ავტონომიის საფუძველზე ბათუმის ოლქი გადასცემოდა ანგორის მთავრობას, მითუმეტეს, რომ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო პირობების მიხედვით, ართვინის ოლქი უკვე წაღებული ჰქონდა თურქეთს. საქმეს ართულებდა აჭარაში ჯემალ ხიმშიაშვილისთანა თურქოფილების ანტიქართული მოქმედებაც. მემედ აბაშიძეს გვერდით ამოუდგნენ რეჯებ ნიჟარაძე, ჯემალ ქიქავა, ისკენდერ ცივაძე, ზია აბაშიძე, მემედ გოგიბერიძე, ჰაიდარ აბაშიძე, სულეიმან დიასამიძე. თურქეთის სამთავრობო დელეგაცია კი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ელჩი ქიაზიმ ბეგი, დაჟინებით მოითხოვდა აჭარის მეჯლისს გამოეტანა დადგენილება ბათუმის ოლქის თურქეთთან შეერთების შესახებ, რაც ფორმალურად მათ საშუალებას მისცემდა შემოეყვანათ რეგულარული სამხედრო ნაწილები და თავიდან აეცილებინათ ბოლშევიკების შემოჭრა აჭარაში.

მემედ აბაშიძემ, როგორც აჭარის მეჯლისის თავმჯდომარემ, მათ განუმარტა, რომ მეჯლისს არა აქვს უფლება ოლქი მეორე სახელმწიფოს გადასცეს და არ შეუძლია მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება: „კამათმა გამწვავებული ხასიათი მიიღო და ბოლოს დამთავრდა იმით, რომ ზრდილობიანად თავი დავუკარით და სამუდამოდ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს" — წერს მემედ აბაშიძე და განაგრძობს: „ანგორის დელეგაციის ცდა ამაო გამოდგა. მეჯლისი არ წამოეგო პროვოკაციის ანკესს, არ მიიღო მათი წინადადება... თორემ ბათუმის ოლქი დარჩებოდა ართვინის ოლქის მდგომარეობაში", ე. ი. ბათუმიც და აჭარაც დღეს დაკარგული გვექნებოდა!

ამგვარად, მოხდა ისტორიული ფაქტი, აჭარის მეჯლისმა, მემედ აბაშიძის თავმჯდომარეობით, შეძლო, ამ საშინელი მდგომარეობიდან საქართველოს ერთი უძველესი და უმშვენიერესი კუთხის გამოყვანა და გადარჩენა. მემედ აბაშიძემ მისი ისტორიული მისია პირნათლად შეასრულა!

მემედ აბაშიძემ ხმამაღლა განაცხადა:

„ნურავინ ფიქრობს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა...

გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთობაშია!

გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!"

მემედ აბაშიძემ ღირსეულად დაიცვა თავისი დიდი სულიერი მოძღვრის — ილია ჭავჭავაძის იდეა საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს მთლიანობისა!

ვიაროთ ჭავჭავაძისა და აბაშიძის გზით!

გურამ შარაძე

# ისევ ამთლიანებს საქართველოს

## მასპინძლობს თბილისი

„მემედ აბაშიძის სახელი ისევე უკვდავია,
როგორც სამშობლოს ერთიანობის ის იდეა,
რომლის განხორციელებასაც მიუძღვნა მან
თავისი მაღალი ნიჭი და სამაგალითო ცხოვრება“.

გრიგოლ აბაშიძე



### წინათქმა

მემედ აბაშიძის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები საქართველოს დედაქალაქ თბილისში 24 აპრილს დაიწყო. მათ კიდევ ერთხელ გვაგრძნობინეს, რომ სამშობლოსათვის თავგანწირული მამულიშვილის სახელს დავიწყება არ უწერია. საიუბილეო დღეების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები საქართველოს მწერალთა კავშირში, ბათუმელ მხატვართა ნაწარმოებების ვერნისაჟები, ხოლო 1 მაისს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა მემედ აბაშიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. ამ ხნის განმავლობაში თბილისელმა მაყურებელმა იხილა ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლები: ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, რევაზ ლაღიძის „ლელა“, ჯუზეპე ვერდის „აიდა“.

### გასტროლები დედაქალაქში

ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებმა („აბესალომ და ეთერი“, „ლელა“, „აიდა“) მოხიბლა როგორც ბათუმლები, ისე დედაქალაქიდან ჩამოსული თუ უცხოელი სტუმრები. სამივე სპექტაკლის პრემიერას დაესწრო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. მიღებული შთაბეჭდილებებით აღფრთოვანების დასტურია მისი ინიციატივით თეატრის თბილისში საგასტროლოდ მიწვევა.

დიდი მამულიშვილის მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავის აღსანიშნავად თბილისში გამართული აჭარის კულტურის დღეების ძირითადი მშვენება სწორედ ბათუმში განხორციელებული საოპერო სპექტაკლები იყო, ხოლო საიუბილეო საღამოში ჩვენი ქალაქის მერიასთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ „ბათუმთან“ ერთად მონაწილეობდნენ თბილისის შემოქმედებითი კოლექტივები.



აჭარის დელეგაცია თბილისის აეროპორტში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავის საიუბილეო დღეები თბილისში

## ვამაყობ ჩემი დიდი პაპით!

მემედ აბაშიძის შვილიშვილობა ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია. წინაპართა სისხლი, ისევე როგორც ყველა ჩვენთაგანში, ჩემს ძარღვებშიც ხმიანობს და ხშირად ყურს ვუგდებ მის ძახილს: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ, რაიმე ისეთი არ ჩაიდინო, რომ ჩვენი აჩრდილები შეაწუხო, ემსახურე ხალხს, ქვეყანას მთელი მონდომებით, შემართებით, უშიშრად, გონივრულად. ამ მიზანს დიდი გარჯა და ენერგია, დიდი რუდუნება და სიყვარული სჭირდება!“

ჩემი დიდი პაპის საიუბილეო დღეები ჩვენს დედაქალაქ თბილისში ერთგვარი ანგარიშიცაა სახელმწიფოს მეთაურის, ხელისუფლების, მთავრობის, მთელი ქართველი ერის წინაშე იმისა, თუ რა გაკეთდა ამ ოთხი წლის მანძილზე აჭარაში, რას მივაღწიეთ პოლიტიკური და სამოქალაქო თანხმობის დასამკვიდრებლად, მშვიდობისა და აღმშენებლობის კურსის განსახორციელებლად, ქართული კულტურისა და მეცნიერების ასაღორძინებლად, ძმათამკვლელი ომის თავიდან ასაცილებლად, ქალაქებისა და სოფლების ნგრევისა და გაჩანაგებისაგან გადასარჩენად, ოჯახების ლტოლვილობის, შეურაცხყოფისა და კერის მოშლის საფრთხისაგან დასახსნელად! ყოველთვის ვცდილობდით, რომ მთელი ძალისხმევა და გამოცდილება გამოგვეყენებინა არა მხოლოდ საქართველოს ერთ უძველეს კუთხეში — აჭარაში, არამედ ყველგან, სადაც კი გასწვდებოდა ჩვენი შესაძლებლობები, რათა ხელი შეგვეწყო სრულიად საქართველოში მშვიდობის დამკვიდრებისათვის, დაპირისპირებულ მხარეთა მორიგებისათვის, შეიარაღებულ შეტაკებათა აღკვეთისათვის, რადგან ღრმად ვიყავით დარწმუნებული, რომ თუ ეს არ გაკეთდებოდა, ყოველივე ამას მოჰყვებოდა საქართველოს ეროვნული ინტერესების დაუნდობელი შელახვა.

ჩემი დიდი პაპის მთელი ცხოვრება და ტრაგიკული აღსასრული — 1937 წელს თბილისში მისი დახვრეტა ნათელი მაგალითია იმისა, რომ თუ განგაშის ზარებს არ შემოვკრავთ, ისტორია შეიძლება განმეორდეს, რომ დღეს ყველანი ხელიხელჩაკიდებული ბევრს არ ვაკეთებთ იმისათვის, რომ ისტორიის მწარე გაკვეთილებიდან ვისწავლოთ გამოსავალი, რათა გადავარჩინო ჩვენი ეროვნული სხეულის მთლიანობა, არ შევარყიოთ დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის ოფლითა და სისხლით ჩაკირული საქართველოს ერთიანობის მტკიცე საძირკველი!

ყველა ჩვენგანის წმიდათაწმიდა ვალია ვიყოთ ღირსნი იმ დიდ წინაპართა ხსოვნისა, რომელთაც დღემდე მოიყვანეს საქართველო!

ვამაყობ, რომ ამ დიდ წინაპართა შორის არის ჩემი პაპაც — მემედ აბაშიძე!

დიდი მადლობა ჩვენს ერს, ჩვენს დედაქალაქ თბილისს მისი ხსოვნის ასე დაფასებისა და პატივისცემისათვის!

ღრმა პატივისცემით

**ასლან აბაშიძე**

ბათუმი, 1996 წლის 24 აპრილი.

## პრემიერ-მინისტრის განკარგულებით

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ გამოსცა განკარგულება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

მიღებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 27 იანვრის განკარგულების შესაბამისად შექმნილი გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის მემედ აბაშიძის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილის მომწყობი კომისიის წინადადება და დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს გამოუშვას მემედ აბაშიძისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკა (მხატვარი ა. სარჩიმელიძე).

## გვეწვია ამერიკის ელჩი

აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ მიიღო ბათუმში სტუმრად მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი.შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში ბატონმა კენტ ბრაუნმა აღნიშნა:

— ხშირად ჩამოვდივარ აჭარაში, ეს საქართველოს შესანიშნავი რეგიონია. მისი ლიდერი ასლან აბაშიძე დიდი პოლიტიკური ფიგურაა. მე ჩამოვედი არაოფიციალურ ვიზიტად, მაგრამ ვიცოდი, რომ მექნებოდა შეხვედრა მაღალი რანგის ოფიციალურ პირებთან. კმაყოფილი ვარ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან შეხვედრით, აზრთა გაზიარებით საქართველოში მიმდინარე



მოვლენებზე. დარწმუნებული ვარ, მან ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, და მომავალშიც ყველაფერს იღონებს საქართველოს მთლიანობისათვის. ამერიკის შეერთებული შტატები, თავის მხრივ, ყოველნაირად დაუჭერს მხარს საქართველოს.




## ვიზიტი

# ეს საკითხი მოსაგვარებელია და მოგვარდება



გუშინ საქართველოში ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა რუსეთის პრემიერმინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი. ეს ვიზიტი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა როგორც საქართველოს, ისე რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. პრეზიდენტ ბორის ელცინის სტუმრობის შემდეგ აუცილებელი იყო იმ გადაწყვეტილებების დაკონკრეტება და ხორცშესხმა, რომელთა მოგვარება საქართველოს და რუსეთის ლიდერებმა იმ ვიზიტის დროს გადაუდებელ ამოცანად დაისახეს. ამიტომაც იყო, რომ ვიქტორ ჩერნომირდინს თან ახლდა რუსეთის მთავრობის თითქმის მთელი შემადგენლობა.

და კიდევ: ამ ვიზიტს მოუთმენლად ელოდა მთელი საქართველო, რადგან პრეზიდენტ ელცინის მიერ ბოლო დროს გამოხატული მკვეთრი პოზიცია აფხაზეთის საკითხების მოგვარების კარგ პერსპექტივას ქმნიდა.

ვიქტორ ჩერნომირდინი შუადღისას ჩამოვიდა თბილისში. ტრადიციისამებრ, ოქმით გათვალისწინებული იყო მისი და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირისპირ საუბარი, რომელიც შედგა და იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ პრაქტიკულად, შეცვალა მთელი შემდგომი პროგრამა. როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ჯგუფი თბილისში ერთი დღით ადრე ჩამოვიდა, მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მთავრობისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირისპირ საუბარს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს განსახილველ საკითხთა მნიშვნელობას. შეხვედრა რომ ძალზე საქმიანი და კონკრეტული გადაწყვეტილებებით დატვირთული იქნებოდა, ჯერ კიდევ აეროპორტში იგრძნობოდა — დახვედრის ცერემონიალი ძალზე მოკლე, ლაკონური იყო და მეთაურებმა ტრადიციული მოკლე მისასალმებელი სიტყვებიც კი არ წარმოთქვეს.

ჟურნალისტები კვანძის გახსნას პრესკონფერენციაზე ელოდნენ. იგი დიდი დაგვიანებით დაიწყო (რაც უთუოდ ვიზიტის დაძაბული და დატვირთული სამუშაო ატმოსფეროთი იყო გამოწვეული) და მეტად მცირე დრო დაეთმო.

თავის შესავალ სიტყვაში ედუარდ შევარდნაძემ უპრეცენდენტო უწოდა ამ ვიზიტს, რადგან რუსეთის დელეგაციის შემადგენლობა მეტად ფართო იყო — საქართველოს ეწვია რუსეთის მთავრობის თითქმის მთელი შემადგენლობა, ქალაქ მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი და სხვა პასუხისმგებელი პირები. ამ მომენტს ვიქტორ ჩერნომირდინმაც გაუსვა ხაზი და რუსეთის დელეგაციას სოლიდური და ერთობ წარმომადგენლობითი უწოდა.

„ბორის ნიკოლოზის ძე ელცინის ვიზიტის დროს, ხელი მოვაწერეთ დიდ ხელშეკრულებას, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს და ყოველმხრივ თანამშრომლობას ეხებოდა. დღევანდელი ვიზიტი ამ პროცესის ღირსეული გაგრძელებაა!“ — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ და დამსწრეთ გააცნო იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებსაც ოფიციალურად მოეწერა ხელი. ესენია:ხელშეკრულება სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე სამოქალაქო, სისხლის სამართლის და საოჯახო საქმეების გამოძიებაში, შეთანხმება რკინიგზის ტრანსპორტის მოქმედების საერთო კოორდინაციის შესახებ; შეთანხმება სავალუტო და საექსპორტო კონტროლის საკითხებში თანამშრომლობაზე; ხელშეკრულება რუსეთის მოქალაქეთა უფლებრივ სტატუსზე საქართველოში და საქართველოს მოქალაქეებისა — რუსეთში; ხელშეკრულება რუსეთის არმიის სამხედრო ბაზების შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე და ოქმი რუსეთის საჯარისო ქვედანაყოფებისათვის

The KAVKASIONI

სექტემბერი

16 1995 წ.

დამატებით სამხედრო ქალაქების გადაცემაზე; ოქმი ვესიოლოე-ინგირის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოლაპარაკებების პროცესში საფუძვლიანად განიხილეს აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების მოგვარების საკითხი. „მგონია, რომ სწორ გზას ვადგავართ, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, — პრეზიდენტმა ელცინმა პრესკონფერენციაზე გამოხატა თავისი პოზიცია და ჩვენი საუბარიც სწორედ ამ სულისკვეთებით წარიმართა“.

ცოტა მოგვიანებით, ვიქტორ ჩერნომირდინმა აფხაზეთის შესახებ ჟურნალისტის შეკითხვას მოკლედ, მაგრამ კონკრეტულად უპასუხა: „ეს საკითხი მოსაგვარებელია და მოგვარდება!“

ამასთან, მხარეთა მიერ მიღებულ ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია:

„რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის აუცილებელი გარანტიაა კონფლიქტთა მოგვარება. ედუარდ შევარდნაძემ და ვიქტორ ჩერნომირდინმა დაადასტურეს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და არსებულ საზღვართა ურღვევობის უპირობო აღიარება და გადაჭრით დაგმეს აგრესიული სეპარატიზმის და ტერორიზმის ნებისმიერი გამოვლინება.

მხარეები დარწმუნებულნი არიან, რომ აუცილებელია აფხაზეთის კონფლიქტის გადაუდებელი სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოგვარება. კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკურ ფორმას ალტერნატივა არ გააჩნია“.

რუსეთის პრემიერმინისტრის აზრით. დოკუმენტები, რომლებსაც მოეწერა ხელი, თავად მეტყველებენ გაწეულ მუშაობაზე. „ამჟამად ჩვენი ურთიერთობები კარგად ვითარდება, — აღნიშნა მან, — ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ვიზიტი ახალ ძალას შთაბერავს ამ პროცესს“. აქვე ვიქტორ ჩერნომირდინმა ქართველ ხალხს გადასცა პრეზიდენტ ბორის ელცინის მისალმება და აუწყა მისი დანაბარები: „ჩვენ ერთად განვლეთ ისტორიის დიდი მონაკვეთი და ის ურთულესი პრობლემები, რომლებიც ჩვენს ხალხს აწუხებს, ერთად უნდა გადავწყვიტოთ“.

რაღა თქმა უნდა, კონფლიქტების შემდეგ ჟურნალისტებისათვის ყველაზე მტკივნეული საკითხი აზერბაიჯანის ნავთობსადენის მარშრუტთან დაკავშირებული პრობლემები იყო. პრესკონფერენციაზე გამოჩნდა, რომ ამ საკითხზე გახსნილ საუბარს, ჯერჯერობით, ყველა ერიდება და უფრო მსუბუქ, იუმორით შეზავებულ პასუხს ამჯობინებენ.

ედუარდ შევარდნაძე: „ნავთობსადენის საკითხებთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე ჩვენსა და რუსეთს შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს“.

ვიქტორ ჩერნომირდინი: „მე როგორც გაზის მრეწველობის ყოფილი მუშაკი, სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს საკუთარი ნავთობი გააჩნია“.

ედუარდ შევარდნაძე: „მეც ღრმად ვარ დარწმუნებული ამაში, მაგრამ ვერა და ვერ ვპოულობთ ამ ნავთობს“.

ამ მოკლე დიალოგმა დარბაზში მხიარული ატმოსფერო შექმნა. ალბათ, შეკრებილთაგან ყველამ ნათლად დაინახა, რომ დიდ პოლიტიკაში მთავარია პრიორიტეტების სწორი განსაზღვრა და კოზირების ამორჩევაც ამის მიხედვით ხდება.

დასასრულ, ვიქტორ ჩერნომირდინმა კიდევ ერთხელ, დეკლარაციულად დაადასტურა რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია: რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ყველა საკითხი მხოლოდ ამ პრინციპის დაცვით გადაწყდება.

„ჩემი აზრით, საქართველოს მოსახლეობისათვის დღეს უმთავრესია ენერგორესურსების, საწვავის, ტრანსპორტისა და სურსათის პრობლემების მოგვარება. მათ გადაუჭრელად ძნელია წინსვლა. ეს არის ჩვენს მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების მთავარი შინაარსი“, — განაცხადა რუსეთის პრემიერმინისტრმა.

პრესკონფერენციის მსვლელობისას ერთადერთი შეკითხვა დაისვა ისეთი, რომელიც საქართველოს პრობლემებს უშუალოდ არ ეხებოდა — „ფრანს-პრესის“ კორესპონდენტი დაინტერესდა, როგორ აფასებდა ვიქტორ ჩერნომირდინი ნატოს მიერ ბოსნიელ სერბთა პოზიციების დაბომბვას. ჩანს, ვიზიტის საქმიან და ინტენსიურ მდინარებაში იმდენად იყო ჩართული რუსეთის პრემიერმინისტრი, რომ მან არ ისურვა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და ჟურნალისტს ღიმილით მიუგო, ამის შესახებ რაღა თბილისში მეკითხებით, მოსკოვში მკითხეთო.

დარბაზში, სტუმრებისა და ჟურნალისტების გარდა, მრავლად იყვნენ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ქართველი დეპუტატები. ისინი გაღიმებული სახეებით ტოვებდნენ პრესკონფერენციას, გაღიმებული, იმედიანი სახეებით...ვიქტორ ჩერნომირდინის ვიზიტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში პოზიტიური ძვრების ჭეშმარიტი დადასტურება იყო. საზოგადოებას კარგად ახსოვს, რომ ეს სტუმრობა კარგა ხნით ადრე უნდა შემდგარიყო, მაგრამ მაშინ ცნობილმა გარემოებამ ხელი შეუშალა ამ ფაქტს. თუმცა, გაგრძელდა დიპლომატიური მუშაობა და დღეს უკვე შეიძლება საუბარი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ახალ ეტაპზე, ახალ სიმაღლეზე. ნამდვილად არ იქნება სწორი, თუ ამ თანამშრომლობას დღეს ცალმხრივს ან ძალისმიერ დიქტატით ნაკარნახევს ვუწოდებთ, მაგრამ ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ კომპრომისების მასშტაბი მხარეთა შესაძლებლობებით განისაზღვრება და მაინც, ეს არ გახლავთ მთავარი, ამ ეტაპზე გადამწყვეტია ინტერესთა სწორი ბალანსირება დიდ მეზობელთან, ანუ სტრატეგიის ისე აგება, რომ რუსეთი სისხლხორცეულად იყოს დაინტერესებული ძლიერი, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოსთან მეგობრული და საქმიანი კონტაქტებით. დღეს ასეთია რეალობა და ამასვე გვკარნახობს მსოფლიოში მიმდინარე პროცესები. მცირეხარისხოვანი და ნაკლებეფექტური სახელმწიფო, ანუ ქვეყანა, რომელიც რამდენადმე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე, ამ ხვედრს ვერ ასცდება. მან აუცილებლად უნდა გაუწიოს ანგარიში ძლიერთა ამა ქვეყნისათა ინტერესებს. ასეთია რეალობა, არჩევანის საბოლოო და პირუთვნელი მსაჯული კი მხოლოდ ისტორიაა.

პაატა ვეშაპიძე

## ტყვეების დაბრუნება

როგორც უკვე ვიუწყებოდით, აჭარის უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს დელეგაცია იმყოფებოდა აფხაზეთში, სადაც ვლადისლავ არძინბასთან შეხვედრის შედეგად შეთანხმდნენ ქართველთა მხარისათვის ტყვეების გადაცემისა და ლტოლვილთა შინ დაბრუნების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# აჭარა ეხმარება ლტოლვილებს

## შეხვედრა აფხაზეთის პოეტებთან

21 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის დარბაზში გაიმართა შეხვედრა აფხაზეთიდან ლტოლვილ პოეტებთან, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ შოთა ზოიძემ.

ლტოლვილმა პოეტებმა ვარლამ ბულესკირიამ, დავით გაბუნიამ, აპოლონ ჯინჯოლიამ და ჯემალ პერტაიამ ილაპარაკეს აფხაზეთში დატრიალებული ომის საშინელებაზე, მასში ქართული მხარის დამარცხების მიზეზებზე, იმაზე, რომ შესაძლებელი იყო ტრაგედიის თავიდან აცილება. მათ უპასუხეს შეკითხვებს, მადლიერება გამოთქვეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელების, პირადად ბატონ ასლან აბაშიძის მიმართ. აღნიშნეს, რომ ამ შეჭირვების ჟამს აჭარაში მეტად გულთბილად მიიღეს ათასობით ლტოლვილი და მათ მზრუნველობას არ აკლებენ. ლტოლვილმა პოეტებმა მადლიერების გრძნობით მოიხსენიეს აგრეთვე საქართველოს მწერალოა კავშირის აჭარის ორგანიზაცია დახმარებისა და თანადგომისათვის, წაიკითხეს აჭარის პრესაში გამოქვეყნებული და ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ლექსები.

შეხვედრის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ და ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ამირან ხაბაზმა, დავარ გიგინეიშვილმა, ჟუჟუნა ხაჯიშვილმა, ევგენი თავდგირიძემ, ბორის მეტრეველმა. ამ უკანასკნელმა გაიხსენა აფხაზეთში გატარებული სტუდენტობისა და მუშაობის წლები.

სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები ანა დუნდუა, რამაზ სურმანიძე, აფხაზეთიდან ლტოლვილი პროფესორი ზურაბ ჩანტლაძე და სხვები, რომლებმაც მტკიცედ განაცხადეს, რომ არამც და არამც აფხაზეთი დაკარგულად არ უნდა ჩაითვალოს, კონფლიქტი აუცილებლად მშვიდობიანი გზით მოგვარდეს და ლტოლვილები უნდა დაბრუნდნენ.

შეხვედრაზე ითქვა, რომ კარგ საქმეს აკეთებენ გაზეთების „აჭარისა“ და „აღორძინების“ რედაქციები, რომლებიც დროდადრო აქვეყნებენ ლტოლვილთა ლექსებს, მოთხრობებს, სტატიებს. კარგი იქნება, თუ შევკრებთ ლტოლვილ შემოქმედთა ნაწარმოებებს და ცალკე კრებულად გამოვცემთ.

დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა გონიოელ გოგონათა სამეულის მიერ შესრულებულმა ქართულმა სიმღერებმა.

აფხაზეთიდან ლტოლვილ პოეტებთან შეხვედრას დაესწრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე გობრონიძე.

## „გვიხარია აჭარლების გამტანობა ქართული!“

იცანით ალბათ — „ივერია“ — ჩვენი დედაქალაქის ერთერთი კოლორიტული ნაგებობა, წარსულში ყველას გულღია მასპინძელი, დღეს კი — ლტოლვილთა თავშესაფარი, დიდი ტკივილი მთელი საქართველოსი. ეტყობა კიდეც მის აივნებს ჩვენი დღევანდელი ყოფის დაღი — „თეთრი ბაირაღები“, ასე მტრედებივით რომ ფარფატებენ თბილისის რესპუბლიკის მოედნის თავზე. ისინი იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ჯერაც არ დაგვდგომია ჟამი მშვიდობისა და ერთიანობისა, ჟამი სიყვარულისა და აღმშენებლობისა, მაგრამ...

ვის არ გვინახავს, პატარა უმწეო ყვავილი ასფალტის საფარს რომ გააპობს, გაარღვევს და მზისაკენ მიისწრაფვის... ეს ორი კვირაა ამგვარი რამ ხდება „ივერიაში“. მის ერთერთ პატარა დარბაზში აფხაზეთიდან, შიდა ქართლიდან ლტოლვილმა ამ გოგო-ბიჭებმა ერთი ლამაზი სიმღერა აახმიანეს. თუმცა სჯობს ყველაფერი თავიდან დავიწყო...

ამას წინათ თბილისში სარედაქციო საქმეზე ჩასულს ჩემს მაგიდაზე მოწაფური ხელით დაწერილი პატარა წერილი დამხვდა. ისინი სულ თოთხმეტნი არიან — სასტუმრო „ივერიასთან“ არსებული ლტოლვილ ბავშვთა ანსამბლის „ოქროს საწმისის“ წევრები: 12 წლის ეკა აბშილავა, 13 წლის მაია ჩალაძე და დათო დანელია — გაგრიდან, მათი სოხუმელი და ცხინვალელი თანატოლები თამრიკო იაშვილი, ლაშა და ანდრო ბასიშვილები, და სხვები... მთხოვდნენ მივსულიყავი მათთან „ივერიაში“ და მომესმინა სიმღერა ბათუმზე, რომლითაც მათ სურთ მონაწილეობა მიიღონ საყვარელი ქალაქისადმი მიძღვნილ სიმღერების კონკურსში.

მეც ავდექი და ვეახელი პატარებს, გავიცანი მათი ხელმძღვანელები, ლტოლვილები — მუსიკოსი, კომპოზიტორი ია ესვანჯია და პოეტი ლია ჭილლაძე... მერე პატარა დარბაზში ფორტეპიანოსთან დავსხედით და... დაიწყეს:

შენ ცას ნატრობს აფხაზეთი,
სამაჩაბლოც, თბილისიც...
გვენატრება ზღვის ნაპირთან
ნაფერები ივლისი...
ვერ გაუძლო საქართველოს
ვაებას და კაეშანს
და მშვიდობის თეთრი მტრედი
შენს მიწაზე დაეშვა...
გვენატრება ჩვენი გაგრა,
ჩვენი დიოსკურია
საქართველოს აჭარული
ვაჟკაცობა სწყურია!
გვიხარია აჭარლების
გამტანობა ქართული,
კიდევ უფრო შეგვიყვარდა
ჩვენი თეთრი ბათუმი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აჭარა ეხმარება ლტოლვილებს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შექმნილი ლტოლვილთა მიღება-დაბინავების შტაბის მორიგ სხდომაზე განიხილეს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზეთში კონფლიქტის ზონიდან შემოსული ლტოლვილების მიღება-დაბინავებისა და შემდგომი მომსახურების მდგომარეობის საკითხები.

აღინიშნა, რომ 1992 წლის სექტემბრიდან აჭარაში მიღებულია 34750 ლტოლვილი, რომელთაგან 27576 ტრანსპორტირებულ იქნა საქართველოს სხვადასხვა რაიონში, 1358 განთავსებულია კერძო სექტორში, ხოლო 4806 დაბინავებულია დასასვენებელი სახლების, სანატორიუმებისა და სასტუმროების სახელმწიფო ქსელში. უკანასკნელი 14 დღის განმავლობაში, 16 სექტემბრიდან დღემდე მიღებული და დაბინავებულია 4700 ადამიანი. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი შარშან იყო შემოხიზნული აჭარაში, წელს ზაფხულში დაბრუნდა სახლში და სექტემბერში ისევ ლტოლვილის ხვედრი არგუნა ბედმა თუ ცხოვრების უკუღმართობამ.

ორგანიზებულად ეწყობა ლტოლვილთა დახვედრა ნავსადგურში და მათი ტრანსპორტირება ადგილსამყოფელამდე. ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამსახურები მობილიზებული არიან ლტოლვილთა პურითა და სხვა საკვები პროდუქტებით უზრუნველსაყოფად.

საომარი მოქმედების პერიოდში აჭარიდან აფხაზეთში ჰუმანიტარული დახმარების სახით გაიგზავნა 165 ტონა ფქვილი, 200 ტონა დიზელის საწვავი, 100 ტონაზე მეტი ბენზინი, თავდაცვის ფონდში შეტანილია 4687016 კუპონი, ლტოლვილთა დახმარების ანგარიშზე შესულია 42081218 კუპონი.

აჭარის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ აფხაზეთში გაგზავნა 12000 წყვილი საოპერაციო ხელთათმანი, 3000 ერთჯერადი შპრიცი, 15 მილიარდი ერთეული პენიცილინი, 5 ათასი ამპულა ნოვოკაინი, ვიტამინი ბ-4, შესახვევი კომპლექტები, ათასი ფლაკონი ფიზიოლოგიური ხსნარი, ბინტი, ქირურგიული ინსტრუმენტები და სხვ.

საერთო-სახალხო ლაშქრობაა გაშლილი ლტოლვილთა დახმარების ფონდში სახსრების, საკვები პროდუქტებისა და სხვა საჭირო ნივთების შესაგროვებლად. ბათუმსურსათვაჭრობისა და ბათუმმრეწვაჭრობის საწყობებში ჩაბარებულია 12,2 მილიონი კუპონის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, 14,4 მილიონი კუპონის კვების პროდუქტები, 5,2 კუპონის სარეცხი საშუალებები. ყოველივე ეს დანიშნულებისამებრ მოხმარდება ლტოლვილებს.

დახმარების შეგროვება გრძელდება.

## გაგვამხნევეს, დაგვაპურეს

ბედმა მარგუნა, ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად ვყოფილიყავი აფხაზეთის ტრაგედიის თვითმხილველი და უშუალო მონაწილე. ვინც შინაური თუ გარეშე მტრების მიერ გაჩაღებულ ამ საშინელ ხოცვა-ჟლეტას ცოცხალი გადავურჩით, საქართველოს სხვადასხვა ადგილას ვპოვეთ თავშესაფარი.

ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების ბოლოდროინდელი გზა კი ასე წარიმართა: როცა აფხაზმა ექსტრემისტმა-ფაშისტებმა გულრიფშის რაიონის აოხრება და გადაბუგვა დაიწყეს, სხვებთან ერთად ჩვენც ვცადეთ სამშვიდობოს გამოღწევა, მაგრამ კოდორთან ძლიერმა დაბომბვამ, ქართველების სისხლით გაუმაძღარი არძინბას მიერ მოწვეულმა რუსების, ჩეჩნების, კაზაკებისა და ინგუშებისაგან შემდგარმა კაციჭამია ბანდებმა შემდგომი მოძრაობის საშუალება აღარ მოგვცეს, ხელთ იგდეს ბარგი-ბარხანით დატვირთული ჩვენი ავტომანქანა და გაგვძარცვეს. ჩამოგვშორდნენ ცოლ-შვილი და სიძე. მე დსთ-ეს ერთერთმა სასაზღვრო ნაწილმა შემიფარა, მერე კი გემით სოჭში გამგზავნეს, საიდანაც ბათუმს ჩამოვაღწიე. სენაკში ვიპოვე უგზო-უკვლოდ დაკარგული ქალიშვილი და მეუღლე. ბოლოს, თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, ტყვეობიდან თავდახსნილი სიძეც შემოგვიერთდა. გულთბილად მიგვიღეს ჩვენმა აჭარელმა ძმებმა და სასტუმრო „მედეაში" დაგვაბინავეს, შეძლებისდაგვარად ჩაგვაცვეს, დაგვახურეს და დაგვაპურეს.

ჩვენი დარდი და წუხილი გულთან ახლოს მიიტანეს, გაგვამხნევეს და დახმარების ხელი გამოგვიწოდეს აჭარის სატყეო მეურნეობის, შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროების, ნავთობგადასამუშავებელი, საავეჯო, საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნების, საკონსერვო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტის, სასტუმრო „მედეას" შრომითმა კოლექტივებმა და მათმა ხელმძღვანელებმა. ამისათვის გულწრფელი მადლობა მათ.

არასოდეს დამარცხდება ქვეყანა, რომელსაც ასეთი გულმოწყალე, კეთილი და ჭირთმთმენი ადამიანები ჰყავს.

ბიძინა მებონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჭარის ეკონომიკური ცხოვრება

აჭარის ეკონომიკური ცხოვრება

აჭარის ეკონომიკური ცხოვრება

# აჭარის ეკონომიკური ცხოვრება

აჭარის მდიდარი ბუნებრივი რესურსები და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს ეკონომიკის მრავალი დარგის განვითარებას. აჭარაში ჩვენ გაგვაჩნია სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის გადამუშავების, ნავთობგადამუშავების, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკული მრეწველობა, ფარმაცევტული ქიმია, საკურორტო მეურნეობა და სხვა. აჭარაში 14 ჩაის ფაბრიკაა, რომლებიც წლიურად 15000 ტონა ჩაის ამზადებს. აჭარაშია აგრეთვე თევზის, თამბაქოს, რძის, ხორცის, ღვინის, ხე-ტყის დამუშავების და ავეჯის მრეწველობა. მსუბუქი მრეწველობის დარგებიდან აღსანიშნავია ტყავ-ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის მრეწველობა.

აჭარის ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია მრავალგვარი სასოფლო-სამეურნეო კულტურის გავრცელებისათვის. სუბტროპიკული კულტურის დარგებიდან, წამყვანია მეჩაიეობა. 1980 წელს მეურნეობის ყველა კატეგორიის მიხედვით ჩაის კულტურის ფართობი შეადგენდა 8100 ჰექტარს, რაც საქართველოს ჩაის საერთო ფართობის 11,4 პროცენტია. 1980 წელს ციტრუსოვანთა ფართობი შეადგენდა 7500 ჰექტარს. აჭარა, იმავე წლის მონაცემებით, იძლევა საქართველოს ციტრუსოვანთა ნაყოფის 60—65 პროცენტს. მემინდვრეობაში მთავარი კულტურაა თამბაქო, რომლის მოყვანით აჭარა, აფხაზეთის შემდეგ, მეორე ადგილზეა საქართველოში. 1980 წლის მონაცემებით, თამბაქოს უჭირავს 1700 ჰექტარი. აჭარაში მარცვლეულის კულტურებიდან მოჰყავთ სიმინდი. მნიშვნელოვანია აგრეთვე კარტოფილის კულტურა, მებოსტნეობა და მეცხოველეობა. აჭარის მთიან მოსახლეობას ჰყავთ უმთავრესად ცხვარი და თხა; ვაკე-დაბლობ ზონაში კი განვითარებულია მეღორეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა (ქ.ს.ე.).

# აინტერესებთ ეკონომიკის პრობლემები

აჭარის ეკონომიკის გაცნობის მიზნით ბათუმში იმყოფებოდნენ ფირმა „ნორდექსის" პრეზიდენტი გრიგოლ ლუჩანსკი, ამავე ფირმის ვიცე-პრეზიდენტი ბენიამინ ლევინი, ბრიტანეთის საფინანსო კორპორაციის წარმომადგენელი პოლ ბლონფილდი და ბრიტანეთის ტელესაკომუნიკაციო კომპანიის წარმომადგენლები ჯონ კროაჯი და ჰამფრი ჯოვე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძისა და რესპუბლიკის სხვა ოფიციალური პირების თანხლებით სტუმრები ეწვივნენ აჭარის მნიშვნელოვან სამრეწველო საწარმოებს, იყვნენ ბათუმის სავაჭრო ნავსადგურში, გაეცნენ მის სიმძლავრესა და ტვირთბრუნვას. ნავსადგურის უფროსმა ასლან ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ აფხაზეთში შექმნილი რთული ვითარების გამო ვერ ფუნქციონირებს რკინიგზა, ვერ ხერხდება ტვირთის გადატანა რუსეთში. ამის გამო ბათუმის ნავსადგური სრული დატვირთვით ვერ მუშაობს. ბატონი გ. ლუჩანსკი განსაკუთრებით დააინტერესა ნავსადგურში მოქმედმა ნავთობგადასატვირთავმა ტერმინალმა. მან აღნიშნა, რომ თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიით ნავთობსაჩამომსხმელო რაიონის აღჭურვა მნიშვნელოვნად გაზრდის ნავსადგურის შესაძლებლობებს, კერძოდ, ტვირთბრუნვას.

შემდეგ სტუმრები ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანას ეწვივნენ. ქარხნის მიერ გამოშვებულ პროდუქციას რომ გაეცნო, ფირმა „ნორდექსის" პრეზიდენტმა თქვა: ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ყველაზე ხელსაყრელი დამკვეთია სომხეთი, რომელსაც სჭირდება სწორედ ეს პროდუქცია. ამიტომ აუცილებლად უნდა დამყარდეს საქმიანი კონტაქტები. სტუმრებს გააცნეს ქარხნის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა.

ბიზნესმენები იყვნენ ბათუმის თამბაქოს კომბინატში. გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა მამია ხარაზმა მათ გააცნო ქარხნის ტექნოლოგია, მისი სიმძლავრე. გ. ლუჩანსკი დააინტერესა ფაბრიკის პერსპექტივებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჭარა ეხმარება ლტოლვილებს

## მეგობრული ხელი გავუწოდოთ

ციხისძირის ტურისტულ ბაზაში აფხაზეთიდან წამოსულთა ოჯახები დაგვხვდნენ. ყველას მოწყენილი სახე ჰქონდა, უჭირდათ ლაპარაკი. ბავშვებიც კი დადარდიანებული იყვნენ. დირექტორის მოადგილემ მიხეილ უგულავამ გვითხრა, რომ აქ 26 სექტემბერს 146 ლტოლვილი მიიღეს. მათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრო, კერძოდ, მინისტრი ოთარ კახაძე აფინანსებს.

## გმადლობთ გულთბილი მიღებისათვის

ჩვენ აფხაზეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ლტოლვილების სახელით უღრმეს მადლობას მოგახსენებთ გულთბილი მიღებისათვის. ჩემი ოჯახი (7 სული) ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯალიდან წამოვედით იძულებით. დიდხანს ალყაში იყო მოქცეული მრავალი სოფელი და მათ შორის ჩემიც. როგორც კი საშუალება მოგვეცა, მივატოვეთ სახლ-კარი და უკვე ლტოლვილებად ქცეულები, აქეთკენ წამოვედით მატარებლით სამტრედიის გავლით. (იქაც ძალზე გულისხმიერად მოგვეპყრნენ).

ბათუმში ჩამოსვლის დღეს საზღვაო ვაგზალში შეგვხვდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში მომსახურე ახალგაზრდები კაპიტან ბოლქვაძის (სახელი არ ვიცი) მეთაურობით. მათ გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი სატკივარი და დაგვპირდნენ: "თუ ბინებში ვერ მოგათავსებენ, მაშინ ჩვენს ოჯახებში წაგიყვანთო. იქვე ჩვენს პატარებს გაუმასპინძლდნენ. ღმერთმა ყველა ოჯახს ასეთი ზრდილობიანი და ყურადღებიანი ვაჟკაცები გაუზარდოს.

იმ დღესვე ბატონებმა ოსიკო გვარიშვილმა, ოთარ კახაძემ და სხვებმა იზრუნეს და ავტობუსებით პანსიონატ „მახინჯაურში“ გაგვამგზავრეს. ოც დღეზე მეტია, აქ ვიმყოფებით.

ჩემი ოჯახის სახელით მადლობა მინდა მოვახსენო აჭარის ხელისუფლებას, პირადად ბატონ ასლან აბაშიძეს, პანსიონატ „მახინჯაურის“ მომსახურე პერსონალს, ყველას, ვინც ასე გვეხმარება, ვინაც ასე გაითავისა ჩვენი გულისტკივილი და ცდილობს დარდის შემსუბუქებას.

**ხუხუტი არახამია**
ლტოლვილი აფხაზეთიდან, ტყვარჩელის მაღაროს შრომის ვეტერანი.

## ამ პატივისცემას ვერ დავივიწყებთ

სტუმარი ღვთისააო, — უთქვამს ქართველ კაცს. მაგრამ დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების პირობებში ისეთი მრავალრიცხოვანი სტუმარი, როგორიც დღეს აჭარას ეწვია, იშვიათია. აქაურები თითქოს გაჯიბრებიან ერთმანეთს აფხაზეთიდან ჩამოსულ ლტოლვილთა მძიმე ხვედრის შესამსუბუქებლად.

დიახ, ჩვეულებრივ სტუმრობაზე როდია საუბარი. მეც ერთერთი იმათგანი ვარ, ვინც დატოვა წლობით ნალოლიავები სახლ-კარი და ბათუმის სასტუმროებსა თუ დასასვენებელ სახლებში დაიდო დროებითი ბინა.

ვფიქრობ, გამოვხატავ ყველა იმათ აზრს, ვინც ტურისტულ სასტუმრო „მესხეთში“ ვიმყოფებით (აქ კი 8000-მდე ლტოლვილია), თუ ვიტყვი, რომ სასტუმროს დირექტორი ბატონი გურამ ბოლქვაძე და მომსახურე პერსონალი საოცარი გულითადობით შეგვხვდნენ.

რა თქმა უნდა, ყოველთვის როდი ხერხდება ჩვენი, თუნდაც ელემენტარული. მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილება, მაგრამ ეს ისეთი ტაქტით კეთდება, რომ გულნატკენი არც კი რჩები. თბილ დამოკიდებულებას ვგრძნობთ გარშემომყოფთაგან, ქუჩაში გამვლელნიც კი კეთილად შემოგვხედავენ, გაგვიღიმებენ, გაგვესაუბრებიან.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**

**უზენაესი საბჭო**

**ქრონიკა**

**საინფორმაციო ბიულეტენი**

**აპრილი, 1995 წ.**

# საქართველოში პირველი

ელექტროკავშირგაბმულობის როლი იმდენად დიდია, რომ არ შეიძლება არსებობდეს ეკონომიურად განვითარებული არც ერთი სახელმწიფო კარგად ორგანიზებული კავშირგაბმულობის სისტემის გარეშე. კავშირგაბმულობის საშუალებანი გამოიყენება ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული მართვისათვის ადამიანის პირად, საქმიან და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. კარგად განვითარებულ კავშირგაბმულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის თავდაცვითი სიძლიერის უზრუნველსაყოფად.

ტელეფონი ბერძნული სიტყვაა და „შორს ლაპარაკს" ნიშნავს. ამ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ სასწრაფო ცნობებს ყვირილით გადასცემდნენ, ეს იყო თავისებური „ტელეფონი", რადგანაც ბგერები დიდ მანძილზე გადაიცემოდა, ხოლო ამერიკის და აფრიკის მკვიდრი მოსახლეობა სარგებლობდა დაფდაფებით.

ტელეფონის მოქმედების პრინციპის შესაქმნელად მრავალი გამომგონებელი წარუმატებლად იმტვრევდა თავს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე, მაგრამ ყველა ეს უნაყოფო ცდები ბოლოს და ბოლოს წარმატებით დაგვირგვინდა: 1875 წლის 2 ივნისს ყრუ-მუნჯთა სკოლის მასწავლებელმა ალექსანდრე ბელმა ტელეფონის მოწყობილობის და მოქმედების ძირითადი პრინციპები აღმოაჩინა. ტელეფონის გამოგონებას თავდაპირველად მაშინდელი საზოგადოება იმდენად უნდობლად შეხვდა, რომ ბელი იძულებული იყო დაეცვა თავისი გამოგონება 600 სასამართლო პროცესზე. მან ყველა პროცესი მოიგო და მოწინააღმდეგეებს ისღა დარჩენოდათ, ეღიარებინათ მისი უფლება ტელეფონის გამოგონებაზე. ტელეფონის გამოგონებიდან ორი წლის შემდეგ 1878 წლის 25 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუჰევენში გაიხსნა პირველი საერთო სარგებლობის სატელეფონო სადგური.

საქართველოში პირველი სატელეფონო სადგური გამოჩნდა ქ. თბილისში 1893 წლის 10 ივლისს, ხოლო ქ. ბათუმში 1895 წლის 1 სექტემბერს. ეს სატელეფონო სადგურები იყო ე. წ. ხელის კომუტატორები, რომლებსაც გააჩნდა სერიოზული უარყოფითი მხარეები.

აღნიშნული სატელეფონო სადგურების მოქმედების პრინციპები დაამუშავა და დახვეწა რუსმა ინჟინერმა გოლუბიცკიმ, რომელიც ბათუმში პირველად 1914 წელს გამოჩნდა. შემდეგ დადგა დეკადურ-ბიჯური სატელეფონო სადგურების ეპოქა და 1963 წელს ქ. ბათუმში ექსპლოატაციაში გაიშვა აღნიშნული ტიპის სატელეფონო სადგური 6000 აბონენტზე.

სადღეისოდ,აჭარაში მოქმედებს 65 დეკადურ-ბიჯური, კოორდინაციული და კვაზიელექტრონული ტიპის ავტომატური სატელეფონო სადგური.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი ჩვენს რეგიონში აღინიშნა ელექტრონიკისა და გამოთვლითი ტექნიკის შედარებით სწრაფი განვითარებით, რომლებმაც სათანადო გავლენა იქონია საკომუტაციო ქსელის შემდგომ განვითარებაზეც. იქმნება კოორდინატული, კვაზიელექტრონული სატელეფონო სადგურები, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე შეცვალა ელექტრონულმა ატს-ებმა.

ამ მოკლე ექსკურსის გადმოცემა იმიტომ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად, რომ მკითხველს მინიმალური წარმოდგენა მაინც შეექმნას საქართველოში და კერძოდ, აჭარაში ტელეფონის განვითარების ეტაპზე.

ბოლო წლებში, 1991 წლიდან მოყოლებული, საქართველოში ომისა და კატაკლიზმების პერიოდში, როცა ფაქტობრივად განადგურდა ეკონომიკა, მოიშალა საკომუნიკაციო საშუალებები. იმ დარგთა შორის, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა, სატელეფონო კავშირის სისტემა გახლდათ. მიუხედავად ამ ყოვლად შეჭირვებული პერიოდისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც რესპუბლიკისათვის ისტორიულად შეიძლება ჩაითვალოს და გამონახა შესაბამისი ფინანსური სახსრები აჭარის სატელეკომუნიკაციო ქსელის მოდერნიზაციისათვის, რომელიც დაყოფილია სამ ეტაპად. ამასთან დაკავშირებით მოინახა თურქეთის რესპუბლიკაში ერთერთი წამყვანი სატელეკომუნიკაციო ფირმა „ალკატელ-ტელეტაში“, რომელმაც ითავა მოდერნიზაციის სამუშაოების პირველი ეტაპის წარმოება. დაიდო ორმხრივი ხელშეკრულება და შედგა მუშა-პროექტი, რომლის განხორციელებაც 1992 წლის გაზაფხულზე დაიწყო და დღეისათვის ქ. ბათუმში დამონტაჟებულია და მუშაობს საქართველოში პირველი თანამედროვე „— 12“ ტიპის ავტომატური ციფრული ელექტრონული სატელეფონო სადგური 7168 საბონენტო ნომერზე და 2400 საერთაშორისო რადიოსარელეო ხაზზე მისი ყველა დამხმარე მოწყობილობით. ასევე ყველა თავისი დამხმარე მეურნეობით, მოწყობილია იგივე სისტემის სატელეფონო სადგური 2000 ნომერზე საქვეყნოდ განთქმულ კურორტ ქობულეთში, რომელიც სიდიდით მეორე ქალაქია ავტონომიურ რესპუბლიკაში. გაშვებულია და მოქმედებს რადიოსარელეო ხაზები ქ. ფოთი — ქ. ქობულეთი — ქ. ლანჩხუთი — ქ. ქუთაისი — ქ. თბილისი და აქედან კი საერთაშორისო სატელიტურ სისტემაში.

დღეისათვის უკვე შექმნილია ყველა პირობა და საშუალება, რომ ბათუმიდან და ქობულეთიდან აბონენტი შეუფერხებლად დაუკავშირდეს ავტომატური სადგურის მეშვეობით მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას. შეიქმნა ფაქსიმელური კავშირის საშუალებები, რამაც რეგიონში საერთაშორისო ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და სხვა ურთიერთობებისა და ღონისძიებების მოწყობის ფართო გასაქანი შექმნა. დღეს აღარ უჭირს ბათუმის, აჭარის სტუმარს ნებისმიერი ქვეყნიდან შეუფერხებელი სატელეფონო კავშირი იქონიოს საკუთარ ქვეყანასთან, ოჯახთან და საქმიან წრეებთან. ამას ჩვენ სერიოზულ გამარჯვებად ვთვლით. ქართველი ხალხი ხომ ახალ ქვეყანას აშენებს და ახალი ცივილიზებული ქვეყანა სრულყოფილი თანამედროვე სატელეკომუნიკაციო კავშირების გარეშე წარმოუდგენელია. მისასალმებელია, რომ ეს პირველად ჩვენს ქვეყანაში ბათუმში, აჭარაში გაკეთდა, რომელიც ბოლო პერიოდში ქვეყანაში სტაბილიზაციის, სიმშვიდის, ეკონომიკური და პოლიტიკური აღორძინების მედროშედ გვევლინება.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ კავშირგაბმულობის სისტემაში გამოთვლითი ტექნიკის დანერგვას, რომელიც გათვალისწინებულია როგორც ეკონომიკურ, ისე ტექნოლოგიურ ინფორმაციათა დასამუშავებლად. ამჟამად, ჩვენს სამინისტროსთან მოქმედებს საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს გამოთვლითი ცენტრის ქ. ბათუმის განყოფილება, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული სისტემით და მის ფუნქციებში შედის აწარმოოს კავშირგაბმულობის საშუალებების აბონენტთა მომსახურებისათვის ავტომატიზირებული ანგარიშსწორება, ყველა ეკონომიკური, ტექნიკური პროგრამებისა და ინფორმაციის დამუშავება...

მიმდინარეობს სამუშაოები კონტრაქტით გათვალისწინებული მეორე ეტაპის სამუშაოების დასაწყებად. მზადაა პროექტი ქ. ბათუმში 15000 ნომრიანი და ქ. ქობულეთში 5000 ნომრიანი ახალი ელექტრონული სადგურების დასამონტაჟებლად, რომლის შემდეგაც ამ ორი ქალაქის ტელეკომუნიკაცია მთლიანად გადაყვანილი იქნება ციფრულ ელექტრონულ სადგურებად. უახლოეს ხანში უნდა დაიწყოს აჭარის მაღალმთიანი რეგიონების სატელეკომუნიკაციო ქსელის მოდერნიზაციაც, რომელიც კონტრაქტის მესამე ეტაპია.

კონტრაქტით გათვალისწინებული ყველა პუნქტის განხორციელების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მიიღებს გამართულ სატელეკომუნიკაციო ქსელს, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს კავშირგაბმულობის საშუალებებზე გაზრდილ თანამედროვე მოთხოვნებს.

არ შემიძლია გვერდი ავუარო იმ ფაქტს, რომ ბათუმის ტელეფონიზაციის საწყის პროცესებზე გავლენა იქონიეს სატელეკომუნიკაციო სამყაროს ისეთმა კორიფეებმა, როგორიც სიმენსები იყვნენ, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში ტელეგრაფისა და ტელეფონის განვითარების საქმეში. აი, რა ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოში ცნობილ მეკავშირე ინჟინერს და კავშირგაბმულობის სისტემის ერთერთ ყოფილ ხელმძღვანელს ბატონ ანდრე კარბელაშვილს მიუნხენში ფირმა „სიმენსის“ მესვეურებმა: — ვერნერ სიმენსი ბათუმში კონსტანტინეპოლიდან გემით ჩავიდა. იგი წერდა: „ბათუმში ჩვენმა გემმა მიაღწია თავისი დანიშნულების ადგილს. აქედან პატარა სანაპირო ორთქლის გემით გავემგზავრეთ უნავსადგურო ფოთამდე. ბათუმს, მართალია, პატარა, მაგრამ საკმაოდ საიმედო და ცუდ ამინდშიც ადვილად მისადგომი ნავსადგური აქვს და ლამაზ, მთაგორიან, ტყიან ნაპირზეა შეფენილი. ფოთს კი, რომელიც რიონის, ანუ უძველესი ფაზისის პირას არის განლაგებული ფართე ჭაობიან დაბლობზე, — არავითარი ნავთსაყუდელი არ გააჩნია და მხოლოდ პატარა გემსადგომი აქვს, რომელსაც მეჩეჩების გამო გემები გაურბიან. სამჯერ სცადა რუსეთის მთავრობამ საკმაოდ დიდი თანხების გამოყოფით ღრმა ზღვაში შემავალი გემსადგომის აგება, რათა ხომალდებისათვის თავშესაფარი მიეცა, მაგრამ ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ავი ენები იმასაც კი ამბობენ, რომ პირველი, ხის კაშხალი — ჩრჩილებმა, მეორე, ცემენტისა — ზღვის მლაშე წყალმა, ხოლო მესამე — გრანიტისა კი გენერლებმა დახრესო. ამ ბოლო მოსაზრებამ, მხოლოდ უკბილო ხუმრობაც რომ იყოს, მაინც შეაფერხა ქვის კაშხალის მშენებლობა. საჭირო თანხის უქონლობამ ნათლად დაანახა რუსეთს, რომ ერთადერთი გამოსადეგარი ნავსადგური შავი ზღვის ამ მიდამოებში ბათუმში მოეწყოთ. ამაზე დიდად იყო დამოკიდებული მთელი კავკასიის პროვინციების საერთო კულტურული განვითარება. მხოლოდ ბათუმის გადაცემა რუსეთისათვის უნაზღაურებდა რუსეთს თურქეთთან ბოლო ომის ხარჯებს“.

ფირმა „სიმენსი“ ფართოდ იყენებდა ბათუმის ნავსადგურს იმ სპილენძის გასატანად, რომელსაც იგი ღებულობდა აზერბაიჯანის სპილენძის სადნობი ქარხნებიდან. 1900 წლიდან აჭარაში ფირმამ დაიწყო საძიებელი სამუშაოები სპილენძის საბადოს მისაკვლევად, განსაკუთრებით ბათუმის ახლომდებარე ადგილებში. აჭარაში მუშაობის საწარმოებლად „სიმენსს“ თავისი წარმომადგენელი ჰყავდა.

დღეს ბათუმი აღჭურვილია კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებებით და ეს იმას ნიშნავს, რომ განხორციელდა ის, რაზეც ოცნებობდნენ გასული საუკუნის ბოლოს და ჩვენი საუკუნის დასაწყისში კავშირგაბმულობის გამოჩენილი ადამიანები.

აქვე მოგაწვდით საქართველოს საერთაშორისო კავშირგაბმულობის კოდს 995, ქ. ბათუმი 222.

კეთილი და ბედნიერი იყოს თქვენი ზარი, ფეხბედნიერი თქვენი ჩამობრძანება!

**ნ. თამაზაშვილი**

აჭარის კავშირგაბმულობის მინისტრი



აჭარის კავშირგაბმულობის მინისტრი
ბატონი ნოდარ თამაზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განიხილავენ მნიშვნელოვან პროექტებს

ბათუმს კვლავ ეწვია ჰუმანიტარულ საკითხთა დამოუკიდებელი საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანაშემწე ზია რიზვი, რომელიც შეხვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს.

ეს ბატონ ზია რიზვისა და ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის პირველი შეხვედრა როდია. წინანდელი შეხვედრებისას ურთიერთთანამშრომლობის სურვილი გამოითქვა და აი, მნიშვნელოვანი პროექტების განხილვა გრძელდება. კერძოდ, საუბარი შეეხო აჭარაში ელექტროსადგურის, შაქრის გადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობის, ჰუმანური დახმარების გაწევის პრობლემების გადაწყვეტას.

შემუშავებულია ბათუმის საზღვაო პორტის რეკონსტრუქციის დეტალური პროექტი. ეს ნავსადგური მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოს რესპუბლიკისათვის. ბათუმიდან ხომ ამიერკავკასიის რესპუბლიკები ღებულობენ ნავთობს, ფქვილს, სხვა სასიცოცხლოდ საჭირო ტვირთის დიდ ნაწილს.

ბატონმა ზია რიზვიმ, რომელიც სისტემატურად ადევნებს თვალს კავკასიის რეგიონში არსებულ ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, ხაზი გაუსვა ბატონ ასლან აბაშიძის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მშვიდობის, სამოქალაქო თანხმობისა და სტაბილურობის შენარჩუნების დიდ მნიშვნელობას, რაც იმედს გვაძლევს, რომ მშვიდობა მალე მთელ საქართველოში დამყარდება.

საუბრისას ბატონმა ზია რიზვიმ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა მნიშვნელოვანი პროექტი მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ მთელს საქართველოში მივაღწევთ ისეთსავე სტაბილურობას, როგორიც დღეს აჭარაშია.

## მშენებელთა წარმატება

მთელი რიგი სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის საკითხის განსახილველად ბათუმში იმყოფებოდა თურქეთის ფირმის „ჯასას“ პრეზიდენტი საიმ ალთუნბეი.

სტუმარი მიიღო აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ასლან აბაშიძემ. მოლაპარაკება ეხებოდა საცხოვრებელი სახლების, გზებისა და გვირაბის მშენებლობასა და აეროპორტის რეკონსტრუქციას. ამ საკითხებზე ორჯერ გაიმართა შეხვედრა ბატონი ა. აბაშიძის თურქეთში ყოფნის დროს.

გადაწყდა, რომ პირველ ეტაპზე აჭარის ხელისუფლება ფირმა „ჯასას„ სოფ. გონიოში ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, გამოუყოფს მიწის ნაკვეთს, სადაც ფირმა ააშენებს უაღრესად კომფორტულ მრავალსართულიან სახლებს. მშენებლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად თურქეთის რესპუბლიკაში გაემგზავრნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი ბატონი ი. ხალვაში და მინისტრის პირველი მოადგილე ბ-ნი შ. მამუჭაძე.

გადაწყდა, რომ თურქეთის მხარე აიღებს თავის თავზე ვალდებულებას მოამზადოს და ჩამოიტანოს მშენებლობისათვის საჭირო ყალიბები. მშენებლობა ძირითადად წარიმართება ადგილობრივი სამშენებლო მასალებით და მუშახელით. მოსაპირკეთებელ სამუშაოებზე კი გამოყენებული იქნება თურქეთის სხვადასხვა ფირმის მიერ წარმოებული სამშენებლო მასალები.

ამჟამად, თურქეთის ფირმა „ჯასა“-ს საპროექტო ამუშავებს გამოსაყოფი ტერიტორიის გენგეგმას, საცხოვრებელი სახლების პროექტებს და მიმდინარე წლის სექტემბრის თვის პირველ დეკადაში ყველა საჭირო მასალით ჩამოვლენ აჭარაში. პარალელურად, ჩვენს მხრივ, მზადდება რაიონის გენერალური გეგმა და ჩამოტანილი საცხოვრებელი სახლების პროექტების კორექტირება ადგილობრივი კლიმატური და ტრადიციული წესებისა და ნორმების გათვალისწინებით.

## დამონტაჟდა მიკროელექტროსადგური

შუახევის რაიონში გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება ენერგოსისტემაში არსებული დეფიციტის შესავსებად. მდინარე სანალიასწყალზე დაიწყო მიკროელექტროსადგურის მშენებლობა, რომლის საექსპლუატაციოდ გადაცემის შემდეგ რაიონს შესაძლებლობა ექნება ნაწილობრივ შეივსოს მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე, ხოლო ხევაღელეზე დაპროექტებული მიკროჰესის აგების შემდეგ — სხვასაც მიაწოდოს ელექტროენერგია.

ამ სამუშაოების წინ მდინარე უჩამბისწყალზე დამონტაჟდა მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური. ეს სადგური ძალიან მარტივია და მისი დამონტაჟება მთიან აჭარის მეტწილ სოფლებში შეიძლება. საამისოდ საჭიროა 40—50 სანტიმეტრი სიგანის ღია არხი, ან 30 სანტიმეტრი დიამეტრის რკინის მილი და 10 მეტრის სიმაღლიდან წყლის დაშვება.

მიკროჰესის ტურბოგენერატორი შუახეველებს საჩუქრად გადასცა ფირმა „ელიტამ“, რომლის პრეზიდენტია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კობა ნაფეტვარიძე. მიკროჰესით სარგებლობენ უჩამბის სასოფლო საკრებულოს ქვაბთის უბნის მცხოვრებლები, 7—8 ოჯახს შესაძლებლობა აქვს შეუფერხებლად მიიღოს 10 კილოვატი სიმძლავრის ენერგია; გარდა ამისა, ენერგიით მარაგდებიან საუბნო საავადმყოფო, ფურნე და საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აღმოჩენილია ბუნებრივი გაზი

1994 წლის 20 აგვისტო ღირსსახსოვარი თარიღია საქართველოს ისტორიაში — ამ დღეს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის მიერ დაქირავებული გემის „პროფესორი ვოდიანიცკის" ეკიპაჟმა შავ ზღვაში აღმოაჩინა დიდი რაოდენობის ბუნებრივი გაზი. გამოირკვა, რომ ბათუმის აკვატორია აირების შემოდინების მძლავრ კერაზე მდებარეობს მდინარე ჭოროხის მარჯვენა შენაკადიდან მდინარე ყოროლისწყლის ტრავერსამდე. საქმე გვაქვს უნიკალურ შემთხვევასთან: შავი ზღვის აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია გაზის შემოდინების 387 უნიკალური კერა.

## კარგი გზა — საქმის ნახევარია

აჭარაში არსებული სტაბილური მდგომარეობა კარგი პირობაა რეგიონში სხვადასხვა სახის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად. ამასთან დაკავშირებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ასლან აბაშიძესა და საქართველოს საავტომობილო გზების კონცერნის თავმჯდომარეს ბატონ ბ. სარალიძეს შორის.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მიმდინარე წლის ბოლომდე აჭარის გზებზე შესრულდეს ასფალტ-ბეტონის სამუშაოები, რისთვისაც საჭირო თანხა 2 მილიარდი კუპონის ოდენობით გამოჰყო საქართველოს საავტომობილო გზების კონცერნმა, ხოლო საწვავით მომარაგება ავტონომიური რესპუბლიკის ფონდიდან იწარმოებს.

47 კმ სიგრძის მაგისტრალურ საავტომობილო გზაზე დაიგება ასფალტ-ბეტონი, ხოლო ხულო-გოდერძის საუღელტეხილო გზის 30 კმ., რომელიც მეწყერმა დააზიანა, მოიხრეშება. სამუშაოები შესრულდება ზამთრის დაწყებამდე.

საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მოეწყობა სავალი ნაწილის კიდის გამაგრება ცემენტ-ბეტონის ფილებით და ტროტუარები სათანადო სინათლის ამრეკლი განათების მოწყობილობებით.

შეკეთდება ოზურგეთ-ქობულეთის საავტომობილო გზა.

ასევე მიმდინარეობს ბათუმ-ქობულეთის საავტომობილო გვირაბის საპროექტო სამუშაოები. დაგეგმილია ორი გვირაბის გაყვანა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესაქმნელად.

## ამერიკელი მშენებლების მიღება

24 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ა. აბაშიძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ორი წამყვანი სამშენებლო ფირმის „პროჯექტ დეველოპმენტისა და შელტერ ინტერნეშნლის" პრეზიდენტები ბატონები ფრენკ ბრედი და ჯოზეფ ფილნერი თანმხლებ პირებთან ერთად.

ამერიკელ მშენებლებს განზრახული აქვთ საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის აჭარაში, ერთობლივი სახლსაშენი საწარმოების დაარსება.

აღნიშნულ საწარმოებში დამზადებული სამშენებლო კონსტრუქციები შეიძლება უმოკლეს ვადებში აიგოს მაღალკომფორტული კოტეჯის ტიპის საცხოვრებელი სახლები. გათვალისწინებულია, რომ ამერიკელი სპეციალისტები ამ საწარმოებისათვის მოამზადებენ ადგილობრივ მაღალკვალიფიციურ მუშახელს.

მიღების დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლა, როცა სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში კრიზისული მდგომარეობაა, აჭარაში სწორედ იმ დარგების განვითარებას მიექცევა მთავარი ყურადღება, სადაც განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა შექმნილი. მათ რიცხვს მიეკუთვნება ბინათმშენებლობა.

ბატონი ა. აბაშიძე აწარმოებდა მოლაპარაკებას ქ. მოსკოვში ბელგიურ სამშენებლო ფირმასთან ამავე ტიპის სახლების მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ.

## შენდება სკოლები

მძიმე ეკონომიკური პირობების, არსებული კავშირების გაწყვეტის გამო ბევრი ობიექტის მშენებლობა შეჩერდა, მაგრამ სკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობას შესაძლო ყურადღება ექცევა. ამჟამად ავტონომიურ რესპუბლიკაში კაპიტალური დაბანდებით ცხრა სკოლა შენდება, ან უტარდება კაპიტალური რემონტი. ასეთებია: ქობულეთის N 4 და N 6 საშუალო, ხელვაჩაურის რაიონის თხილნარისა და განთიადის, ქედის რაიონის გეგელიძეებისა და ხარაულას, შუახევის რაიონის ნენიის, ხულოს რაიონის ქედლებისა და თხილვანის სკოლები. იგება აგრეთვე ბათუმის საბავშვო ცენტრი და ხელვაჩაურის საბავშვო ბაღი.

სოფელ თხილვანის სკოლის მშენებლობაზე პირველი ოქტომბრისათვის აითვისეს 34,1 მილიარდი კუპონი. შეასრულეს როგორც შიდა, ისე გარე სამღებრო სამუშაოები, დააგეს ხის იატაკის ნახევარზე მეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბათუმში, 1994 წლის ოქტომბერში, და აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ასლან აბაშიძე



ბათუმის ნავსადგური



ბათუმის ნავსადგური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზოგიერთი საკითხი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ

## წერილი პირველი

თავისუფალი ეკონომიკური ზონა (თეზ) არის სახელმწიფოს ადმინისტრაციული ტერიტორიის კომპაქტური ნაწილი, რომელიც აკმაყოფილებს ამ ტერიტორიაზე თავისუფალი მეწარმეობის (თავისუფალი ეკონომიკის) ზონის სტატუსით დადგენილ მოთხოვნილებებს. ეს ტერიტორია კომპაქტურია. აღჭურვილია სოციალური ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საცხოვრებელი შენობები, სამრეწველო სათავსოები, ელექტროენერგიით, წყლით, სითბოთი მომარაგება) მსოფლიო სტანდარტის დონის შესატყვისი საბაზისო ობიექტებით, ხელსაყრელი ეკონომ-გეოგრაფიული მდებარეობით და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის წარმოების პირობებით გამოირჩევა. აგრეთვე, მუშახელის და სპეციალისტების რეზერვი აქვს და სხვადასხვა გადასახადისაგან განთავისუფლების გარკვეული ნორმებით სარგებლობს. ძალზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო საქმიანობის აქტიურ ცენტრებთან და (საქონლის) გასაღების ბაზრებთან გეოგრაფიული სიახლოვე და ხელსაყრელი კომუნიკაცია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებობას. — ნავსადგური, რკინიგზის ხაზი, აეროპორტი. სასურველია ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და მნიშვნელოვანი ფართობის თავისუფალი ტერიტორია შემდგომი სამეურნეო ათვისებისათვის. აღსანიშნავია, რომ თეზ-ები შექმნილია მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში, გარდა იმ ადგილებისა, სადაც მკაცრი ბუნებრივი პირობებია. რეგიონში უნდა იყოს სტაბილური სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური ვითარება არასტაბილურია, ზემოჩამოთვლილი ფაქტორები უნდა იყოს საუკეთესო ან მთავრობამ შეიძლება გაატაროს ისეთი დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ თეზ-ის წარმატებით განვითარებას. მსოფლიოში ამის მრავალი მაგალითია. პირველ რიგში აღსანიშნავია მსოფლიოში ერთერთი უდიდესი პირველთაგანი და უმნიშვნელოვანესი თეზ-ი — ჰონკონგი. მისი თეზ-ად გამოცხადების დღიდან (1841 წ.)დღემდე ჰონკონგში საკმაოდ ბევრი და მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური პრობლემაა. მაგრამ ეს ხელს არ უშლის მის უმაღლეს დონეზე განვითარებას.

თეზ-ის შესწავლა მეტად აქტუალური საქმეა, რადგან დღევანდელ პირობებში, როდესაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა თითქმის მთლიანად მოშლილია და აღმშენებლობას საჭიროებს, ჩვენი ამოცანაა, განვიხილოთ ეკონომიკის ტერიტორიული ორგანიზაციის ისეთი ფორმები, რომლებსაც დადებითი შედეგები ჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში. ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ შეძლო თითქმის მთლიანად თუ ნაწილობრივ გადაეწყვიტა ეკონომიკური და სოციალური პრობლემები სწორედ თეზ-ების მშენებლობის გზით . ამის გამო, მთელ მსოფლიოში, სტიმულირდება თეზ-ების შექმნა. დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური პროგნოზების შესწავლის აკადემიურ ინსტიტუტში (The Institute of Development Stadies) ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე მეცნიერები ამტკიცებენ, რომ რაციონალურად დაპროექტებულ და განლაგებულ თეზ-ას ნებისმიერი დამფუძნებელი ქვეყნისათვის მოაქვს ეკონომიკური მოგება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა თეზ-ი, რომელიც მსოფლიოში არსებობს, წარმატებით ფუნქციონირებს. რა თქმა უნდა, თეზ-ის იდეალური მოდელი, რომელიც ნებისმიერ პირობებს შეესაბამება დროის ნებისმიერ პირობებში, არ არსებობს. ცნობილია მხოლოდ პირობების გარკვეული პაკეტი (რომელიც ზემოთ არის მოყვანილი) და იგი აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს თეზ-ის შექმნისას.

თეზ-ის შექმნის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ამ ტერიტორიაზე სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა. სამართლებრივი ბაზა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტორების მოზიდვაზე და, ამგვარად, ზონის მომავალ განვითარებაზე. სწორედ თეზ-ებზე კანონმდებლობის მიუღებლობამ გამოიწვია ის, რომ დღესდღეობით საქართველოში რეალურად არცერთი თეზ-ი არ ფუნქციონირებს. რაც შეეხება თეზ-ების კვლევას, საქართველოში სერიოზული მეცნიერული ლიტერატურა ამ თემაზე არ შექმნილა. რა თქმა უნდა, ქართველ მეცნიერებს გაუჭირდებათ ახალი სიტყვის თქმა ამ დარგში, სანამ ჩვენს ქვეყანაში არ იმუშავებს თუნდაც ერთი თეზ-ი, მაგრამ ალბათ, შესაძლებელია საკმაოდ მდიდარი მსოფლიო გამოცდილების საფუძველზე გარკვეული დასკვნები გაკეთდეს. თეზ-ების შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეაქვს საერთაშორისო ორგანიზაციებს და იმ ქვეყნებს, სადაც ასეთი ზონები არსებობს. კერძოდ, ბოლო წლებში საკმაოდ სერიოზული ნაშრომები შეიქმნა სოციალისტურ ჩინეთში, სადაც ყოველწლიურად ახალი თეზ-ი იქმნება.დღესდღეობით მსოფლიოს 90-მდე ქვეყანაში და რეგიონში 700-მდე თეზ-ი არსებობს (გარდა ავსტრალიისა და ოკეანეთისა). როგორც ცნობილია, პირველი ოფიციალური თეზ-ი 1547 წელს შეიქმნა იტალიაში, ლივორნოში. თუმცა, თეზ-ის პრიმიტიულ ნაირსახეობას ჯერ კიდევ ფინიკიასა და ძველ საბერძნეთში ვხვდებით. ამგვარად, თეზ-ები ევროპაში ჩაისახა. დღეს კი ეს არ არის ეკონომიკური ფენომენი, რომელიც ერთი რომელიმე რეგიონისათვის იყო დამახასიათებელი. ეს არის მოვლენა, რომელიც მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, მიუხედავად ქვეყნის მდებარეობისა, წყობისა და განვითარების დონისა.

ისევე, როგორც ყველა მოვლენა, თეზ-ები დროთა განმავლობაში ვითარდებოდა და სულ უფრო და უფრო მაღალი რანგის კომპლექსურ ფორმებად გვევლინება. მათი რიცხვი წლიდან წლამდე სწრაფად მატულობს. მყარდება თეზ-ების პოზიციები საერთაშორისო ვაჭრობაში. განვითარებასთან ერთად ყალიბდება თეზ-ების ახალი ტიპები და სახეობები. ისინი ერთმანეთისაგან განირჩევიან წარმოების ორგანიზაციის ფორმით და შესაბამისად, სხვადასხვა სახელწოდება აქვთ: თავისუფალი ნავსადგური, თავისუფალი აეროპორტი, სატრანზიტო ზონა, თავისუფალი სავაჭრო ზონა, საექსპორტო საქონლის გადამამუშავებელი ზონა, უბაჟო საწყობების ზონა და ა. შ.

თუ თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის ანალიზს დავეყრდნობით, უნდა ვივარაუდოთ, რომ თეზ-ების აღმავლობა მსოფლიოს ყველა რეგიონში მოხდება. ისინი განვითარების კიდევ უფრო მაღალ დონეს მიაღწევენ.

ეს სტატია თეზ-ების ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის მხოლოდ მოკლე მიმოხილვას წარმოადგენს. მომავალში თითოეული ეს საკითხი უფრო ფართოდ იქნება განხილული, წარმოდგენილი იქნება მეტი კონკრეტული მასალა და რიცხვები, განიხილება თეზ-ების განვითარების ისტორია, ტენდენციები და მათი როლი მსოფლიოს ეკონომიკის განვითარებაში.

**ქეთევან ვაშაკიძე**

თსუ-ს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის კათედრის ასპირანტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთობლივი საწარმო



უცხოელ ბიზნესმენებთან აქტიურმა ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობამ პირველი ნაყოფი გამოიღო: 1994 წლის 1 სექტემბერს ბათუმში გაიმართა ისრაელის, დიდი ბრიტანეთის და საქართველოს ერთობლივი საწარმოს — წვენების ჩამოსასხმელი ქარხნის პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ფალავა, სხვა ოფიციალური პირები. ახალი საწარმო ბათუმის ქიმიური ქარხნის ერთერთი საამქროს გამოთავისუფლებულ შენობაშია განლაგებული. მის ამოქმედებაში უცხოელ ინვესტორებს — ისრაელის ფირმა „მაქს-ინტერნეიშნლსა“ და დიდი ბრიტანეთის ფირმა „დანტექ ქრეიდინგს“ კომერციული ფირმა „ხიდი-93“ პარტნიორობს.

„სან-თრი“ — ასე ჰქვია ფორთოხლის წვენს, რომლის დამზადებაც ქარხანამ დაიწყო. გამაგრილებელი სასმელის ჩამოსხმა საკმაოდ ორიგინალურ ჭურჭელში — პოლიეთილენის პარკებში ხდება. აღსანიშნავია, რომ იგივე დასახელების წვენს, ბათუმის გარდა, მხოლოდ მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში ამზადებენ.

ბათუმის წვენების ჩამოსასხმელი ქარხანა მომავალში, გარდა აღნიშნული პროდუქციისა, სხვა ასორტიმენტის ნაწარმსაც გამოუშვებს.

წვენების დასამზადებლად საჭირო ნედლეული — ფორთოხლის კონცენტრატი — ისრაელიდან შემოდის. პროდუქციის რეალიზაციასაც ფირმა „მაქს-ინტერნეიშნლი“ მოახდენს. ქარხანაში დამონტაჟებულია უახლესი ტიპის იტალიური და ესპანური წარმოების წვენების ჩამომსხმელი აგრეგატები. მუშახელი ადგილობრივია.

## აჭარა: სოფლის მეურნეობა გამოდის ჩიხიდან

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეჩაიეობის მეურნეობებისა და ფაბრიკების საწყობებში დაცულია 3,5 ათასი ტონა ჩაი. რაც შეეხება თამბაქოს აღებასა და ჩაბარებას, უკანასკნელ წლებში აქ მკვეთრად შემცირდა ამ კულტურის მოსავალი — 1800 ტონიდან — 360 ტონამდე. უფრო მეტიც, თამბაქოს პლანტაციათა ზოგიერთი მფლობელი იძულებული გახდა, იქ ნაწილობრივ სიმინდი დაეთესა. უკეთ საქმე არც მეციტრუსეობაში გვაქვს.

როგორც აჭარის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრმა ზურაბ ქათამაძემ აღნიშნა, სოფლის მეურნეობის ამ ძირითად დარგებში შექმნილი ვითარება იმის შედეგია, რომ აი, უკვე ორი წელია, რაც შეწყდა მატარებლებისა და ავტომობილების მოძრაობა აფხაზეთის ტერიტორიის გავლით. ამის გამო, საქართველოს ჩაისა და თამბაქოს მრეწველობამ თანდათანობით დაკარგა გასაღების ტრადიციული ბაზრები. ძირითადად, ეს ბაზრები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში იყო. მინისტრს მიაჩნდა, რომ მეციტრუსეობაშიც ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა. ასეთია აჭარის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამი ყველაზე მთავარი დარგის სატრანსპორტო ბლოკადის შედეგები, რაც აფხაზ სეპარატისტთა მოქმედებითაა გამოწვეული.

— და მაინც, — განაცხადა ზ. ქათამაძემ, — „საქჩაისუბტროპიკების“ სახელმწიფო გაერთიანების ძალისხმევით, თანდათანობით აღდგა წინანდელი ურთიერთობა რუს შემკვეთებთან. ეს იმის იმედს გვინერგავს, რომ ახლო მომავალში დაიწყება ჩაისა და ციტრუსის გაგზავნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში. მან, აგრეთვე, თქვა — გაჩნდა იმის იმედი, რომ საქენერგოსა და საქგაზის დეპარტამენტებს შორის ანგარიშის გასწორების შემდეგ, აჭარელ მეჩაიეებსა და მეციტრუსეებს დაუბრუნებენ ვალებს. როგორც ცნობილია, ორი წლის წინათ, ამ ორგანიზაციებმა, ჯერჯერობით უსასყიდლოდ გაგზავნეს ჩაის, ციტრუსის წვენი და კონცენტრატები თურქმენეთში, ამ რესპუბლიკიდან საქართველოში მოწოდებული ბუნებრივი გაზის სახელმწიფო ვალის დაფარვის ანგარიშში.

საქინფორმი

# სოფელი და ადამიანები

კირნათი თავისი მდებარეობით ერთერთი გამორჩეული, ლამაზი, კოპწია სოფელია ხელვაჩაურის რაიონში, რომელიც თავისავე მოწინავე, შრომისმოყვარე ადამიანებით იფასებდა თავს. აქ შრომაც იცოდნენ და კულტურული გართობა-დასვენებაც.

სოფელში არსებული სასოფლო კლუბთან ჩამოყალიბებული იყო წრეები და სპორტული სექციები, სადაც გაერთიანებული იყო სოფლის მოწინავე შემოქმედებითი ახალგაზრდობა, ჰქონდათ ბიბლიოთეკა, რეგულარულად უჩვენებდნენ კინოფილმებს, იმართებოდა საინტერესო კონცერტები, ლექცია-საუბრები. მოსახლეობაში პატივისცემით სარგებლობდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, რომლებსაც ცნობილი ქორეოგრაფი ნიაზ დევაძე და ამჟამად პენსიონერი შუქრი კახაბერიძე ხელმძღვანელობდნენ. შემდგომ სიმღერის ანსამბლს სათავეში ჩაუდგა ერმილე ზარქუა, რომლის ძალისხმევითაც ანსამბლმა პირველი ადგილი დაიკავა სასოფლო კლუბებთან არსებული მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების რესპუბლიკურ ოლიმპიადებში.

ამ წარმატების შემდეგ კირნათელი მომღერლები მიიწვიეს ქალაქ მოსკოვში, სადაც ბევრი ხალხური სიმღერის მოყვარული მოხიბლეს თავიანთი ხელოვნებით.

ეს ახლო წარსულში. ახლა? სამწუხაროდ, სოფელში თანდათან ჩაკვდა კულტურული ცხოვრება, მაგრამ ვიმედოვნებთ, ასე დიდხანს აღარ გაგრძელდება.

კირნათის სკოლა-ინტერნატი გამორჩეული იყო რაიონში და არა მარტო რაიონში. აქ სწავლობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბავშვები, რომელთაც სწავლისა და გონივრული დასვენების საუკეთესო პირობები ჰქონდათ. ინტერნატს სათავეში ედგა ცნობილი პედაგოგი ვლადიმერ კახაბერიძე. ამჟამად ინტერნატი უკვე აღარ ფუნქციონირებს, მაგრამ ვლადიმერის მზრუნველობის შედეგად მას არ შეხებია ავკაცის ხელი, ყველაფერი თავის ადგილზეა. სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც იცავს და უვლის ინტერნატის შენობას, მწვანე ნარგავებს თუ სასკოლო ინვენტარს. ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის საიუბილეოდ კეთილმოეწყო და დამშვენდა სოფლის ცენტრში არსებული შინმოუსვლელთა სტენდი.რაკიღა სოფელზე, სკოლაზე და სოფლის მზრუნველ ადამიანებზე ჩამოვარდა სიტყვა, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ზედა კირნათის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ზურაბ წითელაძე, რომელიც მხარში უდგას სკოლის გამგეს, თავის ყოფილ მასწავლებელს ჟუჟუნა წითელაძეს. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ სკოლა შეუფერებელ, ხის ფარღალალა შენობაშია მოთავსებული, რომელიც კარგა ხანია მოითხოვს კაპიტალურ რემონტს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამისათვის ახლა აღარავის სცალია. ზურაბ წითელაძე კი შეძლებისდაგვარად შველის სკოლას, თავადაა ხუროცა და კალატოზიც, სახლიდან ეზიდება სამშენებლო მასალებს და არემონტებს ჩაქცევის პირას მისულ შენობას.

კარგი იქნება, თუ ამ მზრუნველ ადამიანებს სხვებიც ამოუდგებიან მხარში და თავიანთ წვლილს შეიტანენ როგორც სოფლის კეთილმოწყობის, ასევე მიძინებული კულტურული ცხოვრების გამოსაცოცხლებლად.

**ნუგზარ მერკულაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჭარის კულტურული ცხოვრება

აჭარის კულტურული ცხოვრება

აჭარის კულტურული ცხოვრება

# აჭარის კულტურული ცხოვრება

აი, მოკლე ცნობარი აჭარის განათლების და კულტურის დაწესებულებებისა ბათუმში

1.

ბათუმი — საუნივერსიტეტო ქალაქი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი
რექტორი პროფესორი აზიზ ახვლედიანი
პრორექტორი პროფესორი ნური ვერძაძე
პრორექტორი პროფესორი ჯემალ ბერიძე

2.

წმ. ანდრია მოციქულის სახელობის სასულიერო გიმნაზია და წმ. იოანე
ღვთისმეტყველის სახელობის სასულიერო სემინარია
რექტორი მამა დავითი (შიოლაშვილი)

3.

ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრი
სამხატვრო ხელმძღვანელი რუსთაველის პრემიის ლაურეატი,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალექსანდრე (ალეკო) ხომერიკი

4.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრი
სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლევან მირცხულავა

5.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო ცენტრი
ხელმძღვანელი აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი

6.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
დირექტორი საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი დავით ხახუტაიშვილი

7.

ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
რექტორი პროფესორი რევაზ ჯაბნიძე

8.

ბათუმის ეროვნული სამხატვრო გალერეა
დირექტორი ნინო ნიჟარაძე

9.

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი
დირექტორი პროფესორი ამირან კახიძე

10.

გონიო-აფსაროსის მუზეუმი ღია ცის ქვეშ
დირექტორი დოცენტი შოთა მამულაძე

11.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმი
დირექტორი ნოდარ ცეცხლაძე

12.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღი
დირექტორი პროფესორი ვანო პაპუნიძე

13.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია
თავმჯდომარე ჯემალ ჯაყელი

14.

საქართველოს მხატვართა კავშირის აჭარის ორგანიზაცია
თავმჯდომარე ხასან ინაიშვილი

15.

კინოსტუდია „აჭარა“
დირექტორი ზურაბ ცინცქილაძე

1980 წლის სტატისტიკური ცნობებით, აჭარაში არის 298 ბიბლიოთეკა, 170 საკლუბო დაწესებულება, ორი კულტურის სახლი. (ქ. ს. ე., ტ. სსსრ, გვ. 332—333).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი 60 წლისაა

თანამედროვე ტიპის უმაღლეს განათლებას აჭარაში საფუძველი ჩაეყარა 30-იან წლებში, კერძოდ, 1935 წლის ოქტომბერში, როდესაც ბათუმში გაიხსნა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი ოთხი ფაკულტეტით (ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, ფიზიკა-მათემატიკა, ბუნებისმეტყველება-გეოგრაფია), სადაც 105 სტუდენტი სწავლობდა. სამასწავლებლო ინსტიტუტმა დიდი როლი შეასრულა ამ რეგიონის პედაგოგიური და სამეურნეო კადრების მომზადებაში. არსებობის 10 წლის განმავლობაში იგი 1583 კაცმა დაამთავრა. ახალგაზრდა თაობის აღზრდას ემსახურებოდნენ თბილისის და ქუთაისის, აგრეთვე მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ცნობილი სპეციალისტები: გიორგი ახვლედიანი, სარგის კაკაბაძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ნოღაიდელი, შოთა ძიძიგური, ანგია ბოჭორიშვილი და სხვა.

1945 წელს სამასწავლებლო ინსტიტუტი გარდაიქმნა ოთხწლიანი სწავლების პედაგოგიურ ინსტიტუტად. ამის შესაბამისად ძირეულად შეიცვალა ან დაიხვეწა სასწავლო გეგმები. გაიზარდა სპეციალობათა და სტუდენტთა რაოდენობა, გაფართოვდა პროფილიც საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებების ხარჯზე. არსებობის მანძილზე პედაგოგიურმა ინსტიტუტმა სულ მომზადა და გამოუშვა 15 ათასამდე პედაგოგი, რომლებიც ნაყოფიერად მოღვაწეობენ საქართველოში. ინსტიტუტის მრავალი კურსდამთავრებული დაწინაურდა სახელმწიფო და სამეურნეო თანამდებობებზეც.

1990 წლიდან ახალი ეტაპი დაიწყო სასწავლებლის ისტორიაში. ოქტომბერში პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამან შემდგომ აამაღლა აკადემიური სწავლების დონე, ჩამოყალიბდა ახალი კათედრები (დღეისათვის ფუნქციონირებს 27), ფაკულტეტი (5) და სპეციალობები (20), სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები (იკვლევენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და ფილოლოგიის, აგრეთვე დასავლეთ საქართველოსა და მიმდებარე შავი ზღვის ზოლის ეკოლოგიის პრობლემებს). 1995 წელს გაიხსნა ასპირანტურაც ექვს სპეციალობაში. დღეისათვის უნივერსიტეტში სწავლობს დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე 3500 სტუდენტი.

განვლილ პერიოდში უნივერსიტეტმა საქმიანი ურთიერთობები დაამყარა საქართველოსა და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან. ჩაატარა საერთაშორისო და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციები და სესიები. გამოსცა ათობით მონოგრაფია, მათ შორის უნივერსიტეტის „შრომების" პირველი ტომი ორ წიგნად.

**აზიზ ახვლედიანი**

ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

# შენს ქართველობას, ჩემო აჭარავ!

ჩემო აჭარავ, ტირის შენი ალადასტური,
წარბი შეუკრავს იზაბელას სხვენზე გაყვანილს,
შენს ქართველობას არ სჭირდება ვინმეს დასტური,
შენს ქართველობას მოწიწებით უნდა თაყვანი.

შვილდაკარგული დედის ცრემლში რკინაც გადნება,
რომელი შვილი გაუდგება მშობელს საკუთარს,
შენს ქართველობას საქართველომ უთხრა მადლობა,
დიდი ილიას აწონილმა სიტყვამ აკურთხა.

რუსთველის აზრი აცისკროვნებს მაღალ მთა-გორებს,
აკაკის ლექსმა ჩემს თვალებზე დარდი გააშრო,
ამ დროს ვიღაცა შენს წყლულებზე ზარებს აგორებს
და შენიღბული ერისკაცის როლებს თამაშობს.

ვერნების ტყეში რას ჩურჩულებს მუხა ბებერი?!
ვერ შეუცვლიან აჭარისწყალს წაღმა დინებას,
შენს ქართველობას წინაპართა სისხლით შეფერილს
მომდგარა ვიღაც უტიფარი ეპოტინება.

ვიცი ამ წყენას არ ჩაიდებ გულში ბოლომდე,
შენ ხომ დედა ხარ ზნემაღალი სულით ესოდენ,
ძაძით მოსილი როს მოძმეთა სიკვდილს გლოვობდი,
ვიღაც უგნურმა კეთრიანი გუნდა გესროლა.

სხვები კი, სხვები ჩრდილში დგანან ანგელოზებად,
შენ კი საკუთარ წყაროს ასმევ ყველას ერთიან,
მოჭრილი ძუძუს ცვივილებით კვლავაც მოსილო,
მტრისა და მოყვრის განმკითხავი მხოლოდ ღმერთია.

მე არასოდეს არ შემძლია შენი გზა-კვალი,
თეთრათის ტყეში ისევ მწიფობს შენი მაყვალი,
შენს ქართველობას ჩემი ხმა და ჩემი თაყვანი,
ვიცი, სად უდგას საქართველოს ბევრი აკვანი.

ვინ დაითვალოს შენს მიწაზე ოქროს ბელტები?!
ვაზის ლერწებით ლოცვასავით ცაში მიდიხარ,
ისე მცირე ხარ, საკოცნელად არ მემეტები,
ვეღარ ეტევი შენს მიწაზე, ისე დიდი ხარ!

გული ხარ, დედა საქართველოს ცხელი გული ხარ,
სული ხარ, ჩემი წინაპარის წმინდა სული ხარ,
თეთრათის ციდან ფოთოლივით გადმორგული ხარ,
კახაბრის ველზე ყვავილივით ამოსული ხარ.

ჩემო აჭარავ, ტირის შენი ალადასტური,
წარბი შეუკრავს იზაბელას სხვენზე გაყვანილს,
შენს ქართველობას არ სჭირდება ვინმეს დასტური,
შენს ქართველობას მოწიწებით უნდა თაყვანი.

შოთა ზოიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი

# ახალი შემოქმედებითი გამარჯვება

სპექტაკლს, რომლის პრემიერა გაიმართა 29, 30, 31 ივლისს, დიდი ხანია ელოდებოდა ბათუმელი მაყურებელი. პირველ რიგში, იგი დაკავშირებულია იმ ქართველი მწერლისა და დრამატურგის სახელთან, რომელიც დიდხანს ჩვენში აკრძალული იყო. დღეს გრიგოლ რობაქიძის სახელი დაუბრუნდა ქართული კულტურის საგანძურს, როგორც პირველი სიდიდის ვარსკვლავი.

მეორე, ამ სპექტაკლთან ასოცირდება ბათუმში პროფესიული თეატრალური დასის ჩამოყალიბება. „ლამარა“ დიდი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის კლასიკური დადგმა იყო, რომლის მასობრივ სცენებში მიიღეს პირველი თეატრალური ნათლობა, მემედ აბაშიძის თხოვნით, აჭარისათვის რუსთაველის თეატრთან გახსნილი სტუდიის სტუდენტებმა. სწორედ, იმ სტუდია დამთავრებულთა მეოხებით 30-იანი წლების შუახანებში ბათუმში ჩამოყალიბდა თანამედროვე პროფესიული დრამატული თეატრი. ამ თეატრის ტრადიციებს დღეს ახალი შინაარსით ამდიდრებს თანამედროვე თაობა.

მესამე, სპექტაკლით „ლამარა“ თავის მაყურებელს პირველად წარმოუდგება ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი ლევან მირცხულავა. მას არ სჭირდება წარდგენა დიდ თეატრალურ სამყაროში, მაგრამ ბათუმში ის პირველ წარმოდგენას ქმნის და ამით იწყებს ახალ ეტაპს ჩვენი თეატრის ისტორიაში.

რატომ აირჩია რეჟისორმა ლევან მირცხულავამ გრიგოლ რობაქიძის პასტორალი „ლამარა“ თავის, როგორც თეატრის მთავარი რეჟისორის, ერთგვარ სავიზიტო ბარათად?

თეატრმცოდნე მადონა მჟავანაძესთან ინტერვიუში („აჭარა“ მაისი, 1995) ბატონმა ლევან მირცხულავამ ვრცლად ილაპარაკა ამის შესახებ და ასე დაასაბუთა თავისი არჩევანი: „ლამარა“ განსაკუთრებით ახლობელია ჩემთვის, როგორც მოქალაქისათვის. რეჟისორი ემყარება „ლამარაში“ ასახული პრობლემის გრიგოლ რობაქიძისეულ დახასიათებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეს „პიესა დაიწერა იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში ყველაფერი ადამიანური ღირებულებები გაუფასურდა. საჭირო იყო რწმენის დაბრუნება. ხალხს უნდა შევახსენოთ, რომ ჩვენში რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას გენებია. რომ ჩვენ არასგზით არა ვართ ისეთი ცუდები, როგორებადაც გამოვიყურებით. ჩვენ მოაზროვნე ერი ვართ. მიმტევებელი და მოსიყვარულე და არა ისეთი, როგორიც მტრებს უხარიათ“.კლასიკოსი მწერლის ეს სიტყვები სპექტაკლის ზეამოცანაა. რეჟისორი თვლის, რომ ჩვენ ხალხს უნდა დავანახოთ, რომ ცხოვრების ეს გზაა ასარჩევი და არა სხვა. მხოლოდ თავდადება და გმირობა საკუთარი ქვეყნისათვის. ეს მონატრებული, მივიწყებული რომანტიკული ცნებები კიდევ ერთხელ გაიელვებს მაყურებლის წინაშე „ლამარას“ წარმოდგენის დროს.

რეჟისორმა მიზანს მიაღწია! მაყურებელმა ნახა ჰეროიკული სულისკვეთებით აღსავსე, რომანტიკული განცხადებით დამუხტული და თანამედროვე თეატრალური ტექნიკით შესრულებული სპექტაკლი, რომელიც ფართო განსჯისა და ღრმად თვითდაკვირვებისაკენ მოგვიწოდებს ყველას.

პასტორალი უწოდა დრამატურგმა ამ ნაწარმოებს. რეჟისორმაც პასტორალის სტილში დადგა იგი, რომელშიც ბუნების წიაღში მწყემსების ცხოვრების იდილიურ ფონზე ერთბაშად დაიძაბება სიყვარულის სამკუთხედი და ორი ძმა — მინდია და თორღვაი, დედით სხვადასხვა, მაგრამ მამით ერთნი,ლამარას სიყვარულის გამო სამტროდ დაუპირისპირდება ერთმანეთს. შეურიგებლობის ტონი საშიშ ზღვარს უახლოვდება. შვილების ყოფით შეშფოთებული მამა გამოფხიზლებისაკენ მოუწოდებს თორღვაის და აფრთხილებს — თემი საფრთხეშია. თორღვაის პასუხი: „თემიც დაიქცეს, ოღონდ მე ვიყო შეურიგებელ!“

ლამარას სიყვარული მინდიას მიმართ ძლიერდება, მაგრამ თორღვაიც მართალია თავის მოქმედებაში. მან პატიოსნად დაისაკუთრა ლამარა. ამით ქალი აღმოჩნდა ორ ცეცხლშუა. ერთი მხრივ, მინდიას სიყვარული წვავს, მეორე მხრივ მოვალეობა თორღვაის წინაშე. ერთ ადამიანში სიყვარულისა და მოვალეობის დაპირისპირებამ ფიზიკურად გაანადგურა ლამარას გული. გული გასკდა და დაიღუპა ლამარას ლამაზი სიცოცხლე. დიდი სიყვარულის დაღუპვით გამოწვეულმა მწუხარებამ მოშუღარ ძმებში თანაგრძნობის შეგნება გააღვიძა და მოშალა მტრობა. მართალია, ამან დიდი მსხვერპლი მოითხოვა, მაგრამ მშვიდობა, მიტევება, მინდობა და დანდობა უფრო დიდი ღირებულებანია. რეჟისორმა დიდი ოსტატობით, შემოქმედებითი კოლექტივის შრომის მაქსიმალური პოტენციის გამოწვევით ნათლად მოიტანა მაყურებლამდე იდეა ადამიანებს შორის მიტევების აუცილობლობის შესახებ. სპექტაკლიდან დაბრუნებული მაყურებელი გრძნობს, რომ მის სულს მშვიდობა დაეუფლა. ამ სპექტაკლის ნახვის შემდეგ მაყურებლის თვალში ადამიანი უფრო ლამაზი და საიმედო ჩანს. ეს იდეა ჭეშმარიტად ორგანულს ხდის მინდიას მხატვრულ სახეს. ფინალში ხევსური მინდია თავისი ძმის თორღვაის სახელით ეახლება ქისტ იჩოს, რომელსაც თორღვაიმ ჯერ ლამარა მოსტაცა, შემდეგ შვილი მურთაზი მოუკლა. მამას მოსვენებას არ აძლევს შვილის დაღვრილი სისხლი. ეს იცის მინდიამ და მიიღო სულის შემძვრელი გადაწყვეტილება: იჩოს მისცეს საშუალება სისხლის აღებისა და ამით დაამშვიდოს მამა. მამის დამშვიდებით დაამშვიდოს აგრეთვე ლამარაც, რომელიც საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უყვარს. ამით მინდია ამაღლდა პირად ბედნიერებაზე. ის ბედნიერი იქნება არა ლამარას დასაკუთრებით, არამედ იმით, რომ ლამარა გახადოს ბედნიერი.

ლამარას როლს ასახიერებს აჭარის დამსახურებული არტისტი ლია აბულაძე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ლია აბულაძის განვლილი სამსახიობო გზა ლოგიკურად უნდა მისულიყო ლამარას როლთან. არტისტი მთლიანად მოერგო როლს. ლია აბულაძის საშემსრულე-

ბლო ოსტატობა მაქსიმალურად გამოვლინდა. მისი მეტყველების კულტურა თუ მოძრაობის მანერა გათვლილია, ლაღი ბუნების შვილის თავისუფალი ხასიათის განსახიერებისათვის. ლია აბულაძის ლამარამ კარგად იცის თავისუფალი პიროვნების ფასი და თავადაც ბუნებრივი თავისუფლების შეგრძნებით ცხოვრობს. მინდიასთან დამოკიდებულებაში ლ. აბულაძის ლამარა მაღალი ადამიანური ღირსების დონეზე დგას. მსახიობის შესაძლებლობების ხარისხზე მაყურებელს ძლიერი შთაბეჭდილებები ექმნება ძმის დატირების სცენაში. „მურთაზ, ძამილა" — ამ ორსიტყვიანი ფრაზით დატირების სცენაში მხატვრული სიმართლის იშვიათი ძალისხმევა გვიჩვენა მსახიობმა. ლია აბულაძის ლამარა უაღრესად მართალი და ამაღლებულია სიყვარულისა და მეუღლის წინაშე მოვალეობის გრძნობების დაპირისპირებაშიც. ამ დაპირისპირებით გამოწვეული ტრაგედია მსახიობმა დამაჯერებლად მიიტანა მაყურებლამდე.

მინდიას განასახიერებს აჭარის დამსახურებული არტისტი კახა კობალაძე. კახა კობალაძის მინდიას შეფასებაში ორი განსხვავებული თვალსაზრისი ჩამოყალიბდა. ერთნი ემყარებიან შთაბეჭდილებას, რომელიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან მომდინარეობს და მინდია წარმოდგენილი ჰყავთ ნახევრად ღმერთკაცად, ფიზიკურად ბრგედ, რომლის მეტყველებაც უნდა იყოს ასევე ფოლადივით ნაჭედი. მეორენი ფიქრობენ, რომ კახა კობალაძის მინდია რეჟისორის ახლებური ინტერპრეტაციის შედეგია. მინდია ამჯერად არის არა დრამის, არამედ პასტორალის მოქმედი პირი — მწყემსებს შორის მწყემსივით უბრალო და ჩვეულებრივი. კახა კობალაძის მინდია ხალხური სიბრძნის ცოცხალი განსახიერებაა. მსახიობი დამაჯერებელია მოქმედებაში. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მიზანსცენაში იჩოსთან, მწყემს ბიჭებთან და დამოკიდებულებაში ნახევარ ძმასთან.

თორღვაის როლში მაყურებელმა ნახა მსახიობი აკაკი სვანიძე. ძნელი და რთული მისია აკისრია მსახიობს ამ როლში. მან უნდა უჩვენოს სახე კაცისა, რომელიც „სისხლიან ვარსკვლავზეა დაბადებული". ეს ტონი ზომიერად არის დაცული აკაკი სვანიძის თამაშში მთელი წარმოდგენის მანძილზე. საამისოდ მას ყველაფერი უწყობს ხელს — ახოვანი წარმოსადეგობა, სცენური მეტყველება და სიტუაციის სწორად გააზრების უნარი. აკაკი სვანიძის, როგორც მსახიობის ღირსებები სრულად გამოვლინდა მამასთან კამათში. ის ღირსეულ პარტნიორობას უწევს საქართველოს სახალხო არტისტს იური ცანავას, რომელიც ამ სპექტაკლში მინდიასა და თორღვაის მამის — რაიბულის როლს ანსახიერებს.

ეპიზოდურია იური ცანავას რაიბულის როლი. სულ სამჯერ გამოჩნდება სცენაზე, მაგრამ დიდი მსახიობის დამოკიდებულება ეპიზოდური როლისადმი ყოველთვის შთამბეჭდავია და დასამახსოვრებელი. იური ცანავასათვის ყველა როლი მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელია. მნიშვნელოვან ფუნქციას ანიჭებს ის რაიბულის სახესაც. იური ცანავას რაიბული ბრძენი მამაა, რომელიც თვალისჩინივით უფრთხილდება შვილების ღირსებას, ზრდის მათ მოქალაქეობრივი და მამულიშვილური ღირსებით. ამასთან, როგორც პიროვნება, იური ცანავას რაიბული, მართალია პირად გრძნობებშიც. მისი აზრით: „ავია სიყვარული, ავია სილამაზეც, ორნივ ავია". ამით აფრთხილებს შვილს, რომ იყონ მუდამ გონიერი და წინდახედული.

სპექტაკლს ამშვენებს მსახიობთა უფროსი თაობის კიდევ რამდენიმე წარმომადგენელი.

საქართველოს დამსახურებული არტისტი ამირან ტაკიძე თვითმყოფადი შემოქმედია. საკუთარი ხელწერა აქვს ყველა როლში. ამ თვალსაზრისით ერთერთი საუკეთესო როლად ამირან ტაკიძის შემოქმედებაში იჩოს მხატვრული სახეც შევა. მსახიობმა დასამახსოვრებელი გახადა იჩოს სახე ორიგინალური კითხვა-პასუხით ტკბილის განცდის შესახებ. „რა უფრო ტკბილია?" — ეკითხება შურისძიებით აღსავსე იჩო თანასოფლელებს.

— ახლად დაწურულ მტევან.

— არა, მე სხო მინდა.

— სიყვარული ლამაზი ქალისა.

— არა, მე სხო მინდა.

— ხელმწიფება, ძალაი.

— არა მე სხო მინდა.

— ტკბილია სიცოცხლე, ტკბილია ყველა.

— არა, არა, მე სხო მინდა". იჩოს შვილის მკვლელის სისხლი უნდა, ეს სისხლია ახლა მისთვის ტკბილი. ეს მიზანსცენა ისეთი დრამატიზმით მიჰყავს მსახიობს, რომ მაყურებელი მთელი არსებით ერთვება და თითქოს თანამონაწილედ ხდება სცენაზე მიმდინარე დიალოგისა. ამირან ტაკიძემ ხელოვნების ორი დარგის — დრამატულისა და ვოკალურის სინთეზის დონეზე განასახიერა იჩოს სახე. მუსიკოსები თვლიან, რომ ამირან ტაკიძემ „ლამარაში" ორი როლი შეასრულა — იჩო დრამატული სახე და იჩო — მუსიკალური სახე.

სწორი გადაწყვეტა მოუძებნა აჭარის დამსახურებულმა არტისტმა ბერდია ინწკირველმა იჩოს მოხუცი მამის ჰიდდირის სახეს. ეს არ არის დამოუკიდებელი სახე. იგი იჩოს სახის მონუმენტურობის უზრუნველყოფას უწყობს ხელს. იჩოს გაცხარებას შურისძიებით ბერდია ინწკირველის ჰიდდირი უპირისპირებს თავშეკავებას. ამასთან ამ დაპირისპირებას ჰიდდირი ცხოვრების ცოდნაზე ამყარებს, ამიტომაც უაღრესად ნათელი გონებით, მშვიდი ტონით, მაგრამ მკაცრი ლოგიკით ცდილობს ზემოქმედების მოხდენას იჩოზე.

ხალხის კრებითი სახეა წარმოდგენილი საქართველოს სახალხო არტისტის მანუჩარ შერვაშიძის ქავთარის სახეში. არც ეს სახეა დამოუკიდებელი, ისიც დამხმარეა, კერძოდ, ხელს უწყობს მინდიას შესახებ ხალხში გავრცელებული აზრის გამოხატვას. მსახიობმა წარმატებით გადაწყვიტა ეს ამოცანა და დაგვარწმუნა მინდიას, როგორც ბუნების მესაიდუმლის ძალმოსილებაში.

მზარდი ოსტატის ყველა ღირსებით გამოირჩევა მსახიობი მალხაზ აბულაძე მურთაზის როლში. მსახიობის თამაშში განსაკუთრებით გვხიბლავს შინაგანი გრძნობა სპექტაკლის საერთო დინამიზმისა. ის ყოველთვის მიაგნებს იმ ტონალობას, რომლის მეოხებითაც ძალას იმატებს სპექტაკლის მიმდინარეობა.

გამომგონებელი რეჟისორისა და აღმზრდელი პედაგოგის უბადლო ნიჭის გამოშუქებას წარმოადგენს ბატონ ლევან მირცხულავას მუშაობა მწყემსი ბიჭების როლებში შერჩეულ საშუალო სკოლის მოსწავლეებთან. მაყურებელი მოხიბლა ნორჩი მსახიობების ძალდაუტანებელმა თამაშმა. თუმცა ჯგუფში თამაშობენ, მაინც ახერხებენ ინდივიდუალური ღირსებების გამოვლენას ლაშა და კობა კერესელიძეები, მამუკა და გიგა მანჯგალაძეები, თორნიკე ბერიძე, ალეკო ჩიჩუა, გია ნაკაშიძე და ვალერი ლომაძე.

ასევე ერთ ჯგუფს ქმნიან მსახიობები ნატო გოგიტაური, თამილა მეიშვილი, ეკა ჩავლეიშვილი, ნანა კიკვაძე, მანანა მანჯავიძე. მიუხედავად ამისა, თითოეული საკუთარი სახით ჩანს სპექტაკლში. კერძოდ, სიმართლის განცდით გვამახსოვრდება ეკა ჩავლეიშვილის ერთი ფრაზა, რომლითაც გულწასულ ლამარას ეფერება: „შენი ტერფები კოცნაა მოლისათვის".

მთაში დაზრდილი ჯეელი ბიჭების, ხევისა და თემის იმედად დაბადებული ბიჭების სახეებს განასახიერებენ ბიძინა მიქაუტაძე, ჯემალ ველიაძე, ბესო ბარათაშვილი, ნოდარ იაკობაძე, კახა ჩანტლაძე, ზაზა ზოიძე, ზაალ გოგუაძე, ვაჟა ბიბილეიშვილი, ნოდარ ძიძიგური, ირაკლი შავგულიძე, ნუგზარ ზაქარეიშვილი, მალხაზ ბათნიძე, გიორგი მეგრელიძე.

თანამედროვე თეატრალურ ხელოვნებაში ნოვატორულ მოვლენად უნდა შევაფასოთ ცოცხალი გუნდის მოყვანა სპექტაკლში. ამასთან ის ფაქტი, რომ გუნდის 80 წევრი მოქმედი პერსონაჟის ხარისხით არის წარმოდგენილი დრამატულ სპექტაკლში, მთლიანად არის უდიდესი დამსახურება — საქართველოს სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის პრემიების ლაურეატის, კომპოზიტორ იოსებ კეჭაღმაძისა. სარეცენზიო სპექტაკლისათვის კომპოზიტორმა შექმნა კლასიკური ნაწარმოები, რომელიც გაჯერებულია ქისტური და ხევსურული ფოლკლორის სიმდიდრეებით, ლაკონურად წარმოგვიდგენს მთის მუსიკალურ კოლორიტს. გუნდი მთელი წარმოდგენის მანძილზე საკრავიერი ინსტრუმენტების გარეშე ასრულებს ურთულეს, მაგრამ უაღრესად მელოდიურ სიმღერებს. ყოველი გუნდური სიმღერა კონკრეტული მიზანსცენის მოტივს ეხმიანება და ემსახურება არა მხოლოდ მუსიკალური ფონის შექმნას, არამედ მუსიკის ენაზე ამეტყველებული ნათელი სახეების შეგრძნებას. მაყურებლის საერთო მოწონებას იმსახურებს აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მომღერალი ვანო მიქელაძე. ის მაღალ საშემსრულებლო დონეზე ასრულებს სიმღერას ლამარას დატირების სცენაში. ხაზგასმით უნდა აღენიშნოთ, რომ კომპოზიტორ იოსებ კეჭაღმაძის მუსიკალური გაფორმებით სპექტაკლი „ლამარა“ შორდება დრამატული თეატრის ნაწარმოების ფარგლებს და იგი სადაც უნდა იქნეს წარმოდგენილი, ყველგან და ყოველთვის იტყვის თავის სიტყვას თეატრალური ხელოვნების დღევანდელი გადასახედიდან.

სპექტაკლის მუსიკალური მხარის წარმატებაში კომპოზიტორთან და შემსრულებლებთან ერთად დიდია დამსახურება ქორმეისტე-რების — ავთანდილ ჩხენკელის, რუსლან გვაზავას, ქეთევან მანელიშვილის, ბელა და ზაირა ვადაჭკორიებისა. სპექტაკლში წარმატებით მონაწილეობს მომღერალ გოგონათა ქორო-ვოკალური ანსამბლი „ოჰოი ნანა“, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გულნარა ნოღაიდელი.

სპექტაკლის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი უდევს საქართველოს სახალხო არტისტს ქორეოგრაფ ბექარ მონავარდისაშვილს. ცეკვები სრულდება მაღალ პროფესიულ დონეზე და ამასთან ქორეოგრაფის მიერ ნაკარნახევი მოძრაობის კულტურა აისახება მსახიობთა მოქმედებებშიც. სპექტაკლის სანახაობით მხარეს ამდიდრებს მოცეკვავე გოგონათა ანსამბლი „სატრფიალო“, რომელსაც ხელმძღვანელობს აჭარის დამსახურებული არტისტი ზურაბ აბაშიძე.ყოველი სერიოზული თეატრალური ნაწარმოების მეორე სიცოცხლის მიმნიჭებელ წყაროს გონივრულად და მაღალი მხატვრული გემოვნების დონეზე შესრულებული სცენოგრაფია წარმოადგენს.ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით უნდა ვილაპარაკოთ საქართველოს სახალხო მხატვრის გიორგი გუნიას მხატვრობასა და დეკორაციებზე. სპექტაკლის ტონის ზეაწეულობას, მის მონუმენტურობას მყარ საფუძველს უქმნის ცადაზიდული კოშკი, რომელიც ამასთან უაღრესად ტევადიცაა, რომლის ყოფაზე მოქმედების შესრულებასთან ერთად, აგრეთვე მის კედლებში სრულდება ცალკეული ეპიზოდები. მთავარი, ჩვენი აზრით, მაინც ის არის, რომ მხატვარ გიორგი გუნიას დეკორაციის ფონზე შემოქმედ მსახიობს ახალი შთაგონება ეუფლება გმირის ხასიათისა და მიზანსცენის შინაარსის უფრო ღრმად გააზრებისათვის. „ლამარა“ დაიდგა. თეატრალური დღესასწაული შედგა!

ამ სპექტაკლის ყველა ღირსებაზე მსჯელობა ვერ მოთავსდება ერთი საგაზეთო წერილის ჩარჩოებში. მისი დიდი შემფასებელია მაყურებელი, რომელიც, იმედია, სპექტაკლს არ მოაკლებს თავის ყურადღებასა და სიყვარულს.

დასასრულ, არ შეიძლება მადლიერებით არ აღვნიშნოთ, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი თეატრალური დადგმის განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყოველდღიური ყურადღება, ზრუნვა და დახმარება.

იური ბიბილეიშვილი



გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“ ბათუმის
ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში.
დადგმა ლევან მირცხულავასი, 1995 წელი

# სულიერი სამყაროს გასამდიდრებლად

## „ხატიმამული“



გამომცემლობა „აჭარა“ ღირსეული საჩუქრით შეხვდა ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ზურაბ გორგილაძის დაბადების 55-ე წლისთავს. რჩეულთა ხვედრია აღიარებაც, პატივისცემაც, სიყვარულიცა და დაფასებაც. ყველაფერი ეს უხვად ერგო მას და ჩვენც მისი სიხარულით მასთან ერთად ვხარობთ.

„ხატიმამული“ — ასე დაერქვა ამ მშვენიერ წიგნ-ალბომს. მასში პოეტის საუკეთესო ლექსებია შეტანილი, რომლებიც შესანიშნავად დაასურათხატა ღვთიური ნიჭით მირონცხებულმა ზურაბ ხაბაძემ.

მაგრამ „ხატიმამული“ მზის სინათლეს ვერ იხილავდა ბათუმის ნავსადგურის უფროსის ასლან ბოლქვაძის გარეშე. მადლობა მას ამ წიგნისათვის, სხვა წიგნებისთვისაც და იმ დიდი ზრუნვისათვის, გამომცემლობა „აჭარისადმი“ რომ იჩენს, რაც ბოლოს საშვილიშვილო საქმით დაგვირგვინდა — ბატონმა ასლანმა სამაგიდო გამომცემლობა შეგვიძინა და წელში გაგვმართა.

მადლობა მინდა ვუთხრა სტამბოლში მცხოვრებ ქართველს — ჩვენს შესანიშნავ მასპინძელს იქმეთ მეთინს (გოგიტიძეს), რომლის თანადგომითა და დახმარებით წიგნი-ალბომი შეღავათიან ფასებში დაიბეჭდა.

დავით თედორაძე

გამომცემლობა „აჭარის“ დირექტორი





## აღიარება და დაფასება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებით შოთა რუსთაველის სახელობის 1995 წლის სახელმწიფო პრემია თეატრის დარგში მიენიჭათ:

გიზო ჟორდანიას (რეჟისორს), დავით მუქერიას (დირიჟორს), ალეკო ხომერიკს (სოლისტს) და უშანგი იმერლიშვილს (მხატვარს) — ბათუმის საოპერო თეატრში ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“, აგრეთვე რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელას“ დადგმისათვის.

სულითა და გულით ვულოცავთ შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატებს ამ დიდ აღიარებას და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ქართული კულტურის აღორძინების კეთილშობილურ საქმეში!





## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

### ფ. ხალვაშის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ



ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში გამოჩენილი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მწერალი ფრიდონ ხალვაში დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე



ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი



ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრში ოპერა „აიდას" დადგმის დამთავრების შემდეგ: ცისანა ტატიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, დირიჟორი დავით მუქერია და ომარ ხოფერია



ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრი. სცენა სპექტაკლიდან „აბესალომ და ეთერი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აღორძინების სიმბოლო

# ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ ბათუმის საოპერო თეატრის სცენაზე

ამ შემოდგომაზე საქართველოს ცხოვრებაში მოხდა ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომლის საზოგადოებრივ-კულტურული და, მე ვიტყოდი, პოლიტიკური მნიშვნელობის გადაფასება შეუძლებელია: ჩვენს უმშვენიერეს აჭარაში — ბათუმში გაიხსნა საოპერო თეატრი და წარმოდგენილი იქნა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი „აბესალომ და ეთერი“.

სამწუხაროა, მაშინ აღტაცების, სიხარულისა და მადლიერების სიტყვები პირზე შეგვაშრა: აპოკალიფსურმა მოვლენებმა, რომლებიც იმჟამად აფხაზეთში განვითარდა, დაგვავიწყა ყოველივე, რაც კი არ იყო უშუალოდ დაკავშირებული ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის ალტერნატივასთან.

ამიტომაც არის, რომ მხოლოდ ახლაღა ვახდენთ ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის ნამდვილ გააზრებასა და გაცნობიერებას: დღეს, როცა რომ იტყვიან, სული კბილით გვიჭირავს, როცა თითქმის დაგვავიწყდა ისეთი სიტყვები, როგორიცაა დაარსება, გახსნა, აშენება, ყალიბდება დიდი ახალი შემოქმედებითი კოლექტივი (გუნდი, ორკესტრი, სოლისტების დასი!), იხსნება საოპერო თეატრი, რაც ნორმალური, მშვიდობიანი ცხოვრების პირობებშიც კი ექსტრაორდინალურ მოვლენად ჩაითვლებოდა.

უღრმესი მადლობა ამისათვის ბატონ ასლან აბაშიძეს, თეატრის სპონსორს — საქართველოს საზღვაო სანაოსნოს.

ცხადზე ცხადია, ასეთი რამ მხოლოდ პოლიტიკური კატაკლიზმებისაგან დაცულ და მშვიდობიან საზოგადოებაში შეიძლებოდა მომხდარიყო, იმ სოციალური მიკროკლიმატის პირობებში, რომელიც ამჟამად აჭარის ესოდენ საშურველ პრეროგატივას შეადგენს.

ყოველივე ამაში თვალნათლივ დარწმუნდა ქართული კულტურის მოღვაწეთა დიდი ჯგუფი, რომელიც ჩავიდა ბათუმში საოპერო თეატრის ოფიციალურ გახსნაზე.

განსაკუთრებული წონა შესძინა საზეიმო საღამოს იმ გარემოებამ, რომ მას დაესწრო ბათუმში სპეციალურად ჩამოსული ბატონი ედუარდ შევარდნაძე. თეატრის ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე და ტელეინტერვიუში სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა აჭარის დედაქალაქში ოპერის გახსნის დიდი კულტურულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა და წარმატებები უსურვა მას.

თეატრის მთელი შემოქმედებითი კოლექტივი ძირითადად ადგილობრივი კადრებითაა დაკომპლექტებული. სწორედ ესაა მისი მომავლის უმთავრესი გარანტია და აუცილებელი პირობა.სპექტაკლის დამთავრების შემდეგ აღტაცებულმა მსმენელმა შემსრულებლებს გაამეორებინა „ჩაკრულო“, რომელმაც გაიჟღერა, როგორც სამშობლოს მადიდებელმა ჰიმნმა, საქართველოს გადარჩენისა და აღორძინების სიმბოლომ.

**გულბათ ტორაძე**

გაზ. „კავკასიონი“, 1998 წლის 10 დეკემბერი
იბეჭდება შემოკლებით



## ლაპარაკობენ სტუმრები



**მარიკა ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი:** — ამ დღეებში მონაწილეობამ იმედი ჩამისახა, რომ ჩვენი ქვეყანა არ დაილუპება, რომ არის რაღაც ნაპერწკალი მისი გადარჩენისა და ეს ნაპერწკალი აქ, ჩვენს საყვარელ აჭარაში ღვივის! დიდი მადლობა ამისათვის.











**რევაზ ჯაფარიძე,** მწერალი: — შთაბეჭდილება, რომელიც მივიღე ქართული თეატრის დღეს ბათუმში, გრანდიოზულია. „აბესალომ და ეთერის“ ნახვა ჩემთვის იმ აღტაცების ტოლფასია, რომში წმინდა პეტრეს ტაძრის ხილვამ რომ მომგვარა: მე შემეშინდა, ამ საოცრების უნახავად მომკვდარიყავი! ასევე წარუშლელ შთაბეჭდილებად მიმყვება თოჯინების თეატრის ნორჩი მსახიობის ნინო ანთიძის უდიდესი ტალანტი და უაღრესად ორიგინალური თეატრი, რომლის წარმოდგენაში მოცეკვავეთა ფუნქციებს საოცარი დამაჯერებლობით ასრულებენ... თითები. ამიერიდან ბათუმი ჩემთვის ქართული ხელოვნების დედაქალაქია და მე უზომოდ კმაყოფილი, ბედნიერი მივდივარ ამ დედაქალაქიდან.

**აკაკი ძიძიგური,** საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი: — ის რისი მოწმე ამ დღეებში ბათუმში გავხდით, სცილდება ამ შესანიშნავი ზეიმის ფარგლებს, როგორც ის ორგანიზატორებს ჰქონდათ ჩაფიქრებული. ეს არ იყო მარტოოდენ თეატრალური ზეიმი. ეს გახლდათ ზეიმი მთელი ქართული კულტურისა, მისი მარადიულობისა. მე კარგა ხნის კაცი ვარ და მახსოვს ქართული თეატრის ტრადიციული დღის აღნიშვნა 1923 წლის 2 იანვარს. ეს იყო რუსთაველის თეატრის სცენაზე კოტე მარჯანიშვილის „ცხვრის წყაროს“ პრემიერიდან თვენახევრის შემდეგ, როცა ქართული სცენის დიდმა რეფორმატორმა დადგა „მზის დაბნელება საქართველოში“. დიახ, კარგად მახსოვს, ეს იყო ულამაზესი სანახაობა, გიორგი ერისთავის თეატრის გახსენების, ამ დღის აღსანიშნავი ზეიმის აღდგენის საკადრისი. სხვათა შორის, პატარა ბიჭი დავინტერესდი: რატომ არის, რომ სხვაობა ძველი და ახალი სტილით ახალ წელს შორის ამ შემთხვევაში თორმეტი დღეა და არა ცამეტი, როგორც ეს კალენდარით იყო. მაშინ ამიხსნეს, რომ მე-19 საუკუნეში ეს სხვაობა სწორედ თორმეტ დღეს შეადგენდა. ეს ისე, ცნობისათვის. 71 წლის წინანდელი აღნიშვნა ქართული თეატრის დღისა კი იმიტომ გავიხსენე, რომ ჩემს წარმოდგენაში გაიდო ხიდი ეპოქებს შორის, ამასთან ვხედავთ ახლებურ დამოკიდებულებას იმავე „აბესალომისადმი“. მე ამ გენიალური ოპერის უამრავი დადგმა მახსოვს პირველიდან დაწყებული და მხოლოდ ომამდელები თუ შეედრება უკანასკნელს, ბათუმურს თავისი მდიდრულობით. ბევრია ერთ პატარა ქალაქში ერთბაშად ამდენი საოცარი რამ, მაგრამ ფაქტია: „თითების სპექტაკლი“ უნიკალური, მსოფლიო მასშტაბის მოვლენაა, ხოლო ის პატარა გოგო (ნინო ანთიძე. ავტ.) — ნამდვილი საოცრება. ჰოდა, ამდენი საოცრება, ჩვენთვის ამ ყველაზე კრიზისულ დროს, განა გვაძლევს იმაზე დაეჭვების უფლებას, რომ შეიძლება დავეცეთ და გადავგვარდეთ?!

**ელგუჯა ამაშუკელი,** საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე: — ეს დღეები ბათუმში, ჩვენი ღრმა რწმენით, შორს გასცდა თავის ჩარჩოებს და მთელი ქართული კულტურის დიდებულ დღესასწაულად იქცა. თუ არა ბათუმში, სად, ჩვენი ომგადახდილი სამშობლოს რომელ რეგიონში უნდა გამართულიყო იგი? დიახ, მხოლოდ აქ, ბათუმში, აჭარაში, სადაც შენარჩუნებულია შინაგანი წონასწორობა, მხოლოდ აქ, აჭარაში, რომელსაც ღირსეული წვლილი შეაქვს სულიერი სიმაღლეების დამკვიდრებაში. სტიქიურად, მოგეხსენებათ, ასეთი რამ არ ხდება. არაფერი სასიკეთო არ შეიქმნება, თუ საქმეს არ წარმართავს გონიერი, ნიჭიერი, ნათელი ადამიანი. სწორედ ასეთ ადამიანად მიცვნია აჭარის დღევანდელი ლიდერი და მადლობა მას ამისათვის. ვისურვებდი ჩვენი სულიერი და მატერიალური არსებობა ისევე განუყოფელი იყოს, როგორც აჭარა საქართველოსაგან!

**სულხან ნასიძე,** საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე: — დიდად მოხარული ვარ, რომ ჩვენი ამ საერთო შეჭირვების ჟამს მაინც გამოინახა სულიერი რესურსები ასეთი ზეიმის გასამართავად. ეს უნდა მივიჩნიოთ კეთილ მაცნედ, საწინდრად იმისა, რომ ჩვენი ეროვნული პოტენცია ცხოვრების უფრო კონკრეტულ შთაბეჭდილებებს, ალბათ, როგორც მუსიკოსმა, ბათუმურ „აბესალომზე“ უნდა ვთქვა. მოკლედ ვიტყვი: ბრწყინვალეა! და მე სულითა და გულით ვულოცავ როგორც ახალშობილ თეატრსა და მის კოლექტივს, როგორც ბათუმელებს, ისე მთელ ჩვენს ხალხს საქართველოში მესამე საოპერო თეატრის დაბადებას!

**გურამ ფანჯიკიძე,** საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე: — არ შემეძლო არ მესარგებლა ქართული თეატრის მესვეურთა ამ მოწვევით და, თვენახევრის შემდეგ კვლავ სიამოვნებით არ ვწვეოდი საყვარელ ბათუმს, უპირველესად. იმის მღელვარე მოლოდინით, რომ მეორედ მოვისმენდი „აბესალომს“. აღფრთოვანებული ვარ! და მე, როგორც რუსთაველის

პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უყოყმანოდ დავუჭერ მხარს უმაღლესი ეროვნული ჯილდოთი მის აღნიშვნას. უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა ნინო ანთიძემ. გულს სიხარულით მივსებს, შინაგანად მამაღლებს იმის შეგნება, რომ აქ, ბათუმში, ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავს, ასეთი ლამაზი სპექტაკლი გვაქვს „წითელქუდას“ სახით; რომ ისეთი ჭეშმარიტად უნიკალური ახალგაზრდული თეატრი გვაქვს, როგორიც ბავშვთა თეატრი-სტუდია თავისი უმშვენიერესი „თითებით“ და „ცოცხალი სურათებით“; რომ ისევ ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს ჩემი საყვარელი ბათუმის თეატრი, რომლის სცენაზე პირველად დაიდგა ჩემი „მეშვიდე ცა“. იქნებ ამიტომაც გულწრფელად გამახარა „სამანიშვილის დედინაცვალმა“. მის დამდგმელს, ჩემს პირველ რეჟისორს ენვერ ჩაიძეს, ვულოცავ დამსახურებულ ჯილდოს და მომავალ დიდ წარმატებებს ვუსურვებ. საოცრად მრავალფეროვანი, მდიდარი იყო ჩვენი ზეიმის პროგრამა და თავს მოვალედ ვრაცხ მისი ასეთ მაღალ დონეზე მოწყობისათვის მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც იგი მოაწყო, ვინც ამ ძნელბედობაში ასეთი ლამაზი დღეები გვაჩუქა!



**რეზო ჩხეიძე,** კინოკონცერნ „ქართული ფილმის“ გენერალური დირექტორი: — ნამდვილი ზეიმის მოწამე და მონაწილე გავხდი. ყველაფერი ჩინებულად იყო ორგანიზებული. ჩემი საყვარელი ქალაქი ბათუმი, მყუდრო და ნათელი, დიახაც იმსახურებს ასეთ დღესასწაულებს! საქართველო თავისი კატასტროფული მდგომარეობიდან, უკუნეთიდან, წყვდიადიდან გამოსასვლელად სწორედ ასეთ სინათლეს უნდა დაეყრდნოს. ჩემთვისაც ნამდვილი აღმოჩენა იყო თითები და ის ცოცხალი ეტიუდები, ნორჩმა სცენისმოყვარეებმა ასეთი ენთუზიაზმით რომ წარმოგვიდგინეს. პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ ნანახით, იმით, რომ ძიებებით, საინტერესო მიგნებებით არის აღსავსე ეს ყველაფერი.



**ლევან სანიკიძე,** მწერალი, პროფესორი: — ამნაირ შეხვედრებს ვერ განიხილავ მხოლოდ კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. მე მათ ვაფასებ მორალური, გნებავთ, პოლიტიკური თვალსაზრისით. პოლიტიკურით-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენდა სავალალოდ, ქართული სახელმწიფოებრიობა აღარ არსებობს, არავითარი წესი და კანონი არ მოქმედებს. და თუ ჩვენს სვეგამწარებულ ქვეყანაში სადმე კი შემორჩენილა მათი ელემენტები, თუკი სადმე ფუნქციონირებენ სახელმწიფო სტრუქტურები, ეს მხოლოდ და მხოლოდ აჭარაში. მივესალმები ამ ფაქტს და ვისურვებდი მალე მთელ ქართულ სახელმწიფოს გადასდებოდეს აჭარული სინდრომი... ამის იმედს მინერგავს სწორედ ამჯერად ბათუმში გატარებული სამი დღე, რომელმაც ულამაზესი შთაბეჭდილებებით ამავსო.

სავსებით ვეთანხმები ბატონ ასლან აბაშიძის სიტყვებს: „ბათუმი და აჭარა ნურავის ჰგონია საქართველოს პროვინცია. აჭარა დღეს საქართველოს გულია“. ჩემი აზრით, ეს ფორმულა ჩაიწერება ქართულ ისტორიაში.



**ქეთევან კიკნაძე,** საქართველოს სახალხო არტისტი: — ბედნიერებას მანიჭებს ყველაფერი ის, რაც ბათუმში ხდება. სავსე ვარ შთაბეჭდილებებით, თოჯინების და ბავშვთა თეატრებმა რომ დამიტოვეს. მართლაც, რა შესანიშნავია! ასევე მკაფიო შთაბეჭდილება დამიტოვა „სამანიშვილმა“, მასში ქალბატონ ნაზის მონაწილეობამ. მისმა უბერებელმა არტისტულმა ნიჭმა, მისი სულის მხნეობამ, სულითა და გულით დიდხანს ჯანმრთელ, ასევე შემოქმედებითად სავსე სიცოცხლეს ვუსურვებ.



**დიმა ჯაიანი,** სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი: — წრფელი სალამი მშვენიერ ბათუმს, მის სტუმართმოყვარე მცხოვრებთ! დიდება და გამარჯვება ჩვენს სამშობლოს, მის კულტურას, კერძოდ კი ჩვენს საერთო სიყვარულს — ქართულ თეატრს! იქნებ სწორედ ჩვენ თეატრის მუშაკთა შეხვედრა და სწორედ აქ, ბათუმში მოწყობილი შეხვედრა იქცეს ქართველობის, საქართველოს გამთლიანების საწინდარად! ამ სამმა დღემ გამიცოცხლა ეს იმედი. ასე რომ ვყოფილიყავით, მჯერა, აფხაზეთს არ დავკარგავდით. სურვილი? სურვილი როგორ არა მაქვს! ოღონდ ეს, ამავე დროს, ჩემი რწმენა და იმედიც გახლავთ: ქართული თეატრის მომავალი დღე, დიახ, დიახ, ერთი წლის შემდეგ, ჩემს სოხუმში აღვენიშნოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „აიდას" პრემიერა ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრში

შაბათი, 11 მარტი, ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში. სწორედ ამ დღეს „აიდას" პრემიერით თავისი მეორე სეზონი გახსნა ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრმა. მას განსაკუთრებული მღელვარებით მოველოდით. უკვე ცნობილი დასის ორ წინა პრემიერას ფართო რეზონანსი ჰქონდა. და ახლა, ეროვნული ოპერების „აბესალომ და ეთერისა" და „ლელას" შემდეგ, ყველა მოუთმენლად ელოდა მსოფლიო საოპერო დრამატურგიის შედევრის — ჯუზეპე ვერდის „აიდას" წარმოდგენას.
სპექტაკლზე დასასწრებად თბილისიდან სპეციალურად ჩამოვიდნენ საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობები.აეროპორტში სტუმრებს დახვდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე და სხვა ოფიციალური პირები.



სპექტაკლის დაწყებამდე გაეცნენ ბათუმს, დაათვალიერეს ქალაქის ზღვისპირა პარკი და ახალი კორტები. პრემიერას დაესწრნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე ვახტანგ რჩეულიშვილი, საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერები ზურაბ კერვალიშვილი და ირაკლი მენაღარიშვილი, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მალხაზ კაკაბაძე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის წარმომადგენლები ლადო გაბელია და გიორგი სულაძე, საქართველოს პარლამენტის წევრები იზა ორჯონიკიძე, თემურ ყორღოლიანი, გურამ ჩახვაძე, გია კობახიძე, ვალერი ასათიანი, რომან მიმინოშვილი და სხვები.
პრემიერას ესწრებოდნენ აგრეთვე გაეროს წარმომადგენლები საქართველოში თედორ სტარჩევიჩი მეულლითურთ, ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოში ჯესიკა ლეკრონი, ისრაელის ელჩი საქართველოში ბარუ ბირენბაუმი თავის მოადგილესთან ერთად, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის კონსული საქართველოში ალექსანდრე სტეპანოვი, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსულოს ატაშე ალექსანდრე სპორინინი, საფრანგეთის ელჩი საქართველოში ბერნარ ფასიე მეუღლითურთ, საქართველოში უკრაინის საელჩოს მეორე მდივანი ვასილ მელნიკი, თურქეთის ელჩის მრჩეველი განათლების დარგში ჰასბი ქიაქლი, საქართველოში თურქეთის საელჩოს სამხედრო ატაშე ზექაი ბაბუჩუ-ოღლი, საქართველოში ჩინეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი გუნ ჩენ ჯეი, ჩინეთის საელჩოს მდივანი ლო შის იუნი, ვატიკანის წმინდა საყდრის ელჩი საქართველოში ჟან პოლ გობელი, მეწარმეობის განვითარების ცენტრის წარმომადგენლები დევიდ ჰარმანი და იულიამ გლეიზერი.
სპექტაკლი, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, გულთბილად მიიღეს მაყურებლებმა. დარბაზში დიდხანს არ წყდებოდა ოვაციები.

## როგორია თქვენი შთაბეჭდილებები?

**ნინო რამიშვილი**

დღეს თბილისში ოპერა აღარ არის. დაიხურა ქუთაისშიც, ბათუმში კი არის ოპერისა და ბალეტის თეატრი. ეს დიდი მიღწევაა. ვინც ნახა, ყველას ძალიან მოეწონა „აბესალომ და ეთერი", „ლელა". დღეს რაც ვნახე და მოვისმინე, ამას ნამდვილად არ მოველოდი. შესანიშნავი წარმოდგენაა, ორკესტრი, გუნდი, მომღერლები — ყოველივე უმაღლეს დონეზეა. არ შემიძლია არ აღვნიშნო ბატონ გიგა ლორთქიფანიძის დიდი დამსახურება. დიდი განსხვავებაა დრამატული თეატრისა და ოპერის რეჟისორს შორის. გიგა აქაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. გილოცავთ ყველას გამარჯვებას, რომელშიც დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ასლან აბაშიძეს. მას უყვარს ხელოვნება, ამიტომაც მფარველობს ასე. დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

**გუნ ჩენ ჯეი**
საქართველოში ჩინეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი:

პირველად ვარ ბათუმში. მან ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ძალიან ლამაზია. დიდი ხანია მინდოდა აქ ჩამოსვლა და აი, დღეს ბრწყინვალე მომენტია — ჩემი ოცნება ასრულდა. უაღრესად მიხარია. ჩამოვედი და ჩამოვიტანე ჩინელი ხალხის დიდი მოკითხვა. ძალიან კარგი სპექტაკლი იყო. ბევრჯერ მინახავს და მომისმენია ოპერა „აიდა", მაგრამ დღევანდელი წარმოდგენა განსაკუთრებული იყო. აშკარაა, რომ ქართველი ხალხი ძალიან დაწინაურებულია ხელოვნებაში. გულწრფელად მინდა მივულოცო დასს და ვუსურვო მომავალი წარმატებები.
ამასთან მინდა გთხოვოთ ჩემი დიდი სალამი და კეთილი სურვილები გადასცეთ ბათუმელებს.

**ჟან პოლ გობელი**
ვატიკანის წმინდა საყდრის ელჩი საქართველოში:

ვიცოდი, რომ საქართველოს კლასიკური მუსიკის დიდი ტრადიცია აქვს. ბათუმში პირველად ვესწრები ასეთ წარმოდგენას. ის, რაც დღეს აქ ვნახე, საუკეთესო დასტურია იმისა, რომ ქართველ ხალხს ნამდვილად შეუძლია შექმნას დიდი ხელოვნება.

# სიძველეთა ნაკვალევზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში პროფესორი გურამ შარაძე იმყოფებოდა სტამბოლში. ვიზიტის მიზანთან დაკავშირებით 1995 წლის 5 სექტემბერს, საინფორმაციო სააგენტო „აჭარის" უფროსი თამაზ ბაკურიძე ტელეფონით დაუკავშირდა მას სტამბოლში. აი, რა გვიამბო მან:

ბატონ ასლან აბაშიძესთან შემუშავებული გეგმის თანახმად უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს გეგმაზომიერი მუშაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და, სახელდობრ, აჭარის მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად. დამტკიცებულია ავტორთა სამეცნიერო კოლექტივი. ახლა პირველ რიგში საჭიროა ახალი არქეოლოგიური მონაპოვრები, ახალი მეცნიერული წყაროებისა და საარქივო მასალების გამოძიება, რისთვისაც ბატონმა ასლან აბაშიძემ გამოყო სათანადო ფინანსური სახსრები. ამ მიმართულებით უკვე დაიწყო გონიოს არქეოლოგიური გათხრები, ხოლო სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის არქივისა და წიგნთსაცავის მეცნიერულ შესწავლას კი აგერ უკვე 4 წელზე მეტია ვეწევით პროფესორ შუშანა ფუტკარაძესთან ერთად. კატალოგის შედგენაში ერთერთი ექსპედიციის დროს მონაწილეობდა ქალბატონი გულიკო შერვაშიძე.

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში აღმოჩენილ სიძველეთა-შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სულხან-საბა ორბელიანის „ევროპაში მოგზაურობის" უცნობი ნუსხის მიხედვით ამ საუკუნის 80-იან წლებში პატრ შალვა ვარდიძის მიერ შესანიშნავი კომენტარებით სტამბოლის ქართულ სტამბაში წამოწყებული სულხან-საბა ორბელიანის „ევროპაში მოგზაურობის" გამოცემის ბეჭდვა, რომელიც აკადემიკოსების ალექსანდრე ბარამიძისა და სერგი ჭილაიას სიტყვებით, დღემდე დაკარგულად ითვლებოდა. ახლა იგი უკვე ჩვენს ხელთაა.

ამის გარდა, ყურადღებას იპყრობს აქ დაცული არა ერთი და ორი კათოლიკური სასულიერო ლიტერატურის ძეგლის იტალიური და ლათინური ენებიდან შესრულებული ძველი ქართული თარგმანები, რომელთა მსგავსი საქართველოს არქივებსა და ხელნაწერთა საცავებში არ მოიძებნება. მონასტერი კათოლიკურია და ამიტომაც ბევრია აქ XVII—XIX საუკუნეებში ევროპაში დაბეჭდილი ძველი ქართული კათოლიკური შინაარსის და ხასიათის წიგნი, მათ შორის რომში, კონსტანტინოპოლში, მონთობანსა და ვენეციაში გამოცემული ქართული წიგნები.

1909 წლის აპრილში სტამბოლის ქართველთა საზოგადოებას გადაუხდია დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის საიუბილეო თარიღი. მონასტერში აღმოჩნდა ახალი საარქივო მასალები დიდებული მგოსნის გარშემო.

როგორც ვიცით, 20-იან წლებში, როდესაც ქართული ეროვნული მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა ბოლშევიკური საქართველო და წასულიყო ემიგრაციაში პოლიტიკური თავშესაფრის საძიებლად. სტამბოლის ქართველთა მონასტერი წარმოადგენდა მათ პირველ ნავსაყუდელს. ამიტომაც ბუნებრივია, რომ აქ აღმოჩნდა ქართული ემიგრაციის შესანიშნავი მასალები, მათ შორის, ქართული ემიგრანტული მწერლობის, ჟურნალისტიკისა და პოლიტიკის ამსახველი ძეგლები.

ცალკე საუბრის თემაა მონასტრის უმდიდრესი ევროპულენოვანი ბიბლიოთეკა, უნიკალური ენციკლოპედიები, ქრისტიანულ ძეგლთა გამოცემების სერიები, ფერწერისა და ანტიკვარიის ნიმუშები, რომლებიც აქ მოღვაწე ქართველ ბერებს შეუქმნიათ ან შეუძენიათ და დაუტოვებიათ ქართველი ერის სადიდებლად.

საგანგებო ხაზგასმის ღირსია ის გარემოებაც, რომ მონასტრის ბიბლიოთეკაში ბევრია ჩვენს დროში თბილისში გამოცემული ქართველ მწერალთა და მეცნიერთა წიგნი, რომლებითაც მონასტრის ქართველ ბერებს თავის დროს ამარაგებდა აწ განსვენებული ბატონი ოთარ გოგინეიშვილი.

განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მსურს აღვნიშნო სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მეთვალყურე ბატონი სვიმონ ზაზაძე, რომლის თავაზიანი დახმარებისა და ნებართვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მონასტრის არქივში შეღწევა.

# კინოფესტივალი გრძელდება

11 სექტემბერს ქობულეთის დასასვენებელ სახლ „ივერიაში" შავი ზღვის აუზის ქვეყნების კინოფესტივალი „ოქროს არწივი" ქართული კინოფილმების ჩვენებით გაიხსნა. ორი საკონკურსო ფილმი აჩვენეს იმ დღეს — ნოდარ მანაგაძის „ნათლისღება" და ერეკლე ბადურაშვილის „თბილისი ჩემი სახლია".

ჟიურის თავმჯდომარე ემილ ლოთიანუ, წევრები ნეა ზორკაია, მამუკა კალეიშვილი, გიორგი ხაინდრავა, გიორგი გვახარია. სტუმრები, ჩანდა, კმაყოფილი დარჩნენ ამ ფილმების ხილვით.

* * *

თავად ის ფაქტი, რომ ფესტივალი ბათუმში ტარდება, მის მონაწილეთა და სტუმართა ერთსულოვან აღტაცებას იწვევს და არცაა გასაკვირი — ჩვენს მხარეში ნამდვილი „ხავერდოვანი სეზონია" და იგი მაცდურად იწვევს ფესტივალზე ჩამოსულთ. ინტერვიუ ვთხოვეთ ფესტივალის რამდენიმე მონაწილეს.

### რეზო ჩხეიძე

**კინორეჟისორი**

— მიხარია, რომ დღეს ბათუმში ვართ, ჩვენს საყვარელ ქალაქში, სადაც ბევრი რამ არის საინტერესო, ახალი. მიხარია ისიც, რომ ფესტივალი აქ გაიხსნა. ბათუმი ნამდვილი საფესტივალო ქალაქია. მჯერა, რომ საერთაშორისო ფესტივალი ფეხს მოიკიდებს აქ და ისეთივე პოპულარული გახდება, როგორიც კანისა და მონტე-კარლოს ფესტივალები, რომლებიც ასევე ზღვისპირა ქალაქებში იმართება. ამაში არის რაღაც განსაკუთრებული ეშხი. როცა ფესტივალი დიდ ქალაქებში იმართება, მისი ხიბლი იკარგება, თითქოს იფანტება ყველაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჭარის სოციალური ცხოვრება

აჭარის სოციალური ცხოვრება

აჭარის სოციალური ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჭარის სოციალური ცხოვრება

აჭარის ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესაბამისად ამაღლდა მოსახლეობის სოციალური პირობები. აჭარაში ხელფასის მსყიდველობითი უნარიანობა მაღალია საქართველოს სხვა რეგიონების მშრომელების ხელფასთან შედარებით. გაუმჯობესდა აგრეთვე სამედიცინო-სანიტარიული მდგომარეობა. 1979 წლის სტატისტიკური მონაცემებით, აჭარაში მოსახლეობას ემსახურებოდა 260 სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება:39 საავადმყოფო, მათ შორის 3 სამშობიარო სახლი, 64 ამბულატორია-პოლიკლინიკა, 140 საფერშლო-საბებიო პუნქტი, 9 სპეციალიზებული დისპანსერია და სხვა. აჭარაში, იმავე წლის მონაცემებით, იყო ათასამდე ექიმი, ე. ი. ყოველ 10000 მცხოვრებზე მოდიოდა 28,2 ექიმი.

აჭარაში, 1980 წლის სტატისტიკური ცნობებით, იყო 122000 ფიზკულტურელი, რომლებიც სისტემატურად მისდევდნენ ფიზკულტურასა და სპორტს. აჭარაში დანერგილია სპორტის 35 სახეობა, რომელიც აერთიანებს 59000 კაცს, აქედან 34000 სპორტსმენს სოფლად.

## განიხილეს მწვავე ცხოვრებისეული საკითხები

გაიმართა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის მორიგი შეხვედრა ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობასთან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრმა — დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების მთავარმა კოორდინატორმა ოსიკო გვარიშვილმა დამსწრეთ გააცნო ვითარება ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიცაა კურორტების კეთილმოწყობა, მათი ზაფხულის სეზონისათვის მომზადება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დამსვენებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, კავშირგაბმულობის საშუალებებით, წყლით, ტრანსპორტით უზრუნველყოფასა და კურორტ ბეშუმის ტერიტორიის წესრიგში მოყვანას.

განიხილეს აგრეთვე იმ ობიექტებისათვის, რომლებიც დამსვენებლებსა და ტურისტებს ემსახურება, სათანადო იერსახის მიცემის, მათში შესაბამისი წესრიგის დამყარების საკითხები.

ბოლო წლებში სტიქიური უბედურების შედეგად ასობით ოჯახი უსახლკაროდ დარჩა და იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური ადგილები. ამჟამად კი პრობლემები შეექმნათ აჭარიდან სხვა რეგიონებში ჩასახლებულებს. არის მასობრივი დაბრუნების მცდელობის ფაქტები. ამიტომ შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის ყველა ამ საკითხს, განიხილავს მიზეზებს და შეიმუშავებს წინადადებებს ამ პროცესის შესაჩერებლად.

## მარტოხელა, მოხუცებულობით პენსიონერთა და ინვალიდთა საბინაო უფლებების დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ არის მარტოხელა, მოხუცებულობით პენსიონერთა და ინვალიდთა საბინაო უფლებების დარღვევის შემთხვევები, მათი ნებისა და თანხმობის გარეშე, მათზე რიცხული ბინების პრივატიზაციის, გაყიდვის, გაჩუქების, გაცვლის ფაქტები. მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორები და სანოტარო კანტორები კონკრეტულად არ შეისწავლიან და ობიექტურად არ აფასებენ ბინების პრივატიზაციის, გასხვისების, გაცვლის შესახებ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ამასთან ერთად შეინიშნება მარტოხელა, მოხუცებულობით პენსიონერთა და ინვალიდთა ბინის ტელეფონების უკანონოდ მოხსნისა და მათთან შეუთანხმებლად, მათგან მალულად სხვა აბონენტებისათვის გადაცემის ფაქტები.

აღნიშნულ დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთიანი აჭარა იღებს ტელეგადაცემებს

ქედის რაიონის მოსახლეობა გასული წლის ნოემბრიდან, სატელევიზიო ანძის მწყობრიდან გამოსვლის გამო, საერთოდ ვერ იღებდა ტელეგადაცემებს.

აჭარის ხელისუფლების მონდომებით შესაძლებელი გახდა საჭირო აპარატურის შეძენა. სპეციალისტებმა, რთული რელიეფური პირობების მიუხედავად, ხელით აიტანეს აპარატურა ანძაზე და დაამონტაჟეს.

დიდი ხნის დუმილის შემდეგ ქედელთა ოჯახებში ისევ აკიაფდა ცისფერი ეკრანი.

გამართულად მუშაობენ შუახევისა და ხულოს ტელეანძებიც. ასე, რომ ტელეგადაცემებს მაღალმთიანი აჭარის ყველა სოფელი იღებს.

## გულმოწყალება, ქველმოქმედება

### როცა ადამიანს უჭირს...

აგერ უკვე რამდენიმე თვეა, რაც ფერიის მოხუცებულთა და ინვალიდთა პანსიონატში მისვლა და გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანებისათვის დახმარების ხელის გაწვდენა სრულიად საქართველოს მეუღლე აბაშიძის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოება „ბამულიშვილისათვის" სისტემატურ, ჩვეულებრივ საქმიანობად იქცა.

ამჯერადაც ასე იყო. ქალაქ ბათუმის მერი, „ბამულიშვილის" პრეზიდენტი თეიმურაზ კომახიძე და გამგეობის წევრები კვლავ ხელდამშვენებული ავიდნენ პანსიონატში — აქ მობინადრე ოცდათოთხმეტ მოხუცსა და ინვალიდს საახალწლო ნობათი აუტანეს. ეს სოლიდური დახმარება: 200000 რუსული მანეთი, 600 კგ კარტოფილი, 150 კგ შაქარი, 100 კგ ფქვილი, 20 კგ კარაქი, 100 ცალი საპონი, 40 ცალი თევზის კონსერვი, 60 ქილა ხილფაფა, 40 კგ ნამცხვარი, 100 ქილა შედედებული რძე, 60 ბოთლი პეპსიკოლა...

### აბანო უფასოდ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1994 წლის N 160 დადგენილებით პირველი ივლისიდან ქ. ბათუმის ექვსივე აბანო დილის საათებში უფასოდ მოემსახურება მოსახლეობას.

### დახმარება გრძელდება

ჩვენ ყველანი კარგად ვხედავთ, რომ ამ რთულ დროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება, პირადად ბატონი ასლან აბაშიძე გვერდში უდგანან ავტონომიური რესპუბლიკის მოქალაქეებს, შესაძლო დახმარებას უწევენ, დაუღალავად იბრძვიან ადამიანის სულიერი სიმხნევის შესანარჩუნებლად, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მძიმე მდგომარეობიდან გამოსაყვანად. მათ, როგორც სხვების, ისე ამ კატეგორიის მუშაკებისათვის არაერთხელ გაუწევიათ დახმარება.

ამ დღეებში ჩვენ, ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა, კიდევ ერთი დახმარება მივიღეთ: ასლან აბაშიძის ფონდმა უფასოდ დაგვირიგა სამი კილოგრამი შაქარი.

ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი

### ფონდი ხელს უმართავს უქონელთ

ტექნიკის სახლში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის აჭარის განყოფილების დამფუძნებელთა წარმომადგენლების კონფერენცია. იგი გახსნა და განვლილი 5 წლის განმავლობაში ფონდის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ფონდის აჭარის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარემ პროფესორმა გიორგი სტურუამ.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საქველმოქმედო და კეთილშობილურ მიზნებს ემსახურებიან საფეხაქო ფირმა „ჰეკატე", ფირმები „გესტია", „ლუკასი". დღეისათვის აჭარის განყოფილებას აქვს 4 კომერციული აფთიაქი, რომლებიც ყოველთვიურად 10-დან 25 მილიონი კუპონი შემოსავალს იძლევიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვეტერანთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად

როგორც ცნობილია, 1994 წლის 10 ივნისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების, ავღანეთსა და სხვა სახელმწიფოებში მებრძოლთა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულთა და დაღუპულთა ოჯახების სოციალური დაცვისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ. იგი ითვალისწინებს მთელ რიგ შეღავათებს ზემოთ აღნიშნული კატეგორიის ვეტერანებისა და მათი ოჯახებისათვის.

მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ისინი თავისუფლდებიან ელექტროენერგიის, ბინის, ტელეფონის საბონენტო, ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო, საშემოსავლო და კომუნალური მომსახურების გადასახადისაგან. უწესდებათ უფასო მომსახურება ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) მგზავრობისას, უფასოდ ისარგებლებენ სახელმწიფო დაწესებულებების კუთვნილი აბანოებით, თვეში ერთხელ უფასოდ მიეცემათ თხევადი გაზის ერთი ბალონი, ურიგოდ მოემსახურებიან სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში; სამკურნალო წამლების შესაძენად დაუწესდებათ უფასო რეცეპტები, დაცულ იქნება კანონით გათვალისწინებული შეღავათები ბინაში ტელეფონის დადგმის, დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთის გამოყოფის, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების შეძენის, კერძო ბინათმშენებლობისას სახელმწიფო ბანკიდან სესხის გაცემისა და ბინების განაწილების საკითხების გადაწყვეტისას.

ამ დადგენილების შესაბამისად ქ. ბათუმში გაიხსნება სპეციალური სასურსათო მაღაზია, ხოლო რაიონების ცენტრებში არსებული სასურსათო მაღაზიების ბაზაზე — სპეციალური სექციები, სადაც ვეტერანები შეღავათიან ფასებში შეიძენენ სასურსათო საქონელს. ქ. ბათუმში გაიხსნება სპეციალიზებული აფთიაქი, შეიქმნება მედიკამენტების რეზერვი და ვეტერანები სათანადო რეცეპტით უფასოდ მიიღებენ წამლებს.

დადგენილებით შექმნილია მუდმივმოქმედი კომისია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე გობრონიძის თავმჯდომარეობით, რომელიც იმუშავებს ომის ვეტერანთა და ომში დაღუპულთა ოჯახების სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებზე.

ზემოაღნიშნული დადგენილება იმ ზრუნვის მკაფიო გამოხატულებაა, რომელსაც იჩენენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, პირადად ბატონი ასლან აბაშიძე და რესპუბლიკის მთავრობა ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა ოჯახებისადმი.

ვეტერანები ერთსულოვნად იზიარებენ მიმართვას, რომელიც ამ დღეებში მიიღო აჭარის საზოგადოების წარმომადგენელთა შეკრებამ, აღუთქვამენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმსა და აჭარის რესპუბლიკის მთავრობას, რომ ყოველმხრივ დაუჭერენ მხარს მათ მიერ საქართველოს მთლიანობისა და აღორძინებისათვის დასახულ ღონისძიებებს, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მათ განხორციელებაში.

ვეტერანთა სახელით

მიხეილ აბუსელიძე, ასლან ბეჟანიძე, ხასან გუჩბაია,
არჩილ დოლიძე, ვაჟა დუმბაძე, მიხეილ დარჩია,
გიორგი კაშია, გიორგი მესხიძე, ბარათალი მელაძე,
ალექსანდრე გრინკევიჩი, დარეჯან ღლონტი,
სერგო ხალვაში, სულეიმან ხახვა.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

**ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დანიშნულებით მოხმარებული ელექტროენერგიის საზღაურისაგან განთავისუფლების შესახებ.**

გარდამავალ პერიოდში ახალი ეკონომიკური მექანიზმის სრულიად ამოქმედებამდე მთიანი რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების ერთგვარად გაუმჯობესების მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. განთავისუფლდეს ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების მოსახლეობა საყოფაცხოვრებო დანიშნულებით მოხმარებული ელექტროენერგიის საზღაურის გადასახადისაგან მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან.

2. „საქენერგოს" აჭარის ელექტროქსელების დირექციამ დააწესოს კონტროლი ავტონომიურ რესპუბლიკაში ელექტროენერგიის ყაირათიანად გამოყენებასა და აღრიცხვაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამს რწმენას, რომ მთის რაიონების მოსახლეობა გაგებით მოეკიდება აღნიშნულ ღონისძიებას და არ დაუშვებს ელექტროენერგიის არამიზნობრივი, არაეკონომიური გამოყენების ფაქტებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ა. აბაშიძე

ქ. ბათუმი, 1991 წლის 7 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხისათვის, ხალხთან ერთად

აჭარის ხელისუფლებამ მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელა ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გაგაცნობთ ამ საკითხზე მიღებულ რამდენიმე გადაწყვეტილებას.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის შენობის მფლობელობისა და მიწის გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. განთავისუფლდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა შენობის მფლობელობისა და მიწის გადასახადებისაგან;
2. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს გაავრცელოს ეს დადგენილება 1991 წლის 1 იანვრიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ა. აბაშიძე

ქ. ბათუმი, 1991 წლის 28 სექტემბერი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. განთავისუფლდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადებისაგან;
2. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს გაავრცელოს ეს დადგენილება 1991 წლის 1 იანვრიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ა. აბაშიძე

ქ. ბათუმი, 1991 წლის 28 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დიუტი ფრი“ იწყებს...

როცა ამას წინათ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ სარფში თავისუფალი ვაჭრობის მაღაზია „დიუტი ფრი“ მოინახულა, მას თავისუფალი ეკონომიკური ზონის პირველი ელემენტი უწოდა. ამის შემდეგ მაღაზიის კეთილმოსაწყობად ბევრი სამუშაო შესრულდა. და აი, 3 აპრილს ახალი ობიექტის გახსნის ცერემონიალზე მოვიდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ფალავა, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ალექსანდრე გობრონიძე და შოთა ზოიძე, საქართველოს გენერალური კონსული ტრაპიზონში გიორგი ჯანჯღავა, აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, ცალკეულ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, რუსეთის ფედერაციის კარელიის რესპუბლიკის, ჩინეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების საქმიანი წევრების წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

ფირმა „ულუსოის“ პრეზიდენტმა კესი ულუსოიმ და ერთობლივი საწარმოს **„AAA“ (Anglo–American– Adjarian)** გენერალურმა მენეჯერმა მონიკა გემბელმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნეს, რომ ამ მაღაზიის გახსნით იწყება საწარმოს აქტიური მოღვაწეობა აჭარაში. გათვალისწინებულია ერთობლივი ფაბრიკა-ქარხნების ამოქმედება, რაც ორივე მხარის ინტერესებს შეესაბამება. „დიუტი ფრის“ ასორტიმენტი მალე უფრო გამდიდრდება. ევროპიდან წამოსული საქონელი საზღვარზე შეფერხდა, რამდენიმე დღეში მიიღებენ.

— აჭარისა და სრულიად საქართველოს ისტორიაში ერთერთი უმნიშვნელოვანესი დღე დაგვიდგა, — განაცხადა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ. — უკვე კარგა ხანია ჩვენი ხალხი თანამედროვე ცივილიზაციას უნდა ეზიაროს. ამ მაღაზიის გახსნა მისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

## აჭარის 1994—1995 წლების ჩემპიონატი ფეხბურთში

### საბოლოო ცხრილი

| | | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | „საბაჟო“ ბათუმი | 20 | 13 | 2 | 0 | 76:32 | 56 |
| 2 | „მეზღვაური“ბათუმი | 20 | 14 | 2 | 4 | 98:19 | 44 |
| 3 | „ხიხანი“ ხულო | 20 | 13 | 2 | 5 | 55:38 | 41 |
| 4 | „საჩინო“ საჩინო | 20 | 12 | 2 | 6 | 61:25 | 38 |
| 5 | „არენა“ ახალსოფელი | 20 | 11 | 4 | 5 | 54:33 | 37 |
| 6 | „შევარდენი“ ურეხი | 20 | 11 | 1 | 8 | 54:32 | 34 |
| 7 | „პოლიგრაფსერვისი“ ბათუმი | 20 | 9 | 0 | 11 | 41:50 | 27 |
| 8 | „კახაბერი“ მეჯინისწყალი | 20 | 5 | 3 | 12 | 32:57 | 18 |
| 9 | „ტალღა“ ოჩხამური | 20 | 3 | 1 | 16 | 28:93 | 10 |
| 10 | „თაიგული“ ცეცხლაური | 20 | 3 | 0 | 17 | 27:76 | 9 |
| 11 | „ჭოროხი“ ჭარნალი | 20 | 2 | 1 | 17 | 33:102 | 7 |



შეხვედრა ბათუმის „დინამოსა“ და შოტლანდიის „სელტიკის“
ფეხბურთელთა გუნდებს შორის ბათუმში. 1995 წელი



საქ. ეროვ. ნაკრების და ბრაზილიის ოთხგზის ჩემპიონის „პალმერაისის“
ფეხბურთის გუნდების მატჩი ბათუმში 1994 წლის ზაფხულში



ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდის ეკიპაჟის წარმომადგენლები
ბათუმის ზღვისპირა პარკის კეთილმოწყობის სამუშაოებზე



აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ასლან აბაშიძე აშშ-ი მცხოვრებ
ჩვენს თანამემამულე ბატონ გივი ზალდასტანიშვილთან საუბრისას ბათუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეიარაღებული ძალების მშენებლობა

## სამშობლოს ერთგულების ფიცი

ბათუმში იმყოფებოდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეები — გენერლები პაატა დათუაშვილი, თამაზ დუმბაძე, რობერ
თავაძე, ვანო გურგენაძე, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სხვა წარმომადგენლები.

სტუმრები ეწვივნენ სამხედრო ნაწილებს, ბათუმის უმაღლეს საზღვაო სასწავლებელსა და მასთან არსებულ საქართველოს შეიარაღებულ ძალების გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სამხედრო-საზღვაო ფილიალს.

## შინაგანი ჯარების მოწოდება

ბათუმში იმყოფებოდა საქართველოს შინაგანი ჯარების სარდალი გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩიქოვანი. გაიმართა მისი შეხვედრა აჭარ
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ასლან აბაშიძესთან.

სტუმარმა დაათვალიერა მის დაქვემდებარებაში მყოფი ობიექტები, ესაუბრა აქ განლაგებული შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფის პირა
შემადგენლობასა და ოფიცრებს, დაესწრო ახალგაზრდა მეომართა ფიცის მიღებას.

## ვემსახურები საქართველოს!

ამ სიტყვებით ამთავრებდნენ საქართველოს ერთგულებისადმი მიცემულ სამხედრო ფიცს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
შინაგანი ჯარების ბათუმის ბატალიონის ოფიცრები და ჯარისკაცები.

# 26 მაისი – ყველა ქართველის დღესასწაული

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის აღნიშვნის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. 1994 წლის 26 მაისს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღინიშნოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე.

2. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაულ
აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებანი წარიმართოს იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს პოლიტიკური ვითარების შემდგომ სტაბილიზაცი
ყველა ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის ადამიანის შეკავშირებასა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას, მოსახლეობ
კონსოლიდაციას, სამოქალაქო მშვიდობასა და თანხმობას, საქართველოს მთლიანობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებას.

3. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ბათუმის მერიას, რაიონების გამგეობებს, სამინისტროებს
უწყებათა ხელმძღვანელებს შეიმუშაონ და განახორციელონ სამეცნიერო, კულტურული და სანახაობითი ღონისძიებანი საქართველოს სახელ
წიფოებრიობის აღდგენის დღის მაღალორგანიზებული აღნიშვნისათვის.

4. ქ. ბათუმში, თავისუფლების მოედანზე მოეწყოს სამხედრო პარადი, გაიმართოს სანახაობითი ღონისძიებები.

5. გაზეთებმა „აჭარამ" და „ადჟარიამ", აჭარის ტელერადიოკომპანიამ მოამზადონ სპეციალური მასალები და გადაცემები, ფართო
გააშუქონ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, შესაბამისმა ადგილობრი
ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სახელმწიფო უშიშროების, კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

7. აღნიშნული დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ალექსანდრე გობრონიძეს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს სულიკო ხაბაძეს.

აჭარ ის ავტონომიური რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

**ა. აბაშიძე**

ქ. ბათუმი. 1994 წლის 20 მაისი

## მეგობრობენ ბავშვები

ბათუმი ორ კვირას მასპინძლობდა ამერიკის შეერთებული შტატების დაძმობილებული ქალაქის სავანის მოსწავლეებს.

29 ივლისს ამერიკელ ახალგაზრდებს შეხვედრა მოუწყვეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროში.

განათლების მინისტრი ნანი გუგუნავა სტუმრებს ესაუბრა ქართული სკოლის ისტორიულ წარსულზე, ეროვნული სკოლის მშენებლობის ამოცანებზე, სასკოლო ცხოვრებაში ამერიკული გამოცდილების დანერგვის საჭიროებაზე.

აღინიშნა, რომ ამ ურთიერთსტუმრობას, მეგობრული კონტაქტების განმტკიცება-გაძლიერებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რამეთუ ახალგაზრდობა ქვეყნის მომავალია და მეგობრობა — ქვეყნების სიძლიერის გარანტი.

## საგანგებო წესების განსახორციელებლად

4 ოქტომბერს აჭარის უზენაეს საბჭოში გაიმართა თათბირი.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ აღნიშნა, რომ წინა დღით ქუთაისში ბათუმიდან გაიგზავნა მძიმე ტექნიკა. ამ პერიოდში აჭარაში ქუთაისიდან შემოგვქონდა ბათუმის გარნიზონში შემავალი 35-ე პოლკის ქონება. ამასთან ერთად გადმოგვყავდა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები, ყველაფერს ვაკეთებდით იმისათვის, რომ რკინიგზაზე პროვოკაციისაგან დაზღვეული ვყოფილიყავით. თანაც ეს პოლკი პარალელურად რკინიგზას აკონტროლებდა ბათუმი-სამტრედიის მონაკვეთზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

თათბირზე ითქვა, რომ ბათუმში შემოტანილი ხორბალი და ფქვილი სათანადოდ იქნება დაცული, რკინიგზის ხაზით დაუბრკოლებლად გადაიგზავნება თბილისსა და სომხეთის რესპუბლიკაში.

## კინოსტუდია "აჭარა" იწყებს...

დაარსდა 1991 წლის 25 ოქტომბერს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე. დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო კინოკორპორაციამ. იყო დაბადების აღსანიშნავი მილოცვები, სურვილები. ეს იყო და ეს... სულ მალე გაქრა საზეიმო განწყობილება და აქა-იქ თუ გაახსენდებოდა ვინმეს მისი არსებობა. ასე იყო მანამ, სანამ მთავრობამ არ გადაწყვიტა დაეხმაროს კინოსტუდიას როგორც მორალურად, ასევე ეკონომიურად. ვინ, ვინ და ბატონმა ასლან აბაშიძემ შესანიშნავად იცის, თუ რა პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა აქვს აჭარაში კინოსტუდიის არსებობას. სწორედ ასეთმა მიდგომამ გაუხსნა ხელ-ფეხი სტუდიის მესვეურთ. უკვე ჩამოყალიბდა აპარატი. დაისახა კონკრეტული ამოცანები, გამოიკვეთა მუშაობის კონცეფცია და ძირითადი მიმართულებები. იგი ითვალისწინებს როგორც კინოსტუდიის შემოქმედებითი საქმიანობის გაშლას, ასევე ეკონომიკური საძირკვლის განმტკიცებას, აგრეთვე საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის დამყარებას. დაკონკრეტდა შემოქმედებითი გეგმები. დამთავრდა პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის გადასაღები საორგანიზაციო სამუშაოები. წლის ბოლომდე გამოვა სასწავლო-შემეცნებითი მხატვრული ვიდეო-ფილმი „დედა-ენა" იაკობ გოგებაშვილის მიხედვით. მიმდინარეობს კიდევ ერთი მხატვრული ფილმის სარეჟისორო სცენარის დამუშავება. ახალ წლამდე ვიხილავთ დოკუმენტურ ფილმს აჭარაზე.

უამრავ საქმეთა შორის ყველაზე მნიშვნელოვან და მძიმე პრობლემად დგას კინოსტუდიისათვის შესაფერისი შენობისა და პავილიონების აშენება, მათი დამონტაჟება თანამედროვე აპარატურით. აჭარის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით კინოსტუდიისათვის გამოიყო ტერიტორია და ნაგებობები ბათუმის გორაზე, რომელსაც სრული რეკონსტრუქცია სჭირდება. ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

1 სექტემბერს გონიოს უძველეს ციხე-სიმაგრეში კინოსტუდია "აჭარამ" დაიწყო თავისი პირველი ორსერიანი მხატვრული ფილმის „სათნოების კიბის" გადაღება. მისი რეჟისორი და სცენარის ავტორია ნიკო წულაძე, მხატვარი — გია ლორია, კოსტიუმების მხატვარი — ნატო კანდელაკი, რეჟისორის ასისტენტი — გია ბაკურიძე, ოპერატორი — დავით მეფარიშვილი, დირექტორები არიან მამუკა კუპავა და ნოდარ თევდორაძე.

ფილმში მონაწილეობენ მსახიობები ნუნუ ხინიკაძე, არჩილ კაპანაძე, დებიუტანტი ნინო გოგიტიძე და სხვა. გადაღებები ახალშენში გაგრძელდება და სხალთაში დასრულდება.



საქართველოს არმიის ერთერთი ქვედანაყოფი — ფიცის მიღების დროს

# სამხედრო ფიცი

მე, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, შევდივარ რა საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, ვფიცავ, პირნათლად მოვიხადო ჩემი მხედრული ვალი საქართველოს წინაშე;

ვფიცავ კეთილსინდისიერად შევისწავლო სამხედრო საქმე, ღირსეულად განვაგრძო წინაპართა მხედრული ტრადიციები;

ვფიცავ, მტკიცედ დავიცვა მხედრული დისციპლინა, როგორც სახელმწიფოს ძლიერების საფუძველთა საფუძველი;

ვფიცავ, შევინახო ჩემთვის მონდობილი სამხედრო საიდუმლოება, შევასრულო სამხედრო წესდებათა ყველა მოთხოვნა და მეთაურის ბრძანება.

ვფიცავ, მტკიცედ დავდგე საქართველოს სადარაჯოზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლო მტერზე გამარჯვებისათვის;

თუ გავტეხ ამ ფიცს, პასუხისმგებელი ვიქნები ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

გვფარავდეს ღმერთი!



საქართველოს არმიის ბათუმის ბრიგადის აღლუმი 1995 წლის 26 მაისს



საქართველოს საზღვაო ფლოტის აკადემიის კურსანტთა აღლუმი ბათუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალგაზრდობა — იმედი ხვალის

საქართველოს ფარგლებს გარეთ ასობით ჩვენებური ახალგაზრდა ეუფლება უმაღლეს განათლებას. რამდენიმე წლის შემდეგ ისინი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად დაგვიბრუნდებიან და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მშობლიური კუთხის აღმშენებლობაში. აქედან უნდა ვიზრუნოთ, რომ მათი ცოდნა და გამოცდილება ჩვენი რესპუბლიკის სამსახურში ჩავაყენოთ. ეს იყო მიზანი შეხვედრისა, აჭარის უზენაეს საბჭოში რომ გაიმართა უშუალოდ ბატონ ასლან აბაშიძის ინიციატივით. დაიგეგმა შეხვედრები სხვადასხვა დარგების, უწყებებისა და სამინისტროების ხელმძღვანელებთან, აგრეთვე სხვა ღონისძიებები, რათა ახალგაზრდებმა საზაფხულო არდადეგები შინაარსიანად გაატარონ.

# მეცნიერების აღმავლობა

## ალექსანდრე გობრონიძე — პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

სასიხარულო ცნობა შევიტყვეთ ამ დღეებში — საქართველოში დაარსდა პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემია (პრეზიდენტი ნათელა ვასაძე). ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამიერიდან ახალი ეტაპი იწყება ჩვენი ხალხის პედაგოგიკური აზროვნების კულტურის მკვეთრ ამაღლებასა და პროფესიული პედაგოგიკის მეცნიერების შემდგომ განვითარებაში.



ასევე სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად აჭარიდან არჩეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის გამგე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე გობრონიძე, ხოლო წევრ-კორესპონდენტად — პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი ციალა მეგრელაძე.

გარდა ამისა, ალექსანდრე გობრონიძე არჩეულია პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

პროფესორმა ალექსანდრე გობრონიძემ ეს აღიარება პედაგოგიკის დარგში მრავალრიცხოვანი ნაშრომებით დაიმსახურა. მის მონოგრაფიებსა და გამოკვლევებში „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის პრობლემა ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურ მოძღვრებაში", „ახალი ადამიანის ზნეობრივი აღზრდა", „მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის სრულყოფის პრობლემები", „მომავალ მასწავლებელთა მომზადება მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისათვის", „აღზრდის საკითხები", „ზნეობრივი აღზრდის საკითხები", „ი. გოგებაშვილი და აჭარა", „დედაენა აჭარაში", „ბავშვის ზნეობრივი აღზრდა ოჯახში", „სკოლა გარდაქმნის გზაზე" და სხვები განზოგადებულია ალ. გობრონიძის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელოვანი შედეგებით. გამოსაცემად გადაცემული აქვს პედაგოგიკის ახალი დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

## ელჩის წერილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის სახელზე თბილისიდან მოვიდა შემდეგი წერილი:

პატივცემულო ასლან იბრაიმის ძევ!

ნება მიბოძეთ გამოვხატო ყველაზე გულითადი მადლიერების გრძნობა თქვენი გულთბილი და გულითადი მისალმებისათვის 12 ივნისის სახელმწიფო დღესასწაულის — რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაციის მიღების დღის გამო.

მთლიანად ვიზიარებ თქვენს რწმენას, რომ მეგობრული ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის მშვიდობისა და თანხმობის საწინდარია. თქვენთან ერთად გამოვთქვამ რწმენას, რომ ხალხთა შორის კავშირები მომავალშიც განმტკიცდება და აღმავალი ხაზით განვითარდება.

მუდმივი პატივისცემითა და წარმატებების საუკეთესო სურვილებით

**ვლადიმერ ზემსკი**

რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი
ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში



ირანის პრეზიდენტის ალი  აქბარ ჰაშემი რაფსანჯანის ვიზიტი ბათუმში,
საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე,
აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე



საარის მხარის (გერმანია) პრემიერ-მინისტრი ოსკარ ლაფონტენი და
აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე ბათუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 26 მაისი — უდიდესი ეროვნული დღესასწაული

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

**საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის აღნიშვნის შესახებ**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. 1994 წლის 26 მაისს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღინიშნოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე.

2. საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაულის, აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებანი წარიმართოს იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს პოლიტიკური ვითარების შემდგომ სტაბილიზაციას, ყველა ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის ადამიანთა შეკავშირებასა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას, მოსახლეობის კონსოლიდაციას, სამოქალაქო მშვიდობასა და თანხმობას, საქართველოს მთლიანობისა და სუვერენიტეტის განმტკიცებას.

3. დაევალოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ბათუმის მერიას, რაიონების გამგეობებს, სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელებს შეიმუშაონ და განახორციელონ სამეცნიერო, კულტურული და სანახაობითი ღონისძიებანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღის მაღალორგანიზებული აღნიშვნისათვის.

4. ქ. ბათუმში, თავისუფლების მოედანზე მოეწყოს სამხედრო პარადი, ჩატარდეს სანახაობითი ღონისძიებები.

5. გაზეთებმა „აჭარამ" და „ადჟარიამ", აჭარის ტელერადიოკომპანიამ მოამზადონ სპეციალური მასალები და გადაცემები, ფართოდ გააშუქონ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, შესაბამისმა ადგილობრივმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სახელმწიფო უშიშროების, კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

7. აღნიშნული დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ალექსანდრე გობრონიძეს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს სულიკო ხაბაძეს.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**

**ა. აბაშიძე**

**ქ. ბათუმი, 1994 წლის 20 მაისი.**

# თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდელი

## საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა პროგრამა

10.00 — ილია ჭავჭავაძის ძეგლის ყვავილებით შემკობა და ლიტერატურული კომპოზიცია.
10.45 — საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ მებრძოლთა საძმო საფლავის ყვავილებით შემკობა.
11.00 — სამხედრო აღლუმი თავისუფლების მოედანზე (მონაწილეობენ ქართული საჯარისო ნაწილები, საზღვაო აკადემიის კურსანტები).
12.00 — აჭარის მხატვართა ნამუშევრების გამოფენის დათვალიერება.
18.00 — საზეიმო კონცერტი ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში.
19.00 — საკონცერტო-სანახაობრივი ღონისძიებები ბათუმის ზღვისპირა პარკში:
— პარკის შესასვლელი — ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „მეზღვაური".
— ღია ესტრადა — ბავშვთა ვოკალური ანსამბლი „ზღვის შვილები"; — ბამბუკების ხეივანი — თოჯინების ზეიმი;
— ზღვისპირა პარკის კოლონადები — ბათუმის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სკოლა.
21.00 — ზღვისპირა პარკის კოლონადები — ბათუმის საზღვაო აკადემიის სასულე ორკესტრი
22.00 — ფეიერვერკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათზე: საფრანგეთის ელჩი საქართველოში
ბატონი ბერნარ ფასიე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარესთან ბატონ ასლან აბაშიძესთან მიღების დროს.



აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ასლან აბაშიძემ
მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში
ბატონი ნორბეტ ბაასი

## სამუშაო ვიზიტით აჭარაში

15 ივნისს აჭარაში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ნორბეტ ბაასი მეუღლითურთ. სტუმარს თან ახლდნენ საელჩოს მეორე მდივანი, მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში იაკობ ფონ ვაგნერი და „ დოიჩ ბანკის" რეპრეზენტანტი საქართველოში აქსულ ბომერს ჰაიმი. დელეგაციას ქობულეთში დახვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შოთა ზოიძე.

## ოსკარ ლაფონტენი ბათუმში

29 მაისს თბილისიდან ბათუმს ჩამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საარის მხარის პრემიერ-მინისტრი ოსკარ ლაფონტენი მეუღლითურთ. სტუმარს ახლდნენ საქართველოში გერმანიის ელჩის მოადგილე ფრიდ ნილსენი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება, განათლების მინისტრი თამაზ კვაჭანტირაძე, მშენებლობისა და არქიტექტორის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე გურამ მირიანაშვილი, ქ. თბილისის ვიცე-მერი მალხაზ ჩაჩავა, სხვა ოფიციალური პირები, ჟურნალისტები.
სტუმრებს აეროპორტში დახვდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ფაღავა, სხვა ოფიციალური პირები.

## სვეკეთილად რომ იმოქმედოს...

1994 წლის 26 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიაზე ორი ნავმისადგომისა და მდინარე ჭოროხის დელტის ბაზაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ. ამასთან დაკავშირებული ნორმატული მასალებისა და პროექტების მომზადება დაევალა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქართველოს რესპუბლიკის სამთავრობო კომისიასთან ერთად. ამ მიზნით აჭარის მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის სეხნია და მრჩეველი საერთაშორისო სამართლის საკითხებში, ლუნდის (შვეცია) უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის დოქტორი ასლან ხუსეინის ძე აბაშიძე.

## ხელოვნება გადაგვარჩენს

მესამე წელია, რაც ბათუმში მუშაობს კინოსტუდია „აჭარა". საგულისხმოა, რომ ამ დაწესებულებაში კინემატოგრაფისტებთან ერთად თავი მოიყარეს მხატვრებმა, ჟურნალისტებმა, მუსიკოსებმა. შეიქმნა ხელოვნების პატარა კუნძული, რომელზეც შემოქმედების ნამდვილი ენთუზიასტები შეიკრიბნენ. ამის დასტურია სრულიად საქართველოს მემედ აბაშიძის საქველმოქმედო საზოგადოება „მამულიშვილის" (პრეზიდენტი თეიმურაზ კომახიძე) მიერ ორგანიზებული შესანიშნავი საღამო, რომელზეც ხელოვნებით დაინტერესებული საზოგადოების ერთი ნაწილი გაეცნო კინოსტუდია „აჭარის" მუშაობის შედეგებს. სახელდობრ, მოეწყო კინოსტუდიაში გადაღებული ორი ფილმის — ზურაბ გორგილაძის ლექსის მიხედვით შექმნილი „მემედ ბატონო" (რეჟისორი ნიკო წულაძე) და „ებრაელები ბათუმში" (პირველი ნაწილი. რეჟისორი იოსებ ბარდანაშვილი) პრეზენტაცია, აგრეთვე კინოსტუდიაში მომუშავე მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. მსურველებს შეეძლოთ გასცნობოდნენ კინოსტუდიასთან დაარსებულ ახალ ფერად ჟურნალ „მარჯს", რომელიც ასევე ხელოვნების სფეროებს ასახავს.

## საინფორმაციო სააგენტო „აჭარა" იტყობინება:

* * *

გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც იმსჯელეს ცალკეული სამსახურების სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

* * *

განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე იმსჯელეს აჭარის უზენაეს საბჭოში გამართულ განათლების აღორძინების საბჭოს სხდომაზე. თითქმის ყველა სტრუქტურის ხელმძღვანელს მიეცა კონკრეტული დავალება.

* * *

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ შინაგან საქმეთა სამინისტროში წარადგინა ამ უწყების ახალი ხელმძღვანელი როსტომ ჯაფარიძე, რომელსაც წლების განმავლობაში ნამუშევარი აქვს სამართალდამცავი ორგანოების თითქმის ყველა სტრუქტურაში, რამაც განაპირობა კიდეც მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნა.

შეხვედრაზე ბატონმა ასლან აბაშიძემ მიმოიხილა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა.

* * *

ბათუმის ცენტრალური ავტოსადგურის ყოფილ ტერიტორიაზე მსოფლიო სტანდარტების მიხედვით აღჭურვილი ახალი ბანკის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობას აწარმოებს ფირმა „დურსუნი", ქართველ და თურქ სპეციალისტებთან ერთად.

* * *

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის განკარგულებით 25-ე მოტომსროლელ ბრიგადას საჩუქრად გადაეცა ოთხი ავტომანქანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონა

## კონსენსუსი მიღწეულია

როგორც ცნობილია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, პირადად ბატონ ასლან აბაშიძის მრავალწლიანი ფიქრის, დიდი ძალისხმევის, გულღრძო ადამიანებთან, „ურწმუნო თომებთან“ ბრძოლის შედეგად ბათუმში გამოცხადდა თავისუფალი ეკონომიკური ზონა, მაგრამ როგორც იტყვიან, ეშმაკს ამჯერადაც არ სძინებია. მმართველობის მაღალ ეშელონებში შემთხვევით მოხვედრილმა ჩინოვნიკებმა საქართველოს მთავრობაში იოლად მიაღწიეს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით ფორმულირებული „თავისუფალი ეკონომიკური ზონის“ გადაკეთებას „თავისუფალ სავაჭრო ზონად“. ამის თაობაზე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს შეხვდა და ესაუბრა აჭარის ხელისუფლების სპეციალური წარმომადგენელი. მიღწეულია კონსენსუსი, შედეგად ასეთი ფორმა მივიღეთ: „თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონა“. იმედია, ახლა მაინც შესაბამის ინსტანციებში ჭირვეული ბავშვივით მიზეზების ძიებას აღარ დაიწყებენ, ზონის ფორმირებისათვის ნაჯაფარ ადამიანებს, მოსახლეობას აღარ ანერვიულებენ, მხარში ამოუდგებიან, დაეხმარებიან.

## გაეროს „მსოფლიო სასურსათო პროგრამა“ მოქმედებს

ბათუმში იმყოფებოდნენ გაეროს „მსოფლიოს სასურსათო პროგრამის“ წარმომადგენლები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა „მსოფლიო სასურსათო პროგრამის“ მთავარი კოორდინატორი ამიერკავკასიაში ჯონ მარეი. ისინი ჩამოვიდნენ იმ ტექნიკის ოფიციალურად გადასაცემად, რომელიც „მსოფლიო სასურსათო პროგრამამ“ ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურს გამოუგზავნა.

სტუმრებს ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან ერთად დახვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ფაღავა.

როგორც ცნობილია, გაეროს „მსოფლიოს სასურსათო პროგრამამ“ საქართველოში მუშაობა დაიწყო 1993 წელს. ამ პროგრამის მთავარი ამოცანაა ჩვენს ქვეყანაში სასურსათო ჰუმანიტარული დახმარების შემოტანა. ტექნიკური დახმარება გათვალისწინებული არ არის (უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დახმარება პირველად მხოლოდ საქართველოს გაუწიეს), მაგრამ რადგანაც ეს ტექნიკა აუცილებელია პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, ანუ იმისათვის, რომ ჰუმანიტარული დახმარება ადრესატამდე დროზე მივიდეს, გადაწყდა, სწორედ ასეთი აღჭურვილობით დაგვეხმარებოდნენ. ეს ხელს შეუწყობს ნავსადგურში შემოტანილი ჰუმანიტარული დახმარების სწრაფად გადმოტვირთვას, ანუ ნავსადგურის შეუჩერებლივ მუშაობას.

## ასპირანტურა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში

საუნივერსიტეტო გზას რომ შეუდგა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა უმთავრეს მიზნად დაისახა სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის გარდაქმნა, რაც უნივერსიტეტის ბაზაზე ასპირანტურის გზით კადრების მომზადებასაც გულისხმობს.

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით შეირჩა რამდენიმე კათედრა რომლებსაც ჰქონდათ საასპირანტურო ბაზა. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აზიზ ახვლედიანმა ამას წინათ გვაცნობა, რომ თბილისიდან მოვიდა სასიხარულო ცნობა — საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წარდგინებით მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჯერჯერობით ექვს სპეციალობაში — გეომეტრია, ტოპოლოგია, რადიოფიზიკა, არქეოლოგია, საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა — დაუმტკიცა ასპირანტურა. იმისდა კვალობაზე, თუ როგორ ამაღლდება კათედრების თანამშრომლების კვალიფიკაცია უახლოეს მომავალში, ამ რიცხვს ახალი საასპირანტურო სპეციალობანი შეემატება.

## საზღვაო აკადემია გადაკეთდა

ბათუმის საზღვაო სასწავლებელმა წლების მანძილზე ათასობით კვალიფიციური სპეციალისტი აღუზარდა სავაჭრო და თევზსაჭერ ფლოტს. 1990 წელს აქ ფუნქციონირება დაიწყო ნოვოროსიისკის საზღვაო აკადემიის ბათუმის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტმა, 1992 წლის ივლისში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დაარსდა ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი, რომელიც 1994 წლის 28 თებერვალს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიად გარდაიქმნა. ამით ახალი ერა დაიწყო საქართველოს საზღვაო განათლების ისტორიაში.

5 ოქტომბერს გაიმართა ახალი აკადემიის პრეზენტაცია. აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა ალექსანდრე გობრონიძემ კოლექტივს, კურსანტებს მიულოცა აკადემიის დაარსება, საზეიმო ფიცის ერთგულება და მუყაითი სწავლა უსურვა მათ.

სტუმრებმა დაათვალიერეს აკადემიის კაბინეტ-ლაბორატორიები, სასწავლო კომპიუტერები, სხვა ტექნიკა.



სურათზე: ამერიკული ესკადრის მეთაური ალბერტ მაერსი სუვენირს გადასცემს ბატონ ასლან აბაშიძეს;
შუაში: საქართველოს სამხედრო საზღვაო ფლოტის სარდალი — ადმირალი ჯავახიშვილი



ტრაპიზონის ჟურნალისტთა საზოგადოების თავმჯდომარე ომერ გიუნერი
სამახსოვრო სუვენირს გადასცემს ასლან აბაშიძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველო-თურქეთის სასაზღვრო სარფის საკონტროლო პუნქტი



ბათუმის „დინამოს" სტადიონი



ქალაქ ბათუმის მერიის შენობა



თვალის სნეულებათა სამედიცინო ცენტრი „ოფთალმიჯი" ბათუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასპინძლობს აჭარა

## ქართული გენი სამშობლოს ბედ-იღბალზე ფიქრობს

1994 წლის 10 ოქტომბერს თბილისში მუშაობა დაიწყო ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველმა ფორუმმა. მასში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ სტუმრები აშშ-დან, ესპანეთიდან, იტალიიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან, ავსტრიიდან, თურქეთიდან, ირანიდან, გერმანიიდან, აგრეთვე მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მოქალაქე ჩვენი თანამემამულენი.

12 ოქტომბერს ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის მონაწილენი ბათუმს ეწვივნენ.

სტუმრებს შორის იყვნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი დანიელი, ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსი იობი, ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი აბრამი,ბოდბელი ეპისკოპოსი დავითი, საფრანგეთის პრინცი ანრი ბურბონი, ქალბატონი ქეთევან ბაგრატიონი-ორსინი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალბერტ თავხელიძე და სხვები. აეროპორტში მათ დახვდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ფალავა, ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის სასულიერო პირნი.



ინტერვიუში, რომელიც სტუმრებს თვითმფრინავის ტრაპთან ჩამოვართვით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ბრძანა:

ჩვენ მოხარული ვართ, რომ კონგრესი გრძელდება ბათუმში, საქართველოს ამ უძველეს და წმინდა კუთხეში, იქ საიდანაც ქრისტიანობა დაიწყო საქართველოში.

ღმერთმა დაილოცოს აჭარა და სრულიად საქართველო, ყოველი ქართველი.



### ქეთევან ბაგრატიონი-ორსინი:

ძალიან ბედნიერი ვარ კიდევ ერთხელ თქვენს ულამაზეს კუთხეში ყოფნით. ამ კონგრესს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი საქართველოს ერთობის ნიშანია. ასე უნდა იყოს სინამდვილეში და არა მარტო სიტყვით.

ალბათ, ქართველებს, რომლებიც ახლა საზღვარგარეთ ცხოვრობენ, ექნებათ ნამდვილი სამშობლოს გრძნობა და იმედი სამშობლოსი.



### ალბერტ თავხელიძე,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი:

პირველ რიგში დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ბატონ ასლან აბაშიძეს ჩემი მოწვევისათვის. აჭარას ძალიან კარგი ინსტიტუტები აქვს. აქ მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც ჩვენი აკადემიის წევრი დავით ხახუტაიშვილი ხელმძღვანელობს, ბოტანიკური ბაღი. ჩვენ მათთან ძალიან კარგი კონტაქტები გვაქვს.

დღეს საქართველო გასაჭირშია და აჭარა მაგალითს გვაძლევს, როგორი უნდა იყოს ჩვენი მომავალი. მე მგონი, ცალ-ცალკე თუ ყველა ძლიერი იქნება, ერთადაც ძლიერები ვიქნებით.



კოლონადა ბათუმის ზღვისპირა პარკში



ჩოგბურთის ახალი კორტები ბათუმის ზღვისპირა პარკში



აჭარა. ყველაზე უფრო გრძელი ხიდი საქართველოში „გონიოს ხიდი" მდინარე ჭოროხზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დოკუმენტაცია

დოკუმენტაცია

დოკუმენტაცია

# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება — არჩეული პირდაპირ თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს.

# საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავის ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთი შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა. სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.





# ACT

## of Independense of Georgia

The Georgian National Council, during its plenary sitting of May 26, 1918, declared as follows:

„For several centuries Georgia existed as a free and independent State.

At the end of the eighteenth century Georgia voluntarily allied hersell with Russia. with the stipulation that the latter should protect her from enemies without.

In the course, of the great Russian revolution conditions arose which resulted in the disorganization of the entire military front and the abandonment of Transcaucasia by the Russian Army.

Thus, left to her own devices, Georgia, and with her all Transcaucasia, took into their hands the direction of their affairs creating the necessary organs for this purpose; but under pressure from exterior forces the links which united Transcaucasian nationalities were broken and the political unity of Transcaucasia was thus dissolved.

The present position of the Georgian people makes it imperatively necessary that Georgia should create a political organization of her own, in order that she may escape from the yoke of her enemies and lay a solid foundation for her free development.

Accordingly the Georgian National Council, elected by the national assembly of Georgia on November 22 (December 5), 1917, declares:

(1) In future the Georgian people will hold sovereign power and Georgia will be a State enjoying all the rightes of a free and independent State.

(2) Independent Georgia's form of political organization will be a democratic Republic.

(3) In the event of international conflict Georgia will always remain neutral.

(4) the Georgian democratic Republic will apply itself to establishing friendly relations with all nations, and especially with reighboring nationalities and states.

(5) The democratic Georgian Republic offers to all inhabitants of her territory a wide field for free development.

(6) the democratic Georgian Republic guarantees to all citizens within her territory civil and political rights, without distinction of nationality, religion, social position, or sex.

(7) Until the convocation of the constituent assembly the National Council, with the addition of representatives of the minorities and the provisional government responsible to the National Council, is at the head of all Georgian administation".

On the 12 th of March, 1919, the constituent assembly of Georgia confirmed the preceding act in the following terms:

„At its first sitting of the 1 2 th of March, 1919, the constituent assembly of Georgia,elected by citizens of both sexes, according to the direct, equal, universal, secret, and proportional electoral system, proclaims before the world and history that it fully confirms and approves the act of the independence of Georgia, declared at Tiflis by the Georgian National Council, May 26, 1918".





# ACTE D'INDEPENDANCE DE LA GEORGIE

Pendant plusieurs siècles, la Georgie a existè comme Etat libre et indépendant.

A la fin du XVIII e siècle, pressce de tous côtés par des ennemis, la Georgie s'allia volontairement à la Russie, à condition que la Russie s'engageat à défendre la Georgie contre ses ennemis extérieurs.

Les événements de la Grande Révolution Russe ont crée une situation intérieure telle que le front de guerre s'est effondré entiérement et que la Transcaucasie a été evacuée par les armés russes.

Abandonnées à leurs propres forces, la Georgie et avec elle,la Transcaucasie ont pris entre leurs mains le soin et la direction de leurs propres affaires et se sont donne des organes gouvernementaux appropriés. Mais la pression des forces extérieures a amené la dissolution des liens qui unissaient les peuples de la Transcaucasie et l'unité politique de celle-ci s'est effondrée.

La situation présente de la nation géorgienne commande impérieusement à la Georgie d'avoir sa propre organisation d'Etat,en vue de prevenir, par ce moyen, la conquête du pays par les forces extérieures et de créer des bases solides pour son développement indépendant.

En conséquence, le Conseil National Géorgien, élu par l'Assemblée Nationale, le 22 novembre 1917, déclare:

1. La nation géorgienne rentre en possession de tous ses droits; la Georgie est un Etat independant qui jouit de tous les droils de la souveraineté.

2. La forme de l'organisation politique de la Géorgie indépendante est la République Démocratique.

3.En cas de conflits internationaux, la Géorgie reste perpétuellement Etat neutre.

4. La République Démocratique Géorgienne désire avoir des relations amicales avec tous les membres de la communauté internationale et, en particulier, avec les Etats et les peuples voisins.

5. La République Démocratique Géorgienne garantit, dans les limites de son territoire, tous les droits civils et politiques, à tous les citoyens également, sans distinction de nationalité, de croyance, d'état social ou de sexe.

6. La République Démocratique Géorgienne ouvre à toutes les nationalités habitant son territoire un champ libre à leur développement.

7. Jusqu'à la convocation de l'Assemblée Constituante, les affaires publiques de toute la Géorgie sont gérées par le Conscil National, avec adjonction des représentants des minorites éthniques, et par le gouvernement provisoire, responsable devant le Conseil National.



# АКТ НЕЗАВИСИМОСТИ ГРУЗИИ

В течение многих веков Грузия существовала как свободное и независимое государство.

В конце XVIII века, теснимая со всех сторон врагами, Грузия добровольно присоединилась к России с условием, что Россия обязывается защищать ее от внешних врагов.

В годы великой революции в России установился порядок, который привел к развалу весь боевой фронт и заставил русские войска оставить Закавказье.

Предоставленная своим собственным силам Грузия, и вместе с нею все Закавказье, сама взяла в свои собственные руки дело устроения своих судеб и создала соотвестствующие органы, но давление внешних сил привело к нарушению союза, объединявшего народы. Закавказья, и к распадению политической его целости.

Нынешнее положение грузинского народа повелительно диктует Грузии необходимость создания своей собственной государственной организации, чтобы спасти себя от порабощения со стороны враждебных сил и заложить прочные основы для свободного развития.

Согласно этому, Национальный совет Грузии, избранный Национальным собранием Грузии 22 ноября 1917 года, ныне всенародно объявляет:

1) Отнын Грузинский народ является носителем суверенных прав. Грузия — полноправным независимым государством.

2) Формой политического устройства независимой Грузии устанавливается Демократическая республика.

3) В случаях международных столкновении Грузия постоянно неитральна.

4) Грузинская демократическая Республика стремится установить добрососедские отношения со всеми членами международного общения, в особенности же с определенными народами и государствами.

5) Грузинская Демократическая Республика гарантирует в своих пределах гражданские и политические права всем гражданам без различии национальности, вероисповедания, социального положения и пола.

6) Грузинская Демократическая Республика всем народностям, населяющим ее территорию, предоставляет широкий простор для свободного развития.

7) До созыва Учредительного собрания во главе управления всей Грузией стоит Национальный совет, пополненний представителями национальных меньшинств, и Временное правительство, ответственное перед Национальных советом.

# ეროვნული ჰიმნი

## დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჰიმნი

### დიდება

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა
კოტე ფოცხვერაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კონსტიტუცია

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების
მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

## საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება, — არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, — თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წელს, მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთს ტფილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

## საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

დარჩენ-რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდევს თავსა საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს: მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო 1917 წელს, ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა;

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა არის ;

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალი სახელმწიფოა;
4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით — კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან;
5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალ. მდგომარეობისა და სქესისა;
6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს;
7) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

## თავი პირველი

## ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1.

საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.

მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

### მუხლი 2.

საქართველოს დედაქალაქი არის ტფილისი.

### მუხლი 3.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

### მუხლი 4.

საქართველოს რესპუბლიკის დროშა არის შვინდისფერი ალამი, შავი და თეთრი ზოლით.

საქართველოს რესპუბლიკის ღერბი არის თეთრი გიორგი შვიდი მნათობით.

### მუხლი 5.

ყოველ კანონსა და სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ გამოცხადებულია სათანადო წესით.

### მუხლი 6.

სახელმწიფო ტერიტორიის გაცემა, დანაწილება და გაყიდვა შეუძლებელია.

სახელმწიფო ტერიტორიის გაფართოება ან სადავო საზღვრების შესწორება შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობითი წესით.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .  . .  . . . . .  და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კონსტიტუცია

## მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს

საქართველოს მოქალაქენი,

რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო,

უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი,

განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა,

ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს,

საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.

## თავი პირველი

## ზოგადი დებულებები

### მუხლი 1

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო".

### მუხლი 2

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

.......................... და ა. შ.


საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში
პირობითი აღნიშვნები
შავი ზღვა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Conseil National Georgien**

**ქართული ეროვნული საბჭო**

Chateau de Leuville
91310 — Leuville sur Orge
France

tel: (331) — 6054 — 6151

## მ ა ნ დ ა ტ ი

1995 წლის 21 სექტემბერს შესდგა ქართული ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პრეზიდიუმმა ერთხმად დაადგინა, რომ ეროვნული საბჭოს წესდების მე-10 მუხლის საფუძველზე ქართული ეროვნული საბჭოსა და მისი ოფიციალური ორგანოს „მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო კოლეგიის წევრად აირჩიოს ბატონი პროფესორი გურამ შარაძე.

ბატონ პროფესორ გურამ შარაძეს უფლება ენიჭება ქართული ეროვნული საბჭოსა და მისი ოფიციალური ორგანოს „მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო კოლეგიის სახელით იმოქმედოს საჭიროებისდა მიხედვით, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

ქართული ეროვნული საბჭოს უცხოეთში

თავმჯდომარე: (კარლო ინასარიძე)

მდივანი: მ. ბერიშვილი (მამია ბერიშვილი)

პარიზი — ლევილი, 1995 წლის 21 სექტემბერი

## თ ხ ო ვ ნ ა

ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალური ორგანოს „მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო კოლეგია თხოვს საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქესა და უწყებას, განსაკუთრებით კი საქართველოს განუყოფელი ნაწილის — აფხაზეთის მცხოვრებლებსა და ლტოლვილებს მოგვაწოდონ მასალები „ჩვენი აფხაზეთის" სპეციალურ გამოცემაში გამოსაქვეყნებლად. „ჩვენი აფხაზეთის" გამოცემა სარედაქციო კოლეგიას განზრახული აქვს 1996 წელში.

პატივისცემით,

ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალური

ორგანოს „მებრძოლი საქართველოს" სარედაქციო კოლეგია

პარიზი — ლევილი, 1995 წლის ოქტომბერი

## ბალანსი

„მებრძოლი საქართველოს" სპეციალური ნომრის „ჩვენი აჭარის" გამოცემის, დაბეჭდვის,
გავრცელების ხარჯები . . . . . . . . . . . — 4756 ფრანკი
შემოწირულობა კარლო ინასარიძისა . . . . . . . . . . . — 4756 ფრანკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Conseil National Georgien

## ქართული ეროვნული საბჭო

### ამონაწერი

ქართული ეროვნული საბჭოს წესდებიდან (პარიზი, 1896 წელი, 27 აპრილი. პირველი შესწორება: ლევილი. 1995 წელი, 17 აგვისტო):

„მუხლი მესამე: ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის განმტკიცებისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით...“

„მუხლი ოცდამეორე: ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში თავისთავს გამოაცხადებს დაშლილად, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა შეუქცევად ხასიათს მიიღებს“.

„პოლიტიკა არის არა მარტო შესაძლებლობის ხელოვნება,
არამედ აგრეთვე ხელოვნება საჭირო შესაძლებელი გახადო“

# მებრძოლი საქართველო

## ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

## „LA GEORGIE COMBATTANTE“

სპეციალური გამოცემა: პარიზი, 1995 წელი, ოქტომბერი, ნომერი 17(35)
Edition speciale: Paris,octobre 1995, Nr. 17(35)

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ — ილია

დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მოქმედი, მჭრელი, მებრძოლი. — ნოე

დაარსდა: იანვარი 1952, პარიზი — Fondation: Janvier 1952 , Paris

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბატონი მამია ბერიშვილი

CHATEAU DE LEUVILLE
91310 — Leuville sur Orga
FRANCE
tel:(331) — 6054 — 6157

ჟ-758